

მერაბ მამარდაშვილი

ლექციები  
ფსიქოანალიზის შესახებ

თბილისი 1998

**მერაბ მამარდაშვილი. ლექციები ფსიქოანალიზის შესახებ**

**რედაქტორი:** თ ა მ ა ზ ბ უ ა ჩ ი ძ ე  
**მთარგმნელი:** ლ ა ლ ი ც ე რ ც ვ ა ძ ე

**ყდის დიზაინი:** ზ ე ი ნ ა ბ ს ა რ ა ძ ე

© ი. მამარდაშვილი

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი  
თბილისი, მერაბ ალექსიძის 1, ტელ.: 334081, ფაქსი: 334163

## ლეციები ფსიქონალიზის უმსახუბ

დღეს გესაუბრებით ფსიქონალიზზე, ერთ-ერთ იმ თემაზე, რომელმაც გააფართოვა და შეცვალა ჩვენი წარმოდგენა საერთოდ ადამიანური გამოცდილების სტრუქტურაზე. უხეშად თუ ვიტყვით, ფროიდისეული ფსიქონალიზი არის მოძღვრება, რომელიც დგას ფსიქოლოგიისა და რაღაც სხვის საზღვარზე. ამიტომ ძალიან ხშირად ვერ ბედავენ, ფსიქონალიზი მიაკუთვნონ ფსიქოლოგიის მეცნიერებას. თქვენ იცით, რომ ეს არის მოძღვრება ფსიქიკაზე ან ფსიქიკის ანალიზი, სახელდობრ, ფსიქიკაში რაღაც განსაკუთრებულის ანალიზი, რაც არის სწორედ თავად ფსიქონალიზის საგანი – არაცნობიერის ანალიზი. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ამტყდარიყო ალიაქოთი თითქოსდა ასეთ უბრალო რაღაცაზე! დიდი ხანია, ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენს თავში ყველაფერს ვერ ვაცნობიერებთ. უფრო მეტიც, რომ ყველაფერი ჩვენში არ არის რაღაც ჩვენს კონტროლს დაქვემდებარებული მდგომარეობა, რომ არსებობს ინსტინქტები, ლტოლვები, ვნებები და ა. შ.

ყოველივე ეს, დიდი ხანია, ცნობილი იყო – მას შემდეგ, რაც ძველი ფილოსოფოსები მსჯელობდნენ ადამიანის ბუნებაზე და თითქოს აქ არაფერი იყო ახალი. მაგრამ სინამდვილეში – ამ შემთხვევაში კვლავ სიტყვათა თანხვდომა – ერთი და იგივე სიტყვები მონაწილეობენ სიტყვის ყოფითი ან ძველი ტრადიციული მნიშვნელობით. ფროიდს ყოველთვის არ შეეძლო გაეკონტროლებინა ის მნიშვნელობა, რომელიც მას შეჰქონდა ხმარებულ სიტყვაში და ამიტომ ხშირად იგი იხმარება სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობით. უპირველეს ყოვლისა, ფსიქონალიზი ესმოდათ, როგორც ადამიანში (რომელიც ადრე გაღმერთებული იყო) რაღაც ცხოველურის, უძირო მანკიერების აღმოჩენა. როგორც ერთი ჩვენი ლიტერატურის კრიტიკოსი ამბობდა – ფროიდმა აღმოაჩინა რაღაც ჭურჭელი, რომელშიც მორიყელები და გველები დაფუთფუთებენ და ანთხევენ შხამს და ა. შ. სხვამ შეიძლება თქვას, რომ ის კატეგორიულად უარყოფს ფროიდს, არ იღებს მას, იმიტომ რომ მის თვალში ფროიდი ამცირებს ადამიანს...

ჩვენ კი უნდა შევეცადოთ გავიგოთ, რაშია საქმე ან რაზეა აქ საუბარი. დავიწყოთ ბუნდოვანი, თუმცაღა თავისთავად ზუსტი საგნებით. მაგ-

რამ ისინი ზუსტია იმდენად, რამდენადაც თქვენ ფლობთ, ვთქვათ, ისეთ მოძღვრებას, როგორცაა ე. წ. ეპისტემოლოგია, ანდა შემეცნების თეორია, ე. ი. ფილოსოფიური მოძღვრება შემეცნებაზე, სადაც ძალზედ მკაფიოდაა გამოკვეთილი ყველა ცნება. ამიტომ ფსიქონალიზზე საუბრისას მე გამოვიყენებ სპეციალური შანაარსის მინიმუმს ფილოსოფიიდან და შევეცდები უმარტივეს სიტყვებს დავჯერდე.

ყველა ჩვენი ტრადიციული კლასიკური წარმოდგენა ადამიანზე, ცნობიერებაზე გულისხმობდა ადამიანს ერთგვარი თვითცნობიერი არსების სახით. ადამიანის უნარი გააცნობიეროს, რაც მასში ხდება, უნარი გააცნობიეროს თავისი მდგომარეობა, თავისი ემოციები, თავისი შთაბეჭდილებები, აზრები – ფაქტიურად, უსაზღვროდ მიიჩნეოდა, ითვლებოდა, რომ ის არაფრითაა შეზღუდული. იგულისხმებოდა, რომ ადამიანს შეეძლო თვითშემეცნების ნათელი ყველაფრისთვის მოეფინა. მაშ, რაღაა თვითცნობიერება? ეს არის ცნობიერების ცნობიერება. ვთქვათ, აზრი თვითცნობიერია იმ თვალსაზრისით, რომ მე არა მხოლოდ მაქვს აზრი, არამედ გამაჩინია ცნობიერება ამ აზრის შესახებ. ეს პროცედურა ფილოსოფიაში რეფლექსიურ პროცედურად იწოდება. რეფლექსია არის ფიქრი ფიქრზე, ან – ემოციის ცნობიერება. ემოცია არის ჩვენი მდგომარეობა. რა თქმა უნდა, იგი შეიცავს რაღაც ცნობიერებას. ემოციის შემცველი ამ ცნობიერების ცნობიერება არის სწორედ თვითცნობიერება.

ამრიგად, ჩვენი თვითცნობიერების გახსნილ სივრცეში ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ, გარდავქმნათ, ჩამოვაყალიბოთ და გავაკონტროლოთ ის, რაც ჩვენში ხდება. აზროვნების თვითცნობიერება ნებას გვაძლევს გავაკონტროლოთ აზროვნება, მოვახდინოთ მისი ორგანიზება, წარვმართოთ გარკვეული სახით. ემოციის თვითცნობიერება ნებას გვაძლევს გარდავქმნათ ის, რაც სტიქიურად ხდება, აღვადგინოთ ის რაღაც ორგანიზებული ფორმით. ფილოსოფოსები როდი თვლიდნენ, რომ ადამიანში არ არის სტიქიური, სპონტანური ემოციები. ამ აზრით ბევრი ფილოსოფოსი ამბობდა, რომ ადამიანის ბუნება ცხოველურია, რომ იგი ვერ აკონტროლებს თავს. ემშაკმა უწყის, ემპირიულად რა ხდება ადამიანში. მაგრამ ძირითადად ყოველივე ეს შეიძლება გამეორდეს თვითცნობიერების სახით, ე. ი. დაექვემდებაროს ორგანიზებულ კონტროლს. თითქოს ის, რაც სპონტანურად ხდება, ახლა მოწესრიგდება დანარჩენზე უფრო მეტად. ადამიანში თვითშემეცნებადი ნაწილის ზემოქმედება მიიჩნეოდა გადამწყვეტად – შეზღუდვების არმქონედ. ეს აისახებოდა მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაზეც: კლასიკურ მხატვრულ ნაწარმოებში, ლიტერატურასა და ფერწერაში გამოხატულ პერსონაჟთა შორის ვიღაც დაფარული პერსონაჟიც არსებობდა. ეს ფარული პერსონაჟი იყო თვით ავტორი, როგორც მცოდ-

ნე პირი, იმ პერსონაჟთაგან განსხვავებით, რომლებიც მონაწილეობდნენ, მაგალითად, რომანში. ისინი მოვლენებში იყვნენ ჩახლართულები, მათი არსებობის შესახებ იცოდა ავტორმა; მოვლენები ვითარდებოდა ბუნებისა და მოვლენათა არსის შესახებ ავტორის ცოდნის შესაბამისად, ისინი თითქოს ავტორის ნებას ასრულებდნენ. ეს ავტორისეული გაგება შექმნილია ნაწარმოების ტექსტში, როგორც რაღაც ყოვლისადამანახველი და ყოვლისმომცველი თვალი. თვალი, რომელიც გამჭირვალეა თავის თავისთვის, რომელიც თავის თავს, როგორც ნაწარმოების ავტორს, ბუნებრივია, უგებს, ხოლო ნაწარმოები არის გამოხატვა ან გადმოცემა ნაწარმოებამდე არსებული ავტორის მდგომარეობისა, მისი თვითცნობიერებისა. ავტორს აქვს შესატყვისი იდეები და წარმოდგენები, სურვილები, მისწრაფებები, სახეები და ა. შ., რომლებიც უბრალოდ იშლება ჩვენს წინაშე როგორც ჭეშმარიტება იმის შესახებ, რაც ნაწარმოებში ხდება და, ბუნებრივია, როგორც ჭეშმარიტება საკუთარ თავზეც.

ეს სხვა არაფერია, თუ არა კლასიკურ რაციონალიზმში მოცემული ზოგადკულტურული წანამძღვრის კონკრეტული ვარიაცია. ის, რაც თქვენ აგაწერეთ, იწოდება კლასიკურ რაციონალიზმად. მისგან შენდებოდა გარკვეული ისტორიული კონცეფცია. ვთქვათ, კულტურის ისტორია განიხილებოდა ფაქტიურად თვითცნობიერების ფორმულით. ე. ი. ისტორია არის მომძლავრება ადამიანის უნარისა, გააკონტროლოს და ჩამოაყალიბოს, მოაგვაროს, შეიცნოს ყოველივე, რაც მის თავს ხდება. რით განსხვავდება ველური ჩვენგან? მის წინაშე იგივე სამყაროა გაშლილი, მაგრამ მასში ცნობიერება ჭერ კიდევ ცდომილების ბურუსშია გახვეული. ხოლო ისტორია ველურის პოტენციის დღის სინათლეზე გამოყვანა, ველურში შეცნობის პოტენციის მომწიფებაა. თვითცნობიერებას ხომ არა აქვს საზღვარი. ამრიგად, ისტორია არის თითქოსდა თვითცნობიერება დროში. ვთქვათ, ველურს ამინებდა ბუნების ძალები და ამას რაღაც ფანტაზიით გამოხატავდა, წარმოისახავდა რაღაც ზებუნებრივ ძალებს, მაგრამ პოტენციურად იგი თვითცნობიერების მატარებელია. იგი ისეთივე ადამიანია, როგორც ჩვენ, ოღონდ წარსულ დროში. დროთა განმავლობაში იგი ჩვენს დონემდე მწიფდება. ისტორია არის სწორედ ეს მომწიფება. იგი თითქოს ერთი მიმართულებით მოძრაობს, ერთ ხაზზე, განსაზღვრების თანახმად, პროგრესულია, იმიტომ რომ თვითცნობიერება უკვე ჩადებულია ადამიანში. იგი მხოლოდ დროში უნდა გაიშალოს. მას სხვადასხვა მიმართულებით ტრიალი არ შეუძლია. აქედან მოდის სიტყვები – პირველყოფილი და პრიმიტიული საზოგადოება. აქედან მოდის ყველა ჩვენი ჩვევაც – ვთქვათ, როცა ადამიანი ამბობს, ელვა ზევსის რისხვას, ჩვენ ვთვლით, რომ ის არასწორად ლაპარაკობს იმაზე, რაზეც

ჩვენ სწორად ვლაპარაკობთ. მას არ ესმოდა რაღაც და იგივე რაღაც ჩვენ ახლა გვესმის. სხვათა შორის, დაეუმატებ, რომ ამ დროს სულაც არ ვუშვებთ, რომ იქნებ ის სრულიად სხვა რამეზე ლაპარაკობდა, და თუ მე დღეს ვიცი, რომ ელვა არის ატმოსფერული ელექტრობის განმუხტვა, ეს არ არის პასუხი იმ პრობლემებზე, რომლის ამოსახსნელადაც ველურმა თქვა, რომ ელვა არის ღვთაებრივი რისხვის ნიშანი თუ გამოვლინება.

ეს არის თვითცნობიერების წანამძღვარი (არ ვუღრმავდები ონტოლოგიურ ან ეპისტემოლოგიურ დეტალებს). შეიცვალა, მაგალითად, ადამიანთა იმ ფენის (სახელდობრ – ინტელიგენციის) თვითცნობიერება ან თვითცნობიერების შესაძლებლობები, რომლებიც პროფესიულად ეწეოდნენ ცნობიერებისა და თვითცნობიერების კვლევას, ე. ი. ეჭვის ქვეშ დადგა თავად წანამძღვარი – ხომ შეიძლება, იყო პრივილეგირებულ წერტილში, იქიდან, როგორც ყოვლისმჭკრეტელმა თვალმა, მოიცვა ყოველივე და იმავდროულად გამჭვირვალე იყო საკუთარი თავისთვის.

უკვე მე-19 საუკუნის დამლევს უნამუნო – ესპანელი ფილოსოფოსი, ესეისტი – ნაწარმოების ავტორზე მსჯელობისას, ავტორს პერსონაჟად წარმოიდგენდა, რომელიც პერსონაჟს რომანში ესიზმრება. მას მიაჩნდა, რომ რომანის ავტორი თავად რომანის სივრცეში იქმნება. ხოლო თუ ის რომანის სივრცეში იქმნება, მაშინ ის ერთი პერსონაჟთაგანია და, მამასადამე, რომანის მთელ სივრცეს ვერ ფლობს. თავისი როლით უთანაბრდება საკუთარი რომანის პერსონაჟებს. სხვა მიმართებაში, მაგრამ უფრო გასაგებად, იგივე აზრი დაფიქსირებული აქვს მალარმეს გამოთქმაში, რომელიც მე ერთხელ უკვე გითხარი. ამ გამოთქმაში გამოხატულია თანამედროვე ცნობიერების ნიშანი, განმასხვავებელი კლასიკურისაგან. მალარმე ამბობდა: პოემა იღვებთ არ იწერება, იგი სიტყვებით იწერება. მას მხედველობაში ჰქონდა, რომ პოემა არ არის რაღაც მზა ან წინასწარგამზადებული გაგების ან იდეის გამოხატვა, არამედ არის რაღაც ისეთი, რომლის საშუალებითაც თავად პოემის დამწერს შეუძლია გაიგოს ის, რასაც წერს, ან ის, რაც მის თავს ხდება, ან ის, რაც თავად მასწია. მამასადამე, ნაწარმოები არ არის ავტორის საკუთრება. ჩვენ ვიცოდით, რომ იგი არ არის მომხმარებლის საკუთრება, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ იგი არც ავტორის საკუთრება ყოფილა. თავის უფლებებში ავტორი გათანაბრებულია იმასთან, ვინც მას კითხულობს. ტექსტი მისთვისაც საიდუმლოა. შეგახსენებთ ბორხესის სიტყვებს – ყოველგვარი პოეზია საიდუმლოა იმ თვალსაზრისით, რომ არ შეგვიძლია ვიცოდეთ ის, რაც იღბლად დაგვეწერა – რაც ძალზედ უცნაურია და კლასიკური რაციონალიზმის არავითარ ნორმას არ შეესაბამება.

მამ ასე, მთელი თანამედროვე ცნობიერება ათუხთუხდა იმავე ქვაბში, რომელშიც ფსიქოანალიზის ისტორია დაიწყო. ფსიქოანალიზმა სიმბოლოზ-მთან და სხვა მსგავს ობიექტთან ერთად გადაადნო და გადასინჯა ყველა ჩვეული ტერმინი, რომლებითაც ვმსჯელობთ გაგების ჩვენეულ უნარზე, ჩვენს ცნობიერებაზე და თვითცნობიერებაზე და გამოავლინა ადამიანის გამოცდილებისა და განცდის რაღაც სხვა სტრუქტურები. მამასადამე, საქმე იმის შეტყობა კი არ არის, რომ ადამიანს აქვს ინსტიქტები (ჩემი გზით რომ ვიარო, ჯერჯერობით ამ პუნქტს ვუსვამ ხაზს), რომ მას აქვს უგონო ცხოველური ბუნება და რომ მასში არის ეგოისტური ინტერესები, რომელთაც თავად იგი და მისი გარემოცვა დალუპვისაკენ მიჰყავთ, რომ მას ახასიათებს ჟინიანობა, ნორმათა დარღვევა და ა. შ. არა, ვიმეორებ, თვით-ცნობიერება ნიშნავდა ადამიანში ისეთი გონივრული საწყისის პრინციპულ დამწვებას, რომელსაც, აღადგენს რა თვითცნობიერების დონეზე ყველა ამ საგანს, შეუძლია მათზე ზემოქმედება, მათი გაკონტროლება. ივარაუდება – რომ თვითცნობიერების ეს უნარი არ წააწყდება არაფერ ისეთს, რაც შავი ლაქა აღმოჩნდება.

საპირისპირო პროცედურას ვხედავთ მაღარმეს მაგალითზე, რომელიც მე მოგიყვანეთ, ან უნამუნოს მაგალითზე. მაგრამ ჯერჯერობით ლიტერატურულ მაგალითებს მოვემვათ, რადგან საქმის არსის გამოვლენა მათი მემშვეობით ძნელია. დავუბრუნდეთ აღნიშნული რაციონალური წანამძღვრის გადასინჯვას, რამდენადაც ეს გადასინჯვა ეხება ისტორიის, პროგრესის, განვითარების და, ფროიდის შემთხვევაში, ადამიანის ფსიქიკის ჩვენეული შეგრძნების ტერმინებს.

მე სპეციალურად ვამბობ – ისტორია, კულტურა, ფსიქიკა, თითქოს ისინი ერთმანეთთან არ იყოს დაკავშირებული, ჯერ ერთი, ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან. მეორეც იმიტომ, რომ ისინი დაკავშირებულია თვით ფროიდთან. ფროიდი მარტო ფსიქიკას როდი იკვლევდა, იგი კიდევ აგებდა აქედან კულტურის გარკვეულ კონცეფციას, მის საფუძველზე ამუშავებდა გარკვეულ წარმოდგენას ადამიანისა და ადამიანის ცნობიერების მითოლოგიური წარსულის შესახებ. ეს წარმოდგენები სავსებით განსხვავდება კლასიკურ ფილოსოფიაში, კლასიკურ ანთროპოლოგიაში არსებული წარმოდგენებისგან. მოდით მივუბრუნდეთ იმას, რაც გზადაგზა დავვანტე: ელვას, ზევსს, ატმოსფერულ ელექტრობას და ა. შ.

მე-20 საუკუნეში წინა პლანზე წამოიწია და მსჯელობის საგანი გახდა ფსიქოანალიზი. ამას დიდად შეუწყო ხელი საზრისის პრობლემამ. მაგალითად, კლასიკური ფილოსოფიისათვის, ჩვენს მიერ მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციული რაციონალიზმისათვის, გადამწყვეტი ცნებებია ჭეშმარიტება და ცდომილება (ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებების წყვი-

ლი: ჭეშმარიტება და ცდომილება). ამ თვალსაზრისით, რაც დღეს ვიცით მეცნიერულად, ჭეშმარიტებაა იმასთან შედარებით, რაც იცოდა ადამიანმა მითოლოგიაში, მითში, რელიგიურ ცდომილებებში. მამასადამე, რელიგიური ცდომილებები, მითოლოგია არის სწორედ ადამიანის ცდომილებანი, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ შეიმეცნა თავი, ვერ დაეუფლა თავის ყველა უნარს, ევოლუციურად ჯერ კიდევ ვერ მომწიფებულა (როგორც ჭუპრში მწიფდება და შემდეგ გამოფრინდება იქიდან ცოცხალი არსება). უცბად სამუდამოდ დაკავშირებულ ამ მშვენიერ ჰარმონიულ წყვილში – ჭეშმარიტება-ცდომილების წყვილში – იჭრება რაღაც მესამე.

გაჩნდა მარტივი კითხვა – იქნებ ის, რაც ცდომილებად გვეჩვენება, არ არის ასეთი. იქნებ მის მიმართ უნდა დაისვას არა კითხვა: ჭეშმარიტებაა თუ ცდომილება, არამედ კითხვა: რა საზრისი აქვს? იქნებ მას საზრისი აქვს. საზრისი ჩნდება, როგორც მესამე სიტყვა, ან მესამე ტერმინი ჭეშმარიტებასთან ან ცდომილებასთან შედარებით. ან ვთქვათ ასე: რა საზრისი აქვს ამა თუ იმ მითოლოგიურ წარმოდგენას, რომელიც ემსახურება ადამიანის შემეცნების, ადამიანის გამოცდილების ან ადამიანის კულტურის ორგანიზაციას? იქნებ მთელი საზრისი სწორედ ეს ორგანიზაციაა და არა საგნისადმი მიმართება? მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, მართლა ისერის ზევსი მეს და საერთოდ არსებობს თუ არა ზევსი, არამედ იმას, თუ რა როლს ასრულებს ამგვარი აზრობრივი წარმონაქმნი – მას ეწოდება „აზრობრივი“ სწორედ იმის გამო, რომ ასრულებს რაღაც როლს ჩვენი ფსიქიკის საერთო ორგანიზაციაში, კულტურის საერთო ორგანიზაციაში. ან სხვაგვარად ვთქვათ, რა კულტურული ამოცანა წყდება ამ წარმოდგენის მეშვეობით, მართლა ისეა, რომ ადამიანი არის (ამით მოიხსნება ერთი წანამძღვარი) ისეთი პრიმიტიული დამწყები ფილოსოფოსი, რომელიც სპეკულაციურად მსჯელობს სამყაროზე? იქნებ პირიქით: ადამიანი – პრიმიტიული ველური, სულაც არაა პირველადი ფილოსოფოსი, რომელიც მსჯელობს სამყაროზე, რათა იგი შეიმეცნოს ცნობისწადილის გამო? ან იქნებ იგი წყვეტდა რაღაც ამოცანებსა და პრობლემებს წარმოდგენების შემუშავების საშუალებით და, პირიქით, თუ დავამტკიცებთ, რომ სინამდვილეში ატმოსფერული ელექტრობა ელვავა, ამით სულაც არ უარყოფთ რაღაცას, თუ ამ რაღაცას აქვს საზრისი.

თემას დავამთავრებ უბრალო მაგალითით, რომელიც ყველაფერს შეკრავს და უმაღლეს ფოილიდან მიგვიყვანს. ადამიანს აქვს ჰალუცინაცია თუნდაც ჩვეულებრივი საღი აზრის დონეზე; აქვს კი აზრი უმტკიცო ადამიანს, რომელსაც ჰალუცინაციები აქვს, რომ ასეთი საგანი სამყაროში არ არსებობს, რომ იგი ცდება ამ საგანთან დაკავშირებით? მას ასე ეჩვენება. უეცრად, ადამიანები მიხვდნენ, რომ საქმე ის კი არ არის, არსებობს ეს

საგანი თუ არა, არამედ ის რომ, გამოვავლინოთ, რა აზრი აქვს ჰალუცი-  
ნაციების მქონე ავადმყოფისათვის იმას, რაც ჰალუცინაციით გამოიხატე-  
ბა. გამოვავლინოთ არა სამყაროში საგნის შეცნობის თვალსაზრისით, არა-  
მედ იმ თვალსაზრისით, თუ რას წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკა, რომე-  
ლიც თავის თავზე ლაპარაკობს ხილვების ან ჰალუცინაციების ენით. მა-  
შასადამე, ჩვენ ცნობიერების ამ წარმონაქმნებს (ჰალუცინაციები კი ცნო-  
ბიერების წარმონაქმნია) ჭეშმარიტების ან ცდომილების წესით ანუ იმ  
საგანთან შეფარდების წესით როდი უნდა მივუდგეთ. ჩვენ ვხედავთ, რომ  
სპილოები ვარდისფერი არაა, ის კი მათ ვარდისფრად ხედავს. თუ ვი-  
ხელმძღვანელებთ ჩვენეული აღქმით (ჩემო კარგო, არ გინდა, დაწყნარდი  
და ა. შ.), არაფერი იმუშავებს. ფსიქიატრია ამაზე არ აიგება. მკურნალო-  
ბა ასე ვერ წავა. მიეცით ავადმყოფს წამალი, იგი მინც ხედავს.

ამრიგად, შევუდექით ფროიდის ანალიზს. მე, ცხადია, ფსიქონალიზის  
მთელ შინაარსს არ გადმოგცემთ, შევხები მხოლოდ პრობლემებს, რომლებ-  
საც დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიისათვის და რომელთაც გავლენა  
მოახდინეს მთლიანად კულტურაზე. დავუბრუნდეთ საზრისის პრობლემას.

უკვე გითხარით, რომ საზრისის პრობლემას შემოაქვს ტერმინები და  
ცნებები, რათა დავაფიქსიროთ ჩვენი ცნობიერებისა და გამოცდილების  
გარკვეული სფერო, რომელსაც სრულად ვერ მოიცავს ტერმინები „ცდო-  
მილი“ და „ჭეშმარიტი“. მე უკვე ვთქვი, რომ ის, რაც ობიექტური, მეც-  
ნიერული თვალსაზრისით არ არის ჭეშმარიტება, მინც არ შეიძლება შე-  
ფასდეს ტერმინით „ცდომილი“, რადგან ამ რაღაცას გააჩნია საზრისი.  
ესაა აზროვნების მთლიანი შემობრუნება. წინარე რაციონალისტური ან  
ობიექტივისტური მსოფლმხედველობა, ეხებოდა რა დაავადებების, ილუ-  
ზიების, გადახრების შემთხვევებს, ბუნებრივია, აფასებდა მათ ამ გადახ-  
რათა, დაავადებათა, ილუზიათა, დამახინჯებათა, ჰალუცინაციათა გარე საგ-  
ნობრივ რეალობასთან შეპირისპირების გამოშატეველი ტერმინებით, მი-  
იჩნევდა, რომ ეს შეპირისპირება ბუნებრივია. დაიმახსოვრეთ ეს ნიუანსი.  
როცა მე ვამბობ, რაღაც არაჭეშმარიტია, თქვენი განცდა არაჭეშმარიტია  
და ცდომილებას, ცრუ განცდას, ცრუ გრძნობას, ცრუ აზრს წარმოად-  
გენს, ვგულისხმობ, რომ თქვენი საკუთარი გამოცდილების გარკვეული  
შინაარსი რაღაცნაირად თქვენი გამოცდილებისაგან დამოუკიდებლადაა  
ცნობილი. თქვენ თითქოს რაღაცას განიცდით, ხოლო იმის შინაარსი,  
რისი განცდაც და ხედავც საერთოდ შეგიძლიათ, თითქოსდა ერთგვარად  
მოცემულია თავიდანვე – მოცემულია თქვენს განცდამდე, თქვენს მიერ  
რაღაცის რეალურად გასინჯვამდე – სწორედ იმ პერსპექტივაში, რომელ-  
საც მე აბსოლუტური ვუწოდებ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მოცემულია  
რაღაც თავისთავადი მოვლენის ხდომილების სახით. ე. ი. რაღაც ხდომი-

ლება, რაღაც განცდა თითქოსდა არსებობს თავისთავად სამყაროს ობიექტურ სტრუქტურაში მანამდე, სანამ იგი განიცდება და მანამდე, ვიდრე იგი ცნობილი გახდება. მე ხაზს ვუსვამ, რომ მხოლოდ ეს წინამძღვარი გვაძლევს შესაძლებლობას შევაფასოთ რაიმე, როგორც ადამიანის მიერ რეალურად განცდილი, გადახრა, ცდომილება.

ჩვენ ვიცით, რომ განცდილის რეალობა ცნობიერების ტერმინებში უტყუარია. თუ სამედიცინო ჩვენებით არაფერი გაწუხებთ, თქვენ კი გტკივთ – მაშინ თქვენი ტკივილის გრძნობა შეეჭვებოდა, ე. ი. ტკივილი არსებობს როგორც ცნობიერების მოვლენა, რაც არ უნდა თქვას მასზე მედიცინამ. არსებობს მოჭრილი ფეხის ფანტომური განცდა; ადამიანს ფეხი აღარ აქვს, მაგრამ არარსებული ფეხის თითების შეგრძნება რჩება. მიაქციეთ ყურადღება, რომ ცნობიერების თვალსაზრისით, ამგვარი ფანტომური განცდისას აზრი არა აქვს ლაპარაკს იმის თაობაზე, აქვს თუ არა კაცს ფეხი. ტკივილის ცნობიერება წარმოადგენს სწორედ ტკივილის შინაარსს. სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი თეზისია ეგზისტენციალიზმისა, რომელიც სწორედ ამგვარად ახანაობს ცნობიერებას: განცდის შინაარსს და არსებობას წარმოადგენს ის ცნობიერება, რომელიც მე მის შესახებ მაქვს. ამასთან წარმოჩნდება რაღაც ნიუანსი (მიაქციეთ ამას ყურადღება), რასაც შეიძლება განცდის ან ცდის თვითკმარობა ვუწოდოთ. ეს ცნობიერების მოვლენისადმი იმგვარი მიდგომაა, როცა ადამიანები იწყებენ ფიქრს, რომ უაზრობაა შევადაროთ რაიმე განცდა მისსავე შინაარსს, როგორცაა ის თავისთავად – ე. ი. როგორცაა ის არსთა, თავისთავად მოვლენათა სამყაროში, რაზეც სულ ახლახან გესაუბრეთ. ცხადია, როცა რაღაცას ვადარებთ რაღაცას, მაშინ ეს რაღაცასთან შეჯერებული რაღაც უკვე არ არის თვითკმარი. ხომ ასეა? სიტყვა „თვითკმარი“ ნიშნავს იმას, რომ რაღაც გვესმის, ვადარებთ რა მას თავის თავთან, მისი ფარგლებიდან გაუსვლელად, ვრჩებით რა თავად ამ განცდის საზღვრებში. სიტყვა „თვითკმარი“ სწორედ ამას ნიშნავს.

ხოლო როცა განცდას ვადარებთ რაღაც სხვას, მაშინ სწორედ ამით ჩვენ მას იმპლიციტურად არათვითკმარად ვთვლით, ე. ი. მიგვაჩნია თავისთავად არარსებულად. როცა ვამბობ, ტკივილის ცნობიერება ამასთანავე ტკივილის არსებობააო, ამით იმას ვამბობთ, რომ ტკივილის ცნობიერება თვითკმარია. მე არ მჭირდება მტკივანი ფეხის ცნობიერება შევუდარო მოჭრილი ფეხისას, ე. ი. რაღაც მოვლენას თავისთავად. რაკი არ არის მოვლენა თავისთავად, მამასადამე, თითქოსდა ტკივილიც არ უნდა იყოს. მაგრამ არა, მე ვგრძნობ ტკივილს. თუ ცნობიერების განსაზღვრებით ტკივილის ცნობიერება არის სწორედ მისი არსებობაც, მაშინ მე არ უნდა გავიდე ამ განცდის, ანუ ცდის საზღვრებიდან და მივიღო იგი,

როგორც თვითკმარი ცდა. ამით ვაღიარებ რაღაც ისეთ იმპლიციტურ წანამძღვარს, რომელიც არის იმპლიციტური წანამძღვარი ფროიდის მოძღვრებისა, აგრეთვე კულტურის, ცნობიერების, სიცოცხლის გაგების სხვა მრავალი წესისა. წანამძღვარი ასეთი შინაარსისაა: ეს განცდა, ეს ცდა გვატყობინებს ისეთ პრინციპულად ახალ რამეს, რაც არ არის მოცემული სამყაროს ობიექტურ პერსპექტივაში. სამყაროს ობიექტურ პერსპექტივაში ეს შეიძლება ყოფილიყო მოჭრილი ფეხი, ხოლო ცდაში – მოჭრილი ფეხის თითების მოძრაობის ფანტომური განცდა. მამასადამე, ჯერ ერთი, წანამძღვარი გულისხმობს იმას, რომ განცდის გარკვეული გამოცდილება – ცნობიერების გამოცდილება – პრინციპში გვაგებინებს რაღაცას, რაც არ არის თავიდანვე მოცემული არავითარ ობიექტურ პერსპექტივაში და, მაშასადამე, არ უპირისპირდება იმას, რაც გარემო დამკვირვებლისათვის ცნობილია. ყოველი ადამიანი, რომელიც იკვლევს ცნობიერებას, ცდას, აზროვნებასა და კულტურას, ამ ცდის მიღმა, გარემო დამკვირვებელია. ხოლო გარემო დამკვირვებელმა თავისი ბჭობა ისე უნდა ააგოს, რომ მან მოიცვას თავისთავში მხოლოდ ის, რაც პირველად მიიღება თავად ცდის საგნიდან – რომელიღაც დამკვირვებელი ადამიანის განცდიდან, ეს ბჭობა კი საზრისთა საზღვრებში უნდა მოძრაობდეს.

ამით ისევ ვუბრუნდები საზრისს. რა არის საზრისი? ამ სიტყვის ყოველდღიური მნიშვნელობისგან განსხვავებით, საზრისის პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როცა ვცდილობთ (ვაანალიზებთ რა შეგრძნებებსა და განცდებს) გავაანალიზოთ საზრისი მის საკუთარ ფარგლებში, მისი ტრანსცენდირების გარეშე, განცდილიდან გამოუსვლელად. ამ შემთხვევაში მე ვრჩები განცდის შიგნით, არ გავდივარ სამყაროს რომელიმე ცნობილ განცდაში, და მიმაჩნია, რომ პირველად აქ იბადება ეს საზრისი. ვიმეორებ, მიმაჩნია, რომ მთელი აზრი პირველად აქ იბადება, განცდის ამ წერტილში. საზრისის პრობლემა არის ისეთი პრობლემა, რომლის შიგნითაც ჩვენ ვიღებთ განცდების გამოძახატველ საგნებს, ტერმინებს, სიტყვებს, რომლებსაც დამკვირვებლისათვის ცნობილ გარე სამყაროსთან შეუდარებლად გააჩნიათ საზრისი, ისინი ხსნიან და გამოხატავენ ცნობიერების რაღაც დაფარულ შინაგან პროცესებს, რაღაც სტრუქტურებს და ფენებს და ამით პოულობენ გამოხატვას ამ საგანში. ცნობიერების სამყარო, ცნობიერების რომელიღაც სტრუქტურების ერთობლიობა, იერარქია ცნობიერების დონეებისა მთლიანობაში პოულობენ გადაწყვეტას საზრისის საშუალებით და თავის ფორმასა და მოძრაობის წესს საზრისებში პოულობენ. მაშასადამე, საზრისი არის სპეციფიკური რამ, იგი თითქოს იძლევა რაღაც სხვის გადაწყვეტას, ან პრობლემის გადაჭრას. ან, სხვაგვარად: საზრისი, რომელიც გვაქვს ზედაპირზე, ან რაღაც, რაც გვაქვს ზედაპირზე და ჩვენ

საზრისს ვუწოდებთ, არის პრობლემის გადაწყვეტის კვალი. მიაქციეთ ამას ყურადღება.

განვმარტავ, რა არის საზრისი, როგორც პრობლემის გადაწყვეტის კვალი (ისინი რაღაცას ნიშნავენ ფსიქოლოგიისა და ადამიანის სულიერი და ფსიქიკური ცხოვრების ჩვენეული, უფრო რეალისტური გაგებისათვის). ამისათვის მე თქვენ მიმყავხართ ადამიანის ეგრეთ წოდებულ ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების პრობლემასთან და მოვიყვან მაგალითს არა ფსიქონალიზიდან, არამედ – ეგზისტენციალიზმიდან. მოვიყვან ფსიქონალიზური ხასიათის მაგალითს სარტრის მიხედვით, თუმცა იგი არ იზიარებდა და არ იღებდა ფსიქონალიზს.

ჩვენ მივეჩვიეთ, განვიხილოთ ადამიანი, როგორც რაღაც უცნაური არსება, რომელსაც (ვთვლით რომ, ბუნებრივად) ახასიათებს ნიშან-თვისებები: ერთი დიდსულოვანია, მეორე – არა; ერთი ძუნწია, მეორე – გულუხვი, ერთი – მელანქოლიკია, მეორე – მხიარული და ა. შ. სარტრს აქვს მოთხრობა, სადაც იგი აგვიწერს ახალგაზრდა კაცის ცხოვრების გზას და ფსიქოლოგიას იმგვარად, რომ გვაჩვენებს ადამიანის თვისებებს (მოცემულ შემთხვევაში ესაა პოლიტიკური, ისტორიული, ფაშისტური აგრესიულობა), რომელთაც ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური ახსნისას მივიჩნევთ ამ ახსნის საბოლოო ინსტანციად.

ჩვენ ვამბობთ – ეს ადამიანი ასეთია. ამით ვიძლევი მისი გამოვლინებების ახსნას. მაგრამ რა ზრით არის ის ასეთი? ფსიქოლოგია ჩვეულებრივ სწორედ ამგვარად განიხილავს საკითხს – ის, რაც გამოვლინდება რაღაც ნიშან-თვისებების სახით, სინამდვილეში არის რაღაც მყარად დაფიქსირებული, დამარებული რამ, ე. ი. არის კვალი მომხდარი ხდომილებების, გარკვეული დინამიკის გამყარების, განმტკიცების პროდუქტი. ამ თვისების წყალობით ადამიანმა გაიცნობიერა სამყარო და იგი თავისთვის შესაძლებელი გახადა.

თუ ჩვენს წინაშე დგას რაღაც პრობლემა, რომელიც შედგება კომპონენტებისაგან – x, y, z და ა. შ. რას ვუწოდებთ პრობლემის გადაწყვეტას? პრობლემის გადაწყვეტას ვუწოდებთ პასუხს რაღაც ისეთზე, რაც უფლებას გვაძლევს მივანიჭოთ პრობლემას საზრისი და გავხადოთ იგი დასაშვები. მაგრამ მამინ, საჭიროა ვიცხოვროთ ამ პრობლემასთან ერთად, ე. ი. სამყარო გავხადოთ მისაწვდომი, მისაღები, რათა მასში შესაძლებელი იყოს ცხოვრება და საკუთარი თავის რეალიზება. აი, რა არის პრობლემის გადაჭრა.

მამ ასე, ამ ახალგაზრდა ადამიანმა ბავშობაში გადაიტანა რაღაც სექსუალური ტრავმა. მან გაიზრა იგი, ე. ი. მიანიჭა მას საზრისი და სამყარო, რომელიც აყენებდა მას ტრავმას, მისთვის დასაშვები გახდა მხოლოდ საკუთარი ისტერიის და აგრესიის საშუალებით.

ან, მაგალითად, განვიხილოთ სიტყნწე. ესაა ფულთან დამოკიდებულების წესი, რის სამუალებითაც ადამიანმა, რომელსაც ტუნწს ვუწოდებთ, თავისი ცხოვრებისეული პრობლემები მოაგვარა. მისი პრობლემები გარდაიქმნა თვისებად და სამყარო მისთვის შესაძლებელი გახდა, რამდენადაც იგი ტუნწია. ეს პრობლემები შეიძლება სექსუალურიც იყოს და გამოვლინდეს ამ სუბიექტის ფულთან დამოკიდებულებით. ე. ი. ფული ის საგანია, რომელშიც მოხდა ზოგიერთი ფსიქიკური, ბავშობაში არსებული იმპულსების, მოძრაობების და ლტოლვების კონცენტრირება. მათ ამ საგანში მოიყარეს თავი, შემდეგ ცნობიერებას გაეცალნენ და ახლა ამ ადამიანში, და არა ვინმე სხვაში, რეალიზდებიან ფულთან მისი დამოკიდებულების სახით, რასაც ჩვენ ამკარად ვხედავთ და ვამბობთ: ეს კაცი ტუნწია. შეიძლება შემოვებრუნოთ პრობლემა, შეიძლება ავიღოთ ის, რასაც ჩვენ ზედაპირზე ვხვდებით, და წავიდეთ უკან მომხდარისკენ, როგორც მასალისკენ, რომლის სამუალებითაც შეგვიძლია კვანძი გავხსნათ. ამისათვის საჭიროა ორი წანამძღვარი. ჯერ ერთი, სიტყნწე ან აგრესია არ უნდა განვიხილოთ როგორც მზა თვისება, როგორც ახსნის საბოლოო ინსტანცია. მეორე, სიტყნწეს ან აგრესიას უნდა მივანიჭოთ საზრისი: აი, რას ნიშნავს მოცემულ შემთხვევაში სიტყნწე ან აგრესია. ესე იგი საჭიროა დავინახოთ საზრისისეული წარმონაქმნი იმ მნიშვნელობით, რომ რაიმე თვისება გავიგოთ როგორც მხოლოდ სიმპტომი. მე შემომოაქვს ფსიქოანალიზისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვა „სიმპტომი“ და მოდით, ნუ გადავადებთ მას. განვმარტავ, რას ნიშნავს ერთი შეხედვით უბრალო სიტყვა „გადადებდა“. ვიკითხოთ: რას ნიშნავს „ნამდვილად არის“; როცა საქმე გვაქვს ჰალუცინაციასთან, რომლის დროსაც ადამიანი ხედავს არა იმას, რაც „ნამდვილად არის“? ამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენი სიტყვები უცოდველი როდია: ისინი გულისხმობენ წანამძღვრებს და დამვებებს; როცა მე ვამბობ – „რაც არის ნამდვილად“ – ეს ნიშნავს, რომ ნამდვილად, თავისთავად არის რაღაც – რაც არსებობს გარეგანი დაკვირვების გარკვეულ პერსპექტივაში, მოვლენათა სამყაროში. ადამიანს ნამდვილად არა აქვს ფეხი, ანდა ნამდვილად არ არსებობს ვარდისფერი სპილო, მაგრამ ადამიანი ხედავს ვარდისფერ სპილოს ან შეიგრძნობს მოჭრილი ფეხის თითებს. ამ ფანტომის მიხედვით შეგვიძლია ზოგიერთი ფუნდამენტური ფსიქიკური პროცესის ხლართი გავხსნათ, რათა სწორედ ამ და არა სხვა ფანტომით გამოვსახოთ იგი. აქედანაა ის დამოკიდებულება შეცდომებთან, ილუზიებთან, გადახრებთან, რაზეც ახლახანს ვთქვი – „ეს არ უნდა გადავადლოთ“.

დააკვირდით, როგორ მსჯელობდა ჩვეულებრივ ტრადიციული ფსიქოლოგია, კულტუროლოგია და ფილოსოფია. არსებობს ფსიქიკის ზოგი-

ერთი ნორმალური პროცესი. რა თქმა უნდა, ვაკვირდებით რაღაც დაავადებებს, გადახრებს, მაგრამ ყველა ეს დაავადება და გადახრა (ფიზიკურ ტერმინებში კი) ახსნადი მერყეობაა, ფიზიოლოგიური აპარატის შემთხვევითი ჩავარდნაა, რასაც მოეძებნება სრულიად კანონიერი ახსნა, თუ კი გავანალიზებთ ჩვენს ორგანოთა სტრუქტურას. დაუშვათ, გვეჩვენება რაღაც, რაც არ არის. ჩვენ შეგვიძლია დავხაზოთ სინათლის სხივთა მოძრაობა, მათი გარდატეხა და სხვ. ვაჩვენოთ, რომ ხედვისა და მხედველობის გარკვეულ პირობებში ჩვენ ესა და ეს უნდა მოგვეჩვენოს. ეს უბრალოდ ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების გადახრაა მისივე მუშაობის ნორმალური რეჟიმიდან. რას ნიშნავს „გადახრა“? ეს ნიშნავს – ანგარიში გავუწიოთ არა-არსებობის, შემთხვევითის, იმ აზრით, რომ იგი არ შეიძლება ოდესმე იყოს ანალიზური, კვლევითი ან მეცნიერული საქმიანობის მასალა.

გასულ წელს ინტელიგენციაზე ლაპარაკისას მის წარმომადგენლებს "поверенные провидения" – განგების რწმუნებულები – ვუწოდებ და აი, იმის ნაცვლად რომ მეთქვა "поверенные провидения" – „განგების რწმუნებულები“, წამომცდა "поверенные провидения" „შემოწმებული განგებანი“. ეს ფსიქონალიზისეული წამოცდენაა. შეცდომა იქნებოდა იგი იმ მომენტში ჩემი უყურადღებობით აგვეხსნა, სიტყვათა ნაკადის ჩვეულებრივი ფლუქტუაციით, რის დროსაც დასაშვებია შემთხვევითობა, რომელსაც შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ, რადგან ისინი საზრისს არ შეიცავენ. ამ გადახრას კი აქვს საზრისი, იმიტომ რომ თავად წამოცდენას, სადაც გვხვდება სიტყვა „შემოწმებული“, სინამდვილეში აქვს ღრმა კავშირი იმასთან, რაზედაც მე ვლაპარაკობდი. ინტელიგენციის წარმომადგენლები მხოლოდ რწმუნებულები როდი არიან. თუმცა მე არ ვაპირებდი ამის თქმას, არც მიფიქრია მეთქვა ეს. აზრი გამოითქვა იმ გამოთქმებისაგან განსხვავებულად, რომლებიც იქამდე ცნობიერად იყო კონტროლის ქვეშ.

ჩვენს გამოთქმებს (იმას, რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ) ცნობიერად აკონტროლებს გამოთქმის განზრახვა. ამის გარდა კიდევ არსებობს ის საზრისი, შინაარსი, რომელიც თითქოს მზა სახით მოცემულია ჩვენს გონებაში და რომლის გამოთქმაც ჩვენ გვსურს. ამ გამოთქმისათვის ვეძებთ ფორმას, სიტყვებს. ასე რომ, როცა მე ვთქვი „შემოწმებული“, ე. ი. „საიმედონი“, სწორედ ეს იყო საზრისი, რომლის გამოთქმასაც არ ვაპირებდი და რომელიც უნებლიედ გამოითქვა. ფსიქონალიზი სწორედ ამ ცნობიერ „თქმასა“ და უნებურ „გამოითქვას“ შორის ავლებს ზღვარს.

თუ ადამიანი ხედავს იმას, რაც არ არის – მაგალითად, ვარდისფერ სპილოებს, მაშინ უნდა დავაკვირდეთ იმას, რაც უნებურად გამოითქვა. მაშასადამე, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა განვიხილოთ დაავადებანი, გადახრები, ჰალუსინაციები, შეცდომები, როგორც რაღაც საგულისხმო, მაგ-

რამ არა მათი პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ არაპირდაპირ – სიმბოლური ან სიმპტომატური მნიშვნელობით. უნდა განვიხილოთ რაიმე, არა როგორც შეცდომა, არა ისეთი რამ, რასაც გარე საგანთან „ჭეშმარიტება – ცდომილების“ განასერში ვადარებთ, არამედ – როგორც სიმპტომი. ამგვარად, ის უნდა განვიხილოთ როგორც თვითკმარი, უნდა დავრჩეთ მის ფარგლებში და ვნახოთ, რა აიხსნება ამით. არის ისეთი ნევროტული მდგომარეობა, რომ ვერ ვიძინებთ თუ გარკვეული უცნაური რიტუალი არ შევასრულებთ, ზოგჯერ ფარული და გარეგნულად შეუმჩნეველი, მაგრამ იმდენად ძლიერი, რომ ადამიანი სრულად არ უწყევს კონტროლს თავის თავს. ის მიმართავს ამ რიტუალებს, მაგალითად, ჭმავს ყირას, სამჯერ იღებს ცხვირზე ხელს, რაღაცას დებს ბალიშის ქვეშ და მხოლოდ მაშინ ახერხებს დაძინებას. რას ნიშნავს ეს? ცხვირზე ხელის დადება, ყირის გაჭიმვა – არ არის საგნები, არამედ საზრისებია, რომლებშიც ჩადებულია ფიზიკური პროცესები. საზრისი არის დინამიკის თავისებური გადაწყვეტა. ამიტომ შეგვიძლია განვიხილოთ ცხვირი არა როგორც ანატომიური მოვლენა, არამედ როგორც ფსიქიკური, და შევეცადოთ, რაკი საამისოდ გარკვეული ტექნიკა გვაქვს, გავშიფროთ იგი. იგივე ითქმის წარმოდგენებზეც, შეცდომებზეც.

ახლა მე ვისაუბრებ წარმოდგენაზე, რომელზეც ფროიდი ლაპარაკობს. რომელი ავარჩიოთ? ერთის ნაცვლად ავიღებ ორს, რომ ოდნავ დავასვენო თქვენი ყურადღება. არის ასეთი გერმანული გამოთქმა, სტანდარტული გამოთქმა, სიტყვათმეთანხმება, რომლის მსგავსი ნებისმიერ ენაში მოიპოვება. მაგალითად, მე გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ გამოთქმას: აღმოჩნდა, რომ ზედაპირზე ამოტივტივებულა. „ზედაპირზე ამოტივტივდა“ გერმანულად არის "Zum Vorschein gekommen". ვწერ მხოლოდ ერთ სიტყვას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არსებითია – Vorschein თქვენ იცით Vor „წინ“ წინსართია, ხოლო schein – იმის დანახვა, რაც ჩანს, გამოჩნდა, ზედაპირზე ამოვიდა. ორატორი, რომელსაც სურს ამის თქმა ამბობს: Zum Vorschein, schein-ის ნაცვლად ჩნდება Schwein-ლორი; უაზრობაა. არ არსებობს ასეთი სიტყვა Vorschwein. მან, რა თქმა უნდა, ბოდიში მოიხადა და გაიმეორა გამოთქმის სწორი ფორმა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ეს სიტყვა (ადამიანის ნამდვილი ფიქრის ამოხსნის სხვა ხერხების გარეშე) საკმარისია, გამოამკარავდეს ამ ადამიანში არსებული ფსიქიკური ფენა, მასში არსებული ფსიქოლოგიური შინაარსი ცნობიერი ინტენციის, ე. ი. გამოთქმის განზრახვის მიერ ის სრულიად გაუკონტროლებლად ისეა წამოცდენილი, რომ აჩვენოს ნამდვილი აზრი და ადამიანის ჭეშმარიტი დამოკიდებულება იმასთან, რაზეც ის ლაპარაკობდა. საუბრის თემას თვლიდა ღორობად, ამიტომაც წამოსცდა. ამ სიტყვით გამოთქვა თავისი დამოკიდებულება უნებლიედ წამოცდე-

ნილ უაზრობაში, სიტყვიერ სიმახინჯეში. მამასადამე, **Vorschwein** უბრალო უყურადღებობის, ფიზიოლოგიური დადლილობის (რომლის მოცილებაც შეიძლება) ნაყოფი კი არაა, არამედ საკუთარი მნიშვნელობის მატარებელი გამოთქმაა.

ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ იგი, როგორც სიმპტომი ან სარკმელი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დავინახოთ ისეთი რამ, რასაც ვერ დავინახავდით, ეს სარკმელი რომ არ ყოფილიყო.

მეორე მაგალითი; ახალგაზრდა ვაჟი აპირებს მანდილოსნის გაცილებას. გერმანულად „გაცილება“ არის **"begleiten"**. გერმანულში კიდევ ერთი ზმნაა, გარეგნულად ამ სიტყვის მსგავსი – **"leidigen"**. პირველი ნიშნავს – გაცილებას, თანხლებას და სხვა. ხოლო **"leidigen"** – დაზიანებას, გაფუჭებას, ტანჯვას, ტკივილის მიყენებას. ახალგაზრდა ვაჟი ნაცვლად გერმანული ფრაზისა – „ნება მომეცით, გაგაცილოთ“, ამბობს – **"begleiden"** ასეთი სიტყვა გერმანულ ენაში არ არსებობს. ის წარმოადგენს... როგორ გითხრათ? – ორი სიტყვის ჩემოდნურ შეკოწიწებას. ფრანგები ამბობენ – **mot valise**, ე. ი. – ჩემოდანს, რომელიც რამდენიმე სიტყვას მოიცავს, რასაც მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. მაშ, რა არის ეს მახინჯი **"begleiden"**? რა მოვუხერხოთ მას? ამ შემთხვევაში ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც წინაში – გავიგოთ იგი, როგორც საზრისიანი წარმონაქმნი, როგორც სიმპტომი. თუ მას განვიხილავთ როგორც სწორედ ასეთს, მაშინ იგი კარგავს თავის სიმახინჯეს და საქმის ვითარებას შესანიშნავად გამოსახავს: ახალგაზრდა კაცის მიერ ქალისათვის შეთავაზებაში – გაეცილებინა იგი, სინამდვილეში დაფარული იყო სექსუალური ეროტიკული საზრისი და განზრახვა. ჩვენ უმანკოდ როდი ვაცილებთ ქალებს (თუ, რა თქმა უნდა, დიდი ხნის ნაცნობი არ არის). ახალგაზრდა კაცი აფასებდა თავის ლტოლვებს, როგორც სამარცხვინოს, როგორც ქალისათვის საზიანოს (შეეძლო ასე არ შეეფასებინა, რადგან ეროტიკაში არაფერია გასაკიცხი). საკუთარ მდგომარეობას და სურვილს შინაგანად სწორედ ასე აღიქვამდა. ეს ყველაფერი სილოგოზმებით კი არ აიგება, არამედ ჩვენი სულის წამიერ გაუცნობიერებელ რეაქციებში შეკოწიწდება, წარმოადგენს პათოსს ჩვენი ტემპერამენტისა, რომელიც ჩვენ თვითონ ვართ. ამ რთული მდგომარეობის გამოსახატად არსებობს სიტყვა **leidigen** – ზიანის მიყენება, და იგი მიეწება მის მსგავს სიტყვას **"begleiten"**, ამან კი წარმოშვა სიმახინჯე – **"begleiden"**.

ფსიქონალიტიკოსისათვის, ე. ი. ადამიანისათვის, რომელმაც ფსიქიკური ცხოვრებისადმი თავისი დამოკიდებულების წესი მთლიანად გარდაქმნა, ასეთი სიტყვა ძვირფასი შენაძენია: ამით შეიძლება ვიმსჯელოთ ისეთ რამეზე, რაზეც შეუძლებელი იქნებოდა მსჯელობა და გაგება, თუ დავრ-

ჩებოდით მხოლოდ ადამიანის კონტროლს დაქვემდებარებული და შეგნებულად გადმოცემული შინაარსების, განზრახვებისა და აზრის დონეზე. ახლა კი შეგვიძლია რაღაც ვიცოდეთ ადამიანის ფსიქიკასა და პათოსზე.

ასეთი სიტყვები შეიძლება შექმნა; სხვათა შორის, ისინი მე-20 საუკუნის პოეტებთან ძალიან ბევრი გვხვდება, განსაკუთრებით ფრანგებთან. არის მშვენიერი ფრანგული ლექსიკონი – "dictionnaire des mots sauvages", „ველურ სიტყვათა ლექსიკონი“. მაგრამ „ველურს“ ფრანგულ ენაში ცოტა სხვაგვარი შეფერილობა აქვს. მასში იგულისხმება მოუთვინიერებელი, თავისუფალი ცხოვრებით არსებობა. რემბომ შექმნა ახალი სიტყვა **Patrouillotisme**. სიტყვა **patrouille** – ნიშნავს პატრულს („ლ“-არ გამოითქმება). ნაციონალური გვარდიის შეიარაღებული წარმომადგენლების მოხალისეთა ყურებამ, რომლებიც მუსიკის ჰანგების თანხლებით აღფრთოვანებულნი მწყობრად მარშირებდნენ, წარმოშვა **patrouillotisme** და... ყველაფერი ნათელი გახდა ამ გემრიელი სიტყვის საშუალებით.

ამგვარად, ჩვენ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით, რათა გაგვეგო ფროიდის მოძღვრება, ჩავწვდომოდით ფსიქოანალიზის ნამდვილ აზრს, გაგვეგო, რატომ აღმოჩნდა ფსიქოანალიზი ასეთი დიდი მნიშვნელობის მქონე XX საუკუნისათვის. რაშია საქმე? ის ხომ, მრავალთა შორის ერთ-ერთი სამედიცინო მოძღვრებაა. რის გამო ატყდა ასეთი ალიაქოთი? ახლა ჩვენ ვიწყებთ იმის გაგებას, რომ მოცემული მოძღვრების თვით სააზროვნო სტილში, ამ ბუნებრივი სტილის შიგნით ხდებოდა რაღაც ცვლილება – თავად ჩვენი აზროვნების წანამძღვრებში და მის სიღრმეებში. აი, რასაც მე გიხსნით ტერმინებით – „ჰემმარიტება-ცდომილება“, „საზრისი“, „გარეგანი დაკვირვება“, „ცდა“, „მოვლენა“ – თავისთავად ყოველივე ამის შეფასების სხვადასხვა ხერხია. ამ ყველაფრის იქით დგას აზროვნების განსხვავებული სტილისტიკა. აზროვნების ერთი სტილისტიკა კლასიკურია, მემკვიდრეობით მიღებული, ხოლო მეორე ისაა, რომელშიც სხვადასხვა მეცნიერული ანალიზის მცდელობებს შევყავდით, მათ შორის ფროიდის მცდელობასაც.

ამგვარად, საზრისის პრობლემასთან დაკავშირებით, აზროვნების ახალ სტილისტიკაში ვიჭრებით. ახლა განვიხილავ სხვა, ამ საქმის ასევე არსებით მხარეს, რომელიც თვით ფროიდს ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული. ამას წინათ ჩემ მიერ უკვე გაკეთებულ რეზიუმეში, როცა შევეცადე ახლოს მიმეყვანეთ ფროიდის მოძღვრებასთან, მე გესაუბრეთ ცნობიერების სიცოცხლის იმ წარმოდგენაზე, რომელშიც განლაგებულია თვით ცნობიერების რაღაც კონსტრუქცია ან პროცედურა, რაც გვაძლევს საშუალებას მთლიანად დავუფლოთ ჩვენს ფსიქიკურ ცხოვრებას და გამოვავლინოთ იგი უკვე ცნობიერ, კონტროლს დაქვემდებარებულ დონეზე. მე გე-

უბნებოდით, რომ ადამიანში არის ეროტიკული პროცესები, აგრესიული ლტოლვები და ა. შ. — ფროიდის სიახლე ის კი არაა, რომ მან აჩვენა, რამდენად ღრმადაა დაფარული აგრესიული, მანკიერი, ცხოველური ბუნება. არა, ვითარება ასე როდია.

არსებობდა ვარაუდი, რომლის თანახმადაც თვითშემეცნების დონეზე ჩვენ შეგვიძლია ზემოქმედება მოვახდინოთ ამ სპონტანურ პროცესებზე, ჩვენს ბუნებაზე და ვმართოთ ისინი, ე. ი. ძალგვიძს წარვმართოთ ადამიანი და მისი საქმიანობა რაღაც მიმართებით, მაგალითად — განვითარების, პროგრესის, განათლების და სხვა მიმართებით. ამგვარად, ივარაუდებოდა, რომ ეს თვითცნობიერება, ან მე, არის სულიერი და ფსიქიკური ცხოვრების რაღაც ცენტრი, თითქოსდა ჩვენი ცნობიერების სამყარო და ამ სამყაროს ცენტრში დგას თვითცნობიერი მე. გაიხსენეთ გეოცენტრული სისტემა, სადაც დედამიწა ცენტრია. რა არის დედამიწა? ადამიანთა სამკვიდრო: ე. ი. დედამიწა არის სწორედ ადამიანი, რამდენადაც დედამიწა ადამიანთა სამკვიდროა. დედამიწა — მსოფლიოს ცენტრია. მის ირგვლივ ბრუნავს მთელი სამყარო. ამგვარად, ვლაპარაკობთ რა ადამიანის ირგვლივ მბრუნავს სამყაროზე, ასტრონომიის შემთხვევაში ეს დედამიწის ირგვლივ ბრუნვაა. დავიმახსოვროთ ეს მეტაფორა და გადავინაცვლოთ სხვა მხარეს — რა მივიღეთ იმ ცოტაოდენით, რისი თქმაც მოვასწარი საზრისის პრობლემასთან დაკავშირებით, როცა სიმპტომებზე ვილაპარაკე? გავარჩიე ორი ფორმა — „თქმა“ და „გამოითქვა“. „გამოითქვა“ ნიშნავდა ისეთ რამეს, რაც თავად ლაპარაკობს ჩვენი მეშვეობით, ჩვენ მიერ კონტროლს დაქვემდებარებული აზრის საშუალებით, მაგრამ გამოხატავს რაღაც სხვას. რა არის რაღაც, რასაც სიმპტომად მივიჩნევთ? ეს ნიშნავს, განვიხილოთ რაღაც არა როგორც აზრის პირდაპირი ანალიტიკური ობიექტი, არამედ მივიჩნიოთ, რომ შენ ლაპარაკობ A-ს შესახებ, ხოლო სინამდვილეში გამოითქმება B, რაღაც არაპირდაპირი ან სიმბოლური ობიექტი. უფრო ზუსტად, ამ შემთხვევაში გამოთქმულ A-ს ვიღებთ არა როგორც აზრის პირდაპირ შინაარსს, არამედ როგორც სხვა რაღაცის არაპირდაპირ ანდა ირიბ, სიმბოლურ გამოსახვას.

აქ იგულისხმება შემდეგი წანამძღვარი. ის, რაც მე-დ იწოდება, და ის, რაც უნდა იყოს ცნობიერი სიცოცხლის ცენტრი, რომლის წყალობითაც ყველაფერი რეკონსტრუირდება, და რომლის ირგვლივ, ბუნებრივია, მთელი სამყარო ბრუნავს, — ამ შემთხვევაში — ცნობიერების სამყარო, ასეთი ცენტრი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს ცნობიერების ისეთ სამყაროსთან, რომელსაც ცენტრი არ გააჩნია, ე. ი. მე-ს ტახტიდან ვაგდებთ. აზროვნების ისტორიაში ხელახლა ჩნდება ტერმინი „კოპერნიკიუსული რევოლუცია“. თავდაპირველად რეალური კოპერნიკიუსული რევო-

ლუცია ასტრონომიაში მოხდა, რის შედეგადაც დედამიწამ დაკარგა თავისი პრივილეგირებული ცენტრალური მდგომარეობა. ცენტრი აღმოჩნდა მზე. შემდეგ ტერმინი „კოპერნიკისეული რევოლუცია“ გამოიყენა კანტმა თავის შემეცნების თეორიაში და აი, ახლა ფროიდმა გამოიყენა ეს ტერმინი ფსიქოლოგიასა და ფსიქოანალიზში, საერთოდ ცნობიერების ანალიზისას.

აქ ანთროპომორფული წანამძღვარი მართლაც მთლიანად იცვლება. მე-ს ჩამოერთვა თავისი მდგომარეობა ცენტრისა, რომლის ირგვლივაც ბრუნავს სამყარო. ფროიდთან ეს აღინიშნება ტერმინით „კოპერნიკისეული რევოლუცია“. მას შესანიშნავად ესმოდა საკუთარი მუშაობის მნიშვნელობა. უფრო მეტიც, ცენტრიდან მე-ს გაქევებით ჩვენ მოვიპოვეთ ერთი საინტერესო შესაძლებლობა – დავინახოთ თვით ეს მე, რომელიც ფიქრობს, რომ ცენტრია. ერთი მხრივ, ჩვენ უკუვაგდებთ ცენტრიდან მე-ს, ხოლო მეორე მხრივ, მე ხომ მიმაჩნია, რომ ვარსებობ როგორც ცენტრი. ვარსებობ განსაკუთრებული აზრით, – მე-ს ილუზიის სახით, ან კონსტრუქციის სახით, რომელზედაც სხვა უფრო არსებითი თვისებები კრისტალდება. ჩვენი მე არ არის ცნობიერების ნამდვილი ცენტრი; ამ მნიშვნელობით ცნობიერებას არ გააჩნია ცენტრი, იგი შედგება სხვადასხვა ფენისაგან, დონეთა იერარქიისაგან, რომლებიც გადახლართულია და გამოისახება ერთმანეთის საშუალებით, და, რაც მთავარია, ამ დონეთა მუშაობა და მათი გადაჯაჭვა არ არის მე-ს ცნობიერი მოქმედების პროდუქტი. ისინი თავად იხლართებიან, ქმნიან იერარქიას და გამოისახებიან ერთმეორის საშუალებით. უფრო მეტიც, ამასთან იბადება მე, როგორც განსაკუთრებული საგანი, რომელსაც ონტოლოგიური არსებობა არ გააჩნია, მაგრამ აქვს საზრისისეული ანდა სიმბოლური არსებობა. ე. ი. თავად მე – როგორც მე, იქცევა სიმპტომად. თავდაპირველად ცნობიერების რაღაც პროცესიდან და მასში გამომუშავებული აზრიდან, ცდიდან ვაგებთ (მე ოდნავ გავაუხეშებ) წარმოდგენებს საკუთარ თავზე, რომლის საშუალებითაც ვხსნით ამ პროცესებს. მაგრამ, სინამდვილეში ესაა წარმოდგენა საკუთარ თავზე – იგი კი არ აწარმოებს ამ პროცესებს, არამედ მხოლოდ სიმპტომი, სიმბოლო ან კონსტრუქციაა, რომელზედაც პროცესები კრისტალდება.

ამის საფუძველზე ევროპულ ფილოსოფიაში ჩნდება თემა, რომელიც მასში ყოველთვის არსებობდა, მაგრამ არსებობდა იმპლიციტურად და მივიწყებული იყო. ჩნდება თემა, რომელიც ცნობიერებაში წარმოდგებოდა როგორც დასავლურ-ევროპული აზრის დამანათესავებელი აღმოსავლურ აზრთან, რომლისათვისაც, კარგა ხანია, ცნობილი იყო მე-ს განხილვა, როგორც რაღაც არ არსებულისა ან ილუზიისა. მაგალითად, ბუდიზმის ფუნდამენტური ფილოსოფიის პოსტულატს წარმოადგენს მტკიცება: მე არ არსებობს. და თუ არსებობს საგნის სახით, მაშინ იგი არის ადამიანის

ყველანაირი ავადმყოფობისა და უბედურების წყარო, სულიერი სიჯანსაღის მთელი პრობლემა იმის გაგებაა, რომ მე არ არსებობს. ეს კონსტრუქცია უნდა დაინგრეს. ჩნდება სიტყვა — „იდეა“; „იდეა“ ჩვენს ყოველდღიურ ყოფით ენას ეწინააღმდეგება. აი, ახლა მე განმეორებით ხაზს ვუსვამ ამ ვითარებას, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ფილოსოფიური ენის ხასიათი.

მამასადამე, ჩნდება სიტყვა „იდეა“ (საწინააღმდეგო ყოფითი ენის) — „იდეა“ სულისა, როგორც რაღაც თავისუფლებისა ან ერთისა, რომელიც არ არის ერთეული, ჩაკეტილი დისკრეტულად არსებული თითო მოაზრებული სხეულის ფარგლებში.

ესაა სწორედ ჩვენი ყოფითი ადამიანური ენის წანამძღვარი. ჩვენ ხომ ერთმანეთის ყურებისას უნებურად ვანაწილებთ სულიერი ცხოვრების ცენტრებს, რომელთაც „სულს“ ვუწოდებთ. ამ ცენტრს ჩვენ ვუწოდებთ „სულს“ ისე, თითქოს სხეულის ყოველი კუნჭული სულის ნაწილს შეიცავდეს. სხეული თითქოსდა არსებობს დისკრეტულად გამოყოფილი — ჩვენ ხომ სხეულებს ნამდვილად გამოყოფილს ვხედავთ. და აი, თითოეულ სხეულში, მის შიგნით არის სული. ახლა შეგვიძლია ვიმსჯელოთ სხვადასხვაგვარად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სული ამ სხეულის ფუნქციაა — აქ ჩვენ მატერიალისტები ვართ. თუ ჩვენ პესიმისტი-იდეალისტები ვართ, ჩავთვლით, რომ სხეული სულის საპყრობილეა, მივიჩნევთ, რომ სული რაღაც ერთეულია, რაღაც კომპაქტური, ასევე დისკრეტული საგანია, მაგრამ განსაკუთრებული სახისა — იგი სხეულის საპყრობილეში ცხოვრობს და იქიდან გამოჭრას ლამობს.

მგონი, გითხარით, რომ აზროვნების ისტორიაში ცნობილია ერთი შერეკილი ადამიანი. მას უტოპისტ სოციალისტს უწოდებენ... მაგრამ, გარდა იმისა, რომ სოციალიზმის, ანუ პოლიტიკური აზრის გარკვეული ხაზის მიმდევარი იყო, ის იყო შერეკილი და მეტაფიზიკოსი, რიცხვის მისტიკისადმი მიდრეკილი ფილოსოფოსი. ცოტა პედანტიც იყო და ძალიან უყვარდა თვლა. მაგალითად, მან ადამიანი დაყო თორმეტ ძირითად ლტოლვად და შემდეგ ამ თორმეტიდან შესაძლო კომბინაციებით გამოთვალა და მიიღო გარკვეული რიცხვი, შემდეგ მათი კომბინირებაც დაიწყო. მე მხედველობაში მყავს შარლ ფურიე. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ აქ არსებობს ორი შედეგი: ერთი — ლინგვისტური, რადგან როცა რაღაცას ითვლი, ძალზე დანაწევრებულ კლასიფიკაციას ახდენ, ამ კლასიფიკაციებს სახელები უნდა უწოდო — „კლასიფიკაციის ელემენტები“. ჩვენი ენა ღარიბია და სიტყვების გამოგონება გვიხდება. ფურიე იგონებდა ფანტასტიკურ, ძალიან ლამაზ სიტყვებს, იმ ჩემოდნური სიტყვების მსგავსს, რომელზეც მე გესაუბრეთ. განსაკუთრებით ბევრია ასეთი სიტყვა მის ერთ წიგ-

ნში, რომელიც დიდი ხნის მანძილზე გამოუქვეყნებელი იყო, რადგან სოციალისტებმა, როგორც ბურჟუაზიის მტრებმა (ჩვეულებრივ, მტრის დონე განსაზღვრავს შენს საკუთარ დონეს, ე. ი. ის მოწინააღმდეგე, რომელიც შეარჩიე მეტოქის სახით, უნებურად და უეჭველად განსაზღვრავს შენს საკუთარ დონეს: თითქოს შენ ხდები მისი ანტისამყარო, მაგრამ საკუთარ თავში იმავე ნიშნების მატარებელი) ბურჟუაზიისაგან ისესხეს – არის ასეთი ფრანგული გამოთქმა *faire la petite bouche* – ტუჩების მოკუმვა. ფურჩის მოწაფეებს – სათნოებით სავსე, უფერულ ტუჩებმოკუმულ ადამიანებს – (თავად ფურჩე შერეკილი იყო) რცხვენოდათ ამ მანუსკრიპტისა. ის გამოქვეყნდა, ვგონებ სადღაც 1951 ან იქნებ 1962 წელს პარიზში. ამ მანუსკრიპტს ეწოდება „ახალი სასიყვარულო სამყარო“ – საკმაოდ სქელტანიანი – 400 გვერდიანი – წიგნია. მასში ფურჩემ ადამიანური ლტოლვების შესაძლო კომბინაციების და გამოვლენების თავისი სერიული პრინციპი სამიჯნურო ურთიერთობებს მიუსადაგა. შედეგად მივიღეთ ძალზე სასაცილო და მხიარული ამბები, რადგან ყველაზე მშვენიერი სანახაობაა – შესაძლო ადამიანურ აზრებსა და სურვილებში ბოლომდე დახარჯული ადამიანი. ისტორიაში, როგორც მარქსი ამბობდა, ვლინდება თავად ადამიანი – ამ უკანასკნელის არსებრივ ძალთა მაქსიმალურად განვითარების სახით. აქედანაა ყოველმხრივი პიროვნების იდეა. ეს იდეა სინამდვილეში იყო ღრმა გამოვლინება იმ გაგებისა, რომლის თანახმად ადამიანი სინამდვილეში გამოიხატება მრავალგვარ მიმართებაში, რომლებშიც იგი ჩაყენებულია. მან იცის, ვალდებულია და შეუძლია გამოიყენოს ისინი და კიდევ იყენებს მათ. მამ ასე, ფურჩესათვის სასიყვარულო ურთიერთობები მიმართებათა სიმდიდრის ნაწილს წარმოადგენს. მას აქვს მშვენიერი მსჯელობა სხვადასხვაგვარ ლტოლვაზე, ის ფანტასტიკურად აღწერს პოლიგამიურ ორგიებს. ამასთან უხვსიტყვაობის მანიის გამოვლენისას თითოეულ პოზიციას გარკვეულ სახელს არქმევს. ფანტასტიკური სახელები გამოდის. გირჩევთ წაიკითხოთ ეს წიგნი. ვფიქრობ, იგი დიდხანს არ ითარგმნება, გარდა ჩვენი „ზნეობრიობისა“ – არის ენობრივი წინააღმდეგობაც. რუსულ ენაში ცუდადაა საქმე სიტყვათა სტილისტიკური დონეების მიმართებებში. აქ სიტყვები ან ძალიან მაღალფარდოვანი ევფემიზმებია ან უხეში ვულგარობები. ისინი ვერანაირად ვერ მოდიან შესაბამებაში, რაც არ ახასიათებს ევროპულ ენებს.

ეს სხვათა შორის. მე თქვენ მოგიზიდეთ, ჩაგართეთ და ახლა მოგიტყუეთ აზრამდე, რომელიც დევს ამ საქმის საფუძველში. ხოლო საფუძველში დევს შემდეგი აზრი, რომელიც ფურჩემ გამოთქვა რიცხობრივ მისტიკაში: ადამიანები ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ თითოეული ადამიანი ცხოვრობს სულით. სინამდვილეში, ერთი ერთეული სულის შესაქმნელად საჭიროა 456 ადამიანი.

ვიმეორებ, რიცხვს არ აქვს არავითარი მნიშვნელობა. ე. ი. ადამიანთა რაღაც რიცხვი შეადგენს ერთეულ სულს საკუთარი უთიერთდამოკიდებულებებითა და ხლართებით.

ასე რომ, დაიმახსოვრეთ ეს როგორც სახალისო კურიოზი (თუმცა სინამდვილეში მასში ღრმა აზრია) და ბლოკირება მოახდინეთ იმ ჩვევებისა და ასოციაციების, რომელთაც ატარებს ჩვენი ხილული, ყოფითი სამყარო, ან ჩვენი თვალსაჩინო ყოფითი ჩვევები. სულიერ ცხოვრებაზე ისევე რთულია მსჯელობა, როგორც ბუნების სიცოცხლეზე. ჩვენ ვხედავთ სხეულთა ვარდნას რაღაც გარემოში (ჰაერში, მაგალითად), ბუნებრივია, რომ მათი ვარდნის სიჩქარე დამოკიდებულია მათ ფორმასა და წონაზე. რა არის ეს? ეს ჩვენი თვალსაჩინო ენის ტერმინია. იმის შეცნობას, თუ რა მოხდა, და ამ მოვლენის კანონის დადგენას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ, ჯერ ერთი, ჩვენს თვალსაჩინო ენას, რომელიც აგრძელებს არსებობას, გავუკეთებთ ბლოკირებას და, მეორე, ავაგებთ სამყაროში არარსებულ საგანს, რომელიც ვარდება სიცარიელეში და რომლის ვარდნის სიჩქარე და სხვა კანონები გამოიყვანება ვარაუდით, რომ ისინი არ არიან დამოკიდებულნი სხეულის ფორმასა და წონაზე. ეს გალილეის კანონებია. მაშინ რატომ მიგვაჩნია, რომ უფლება გვაქვს, არსებული თვალსაჩინო ენის კანონებით ვიმსჯელოთ ჩვენს სულიერ ცხოვრებაზე და კულტურაზე, რომლებიც სხეულის ვარდნის კანონებზე გაცილებით უფრო რთული არიან. თუ გვსურს დავადგინოთ რაღაც დამოკიდებულებები, რაღაც კანონები, მაშინ მოგვიწევს მოვმორდეთ თვალსაჩინო ენას, რომელიც, მაგალითად, გვეუბნება, რომ თითოეულ ჩვენთაგანში სული არსებობს საგნის სახით, თუნდაც განსაკუთრებული, ვთქვათ, უსხეულო საგნის სახით. მაგრამ იგი მაინც რაღაც საგნის სახითაა ჩვენი სხეულის ჩარჩოებში მოქცეული.

თუ ასე ვლაპარაკობთ, მაშინ შემდგომში არავითარი გონივრულის თქმა ხლომილებებზე არ შეგვძლება. არ შეგვძლება აგება რაიმე ბჭობის, რომელიც გამოავლენდა გარკვეულ კანონებსა და დამოკიდებულებებს. და პირუკუ: ეს კანონები და დამოკიდებულებები შეგვიძლია გამოვავლინოთ რაღაც ისეთის მტკიცებით, რაც ეწინააღმდეგება თვალსაჩინო ენას, რაც საერთოდ არც არსებობს. აი, ასეთია, მაგალითად, მტკიცება (ფურჩისი და ბუდოზისა) იმისა, რომ სული არ არსებობს, ანდა მე ვამბობ: მე არ არსებობს, იგი – არსებობს მხოლოდ რაღაც სიმბოლური არაუშუალო საგნის ნაშთში, რომელსაც უერთდება რაღაც სხვა. ის არის ილუზია, თუმცა კი ობიექტური ილუზიაა.

აქ უკვე ახალი, ფსიქოანალიზიდან შემოტანილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსია, რომელიც უფრო ადრე შემოიტანა მარქსმა (იდეოლოგიის მასალის ანალიზით). ესაა სიტყვა „ილუზიის“ ხმაურების ახალი

მნიშვნელობა მე-20 საუკუნის აზროვნებით სტილისტიკაში. „ილუზია“ ნიშნავდა ჭეშმარიტებიდან გადახრას. არის ზოგიერთი ჭეშმარიტი ვითარება და არის ილუზიები, რომლებიც ჩვენი სუბიექტურობის შეფერხებების შედეგია, შეცდომებია. არსებობს შეცდომები, ჩვენი ფიზიოლოგიური აპარატის ბუნებით შობილი, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი ობიექტური არსებობა. მაგალითად, პერსპექტივაში გვეჩვენება, რომ ლიანდაგები სადღაც შორს ერთდება, სინამდვილეში კი ისინი პარალელურები რჩებიან. ეს ილუზიაა ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით, იდეოლოგიის ანალიზის შემდეგ, განსაკუთრებით ფსიქოანალიზის შემდეგ, საქმე გვაქვს ისეთ ილუზიებთან, რომლებიც შეცდომას არ წარმოადგენენ. ეს არის ობიექტური მოჩვენებითობა, რასაც იძენენ რაღაც ურთიერთობები და რაც ემსახურება ამ ურთიერთობების გარკვევას; ხოლო ეს უკანასკნელი გამუდმებით წარმოშობენ მას, მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ ეს ასე არ არის.

მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ „მე“ არ არსებობს (თუ ბოლოს და ბოლოს ჩვენ ამას გავიგებთ ძალიან დიდი მცდელობითა და დაფიქრებით). მაგრამ მოჩვენებითობა ხომ კვლავ იარსებებს, როგორც ჩვენი ცხოვრების ორგანიზაციის ცენტრი. ცალკეული, თავის თავში ჩაკეტილი ჩვენში მყოფი მე-ს არსებობის მოჩვენებითობა მაშინაც კი რჩება, როცა ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის. ასეთ რაღაცას ეწოდება ობიექტური მოჩვენებითობა.

მამ ასე, ვიმეორებ, მთავარია — მოვახდინოთ ყოველდღიური ენის ჩვენების ბლოკირება, არ გავყვეთ მას იქით, საითაც გვეწევა. არის რაღაც მოაზრებადი ადგილი იმ შედეგებსა და დასკვნებში, საითკენაც მივყავართ ყოფით თვალსაჩინო ენას. ჩვენ თვითონ არ მივდივართ იქით, ჩვენ იქ მივყავართ ამ ყოველდღიური ენის ჯაჭვს, მე კი გეუბნებოდით სხვა დროს, რომ თავისუფლების ფენომენი მდგომარეობს იმაში, რომ თავად გახდე ამ აზრების წარმომშობი წყარო და არ მოიზრო რაღაც, რაც უჩვენოდ მოიზარება. ე. ი. წარმოიშობა სპონტანური სოციალური ან ფსიქიკური პროცესებით, მათ შორის, ყოფითი ენით, რაც უდავოდ სპონტანური პროცესია. ის გვეწევა თავისი კავშირებით სადღაც, ჩვენ კი ჯიუტად არ უნდა გავყვეთ იქით, რაღაც მზა დასკვნებისა და აზრებისაკენ, რომლებიც ჩვენს გარეშე წარმოიშობიან. უკვე გითხარით, რომ ეშმაკი გვათამამებს, როდესაც ზუსტად არ ვაზროვნებთ. და გაგიმარტეთ კიდევ, რას ნიშნავს ზუსტად აზროვნება — საკუთარ ველში დაჯუშვით მხოლოდ ის, რაც წარმოიშვა ცნობიერებისა და აზროვნების საკუთრივ ჩვენი ველის საფუძველზე.

სწორედ ეს არის დამოკიდებულება ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებასთან. მაგალითად, ეშმაკი აშკარად ათამამებდა მე-20 საუკუნის ინტელექტუალებს, — ისინი ძალზე იშვიათად აზროვნებდნენ ზუსტად. ზუსტად — არა ფორმალურ-ლოგიკური ან მათემატიკური აზრით, არამედ გონითი

მნიშვნელობით. რაღაცას ვფიქრობთ, რაღაც განზრახვები გვაქვს, ჩვენ მათ ბოლომდე არ ვასრულებთ და, ბუნებრივია, მათ აქვთ შედეგი, რომლებსაც ვერ განვჭკვრეტთ.

ჯერ ერთი, ყოველივე ამის ბლოკირება უნდა მოვახდინოთ. მეორე, უნდა შევქმნათ რაღაც კონცეპტები – ცნებები, კონსტრუქციები, რომლებსაც არ გააჩნიათ არსებობის ნიშნები. მაგრამ მათზე მსჯელობისას შეგვიძლია მივიღოთ იქამდე, რაც მივიწყებულია ჩვეულებრივ ყოფით ენაში და სადაც შეგვიძლია აღმოვაჩინოთ რაღაც დამოკიდებულებები. ყოველდღიური ენა, ვიმეორებ, ყველაზე ძლიერი ინერციული ძალაა, რაც კი საერთოდ გაგვაჩნია. ერთ-ერთი ასეთი კონცეპტაგანი არის ქვეცნობიერის ცნება ფროიდთან – თავისთავად მნიშვნელობის არმქონე კონსტრუქცია, რომლის მოაზრებითაც მე შემიძლია თავი დავაღწიო ჩვეულებრივი ენის წამლეკავ ზემოქმედებას და წავიდე წინ. მაშასადამე, მე რა ვთქვი? მე ვიწყებ საუბარს ფსიქოანალიზის ენის თავისებურებაზე, ყველა იმ გაუგებრობაზე, რაც ფსიქოანალიზთან, მის აღქმასა და გაგებასთანა დაკავშირებული. თუმცა, თავად ფსიქოანალიზი, რა თქმა უნდა, უნაკლო კონსტრუქცია როდია, მაგრამ საუბარი ხომ განზოგადებებს ეხება, ხოლო კონსტრუქცია – ადამიანი – თავის თავში ატარებს არასრულყოფილებას, მარცხს, წარუმატებლობას, და ა. შ. მამ ასე, ფსიქოანალიზის მიუღებლობის მიზეზი იყო ის სამინელი ინერცია, ახლა შეუმჩნეველი (ისევე როგორც ვერ ვამჩნევთ ატმოსფერულ წნევას, რადგან მასში ვცხოვრობთ), ის სამინელი ზეგავლენა, რომელსაც ჩვენზე ახდენს ყველა ჩვენი ყოფითი ჩვევა ან ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ჩვეულებრივი წესები. მაშინვე წამოიჭრება კითხვა: ბოდიში, მაგრამ მაჩვენეთ რა საგანია ასეთი? და აი, თავდაპირველად ჩათვალეს, რომ ფროიდი არაცნობიერზე ლაპარაკობდა იმ აზრით, რომ იგი რაღაც ჩვენში მოთავსებული განსაკუთრებული საგანია, თუნდაც განსაკუთრებული, მაგრამ მაინც საგანი, ოღონდ ჩვენს შიგნით დაფარული. ფსიქოანალიზში ამბობენ, რომ ის თითქოსდა არსებობს: თუმცა დაიმახსოვრეთ, რა ვთქვი ამის წინ: ჩვენ თავიდანვე ვიწყებთ საუბარს რაღაცაზე, რაც არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს ვარდნადი სხეული. არ არსებობს არც ერთი ისეთი სხეული, რომელიც ნამდვილად ინერციით მოძრაობდეს და ინარჩუნებდეს თანაბარ და სწორზაზოვან მოძრაობას. მამ ასე, ერთნი ამბობენ, რომ იგი არსებობს ამ მნიშვნელობით, ხოლო სხვანი ამასთან დაკავშირებით ამბობენ: რადგან თქვენ არ შეგიძლიათ გვაჩვენოთ ყოველივე, რასაც ამბობთ, ეს ყველაფერი არაფერია, სისულელეა და ბოღვა. უფრო მეტიც, თქვენ ცვლით კონცეფციას ადამიანზე: ადრე იგი იყო ცხადი, ოპტიმისტური, რაციონალისტური, ჰუმანისტური. ეს კონცეფცია განადიდებდა ადამიანს, ღირსებას ანიჭებდა მის

არსებობას, მის ავტორობას, აყენებდა მას პროგრესის, წინსვლის, რაღაც მუდმივი უკეთესობის შესაძლებლობის ფარგლებში, ახლა კი ამბობთ, რომ სინამდვილეში ადამიანი ნაწლავებისაგან შედგება, ვნებათა ხლართია, თანაც ყოველივე ეს დაფარულია. თითქოსდა არსებობდეს ჩვენი სულიერი ცხოვრების დაფარული კოლოფი, რომლის შესახებაც უწინ არ ვიცოდით და რომელიც პირველად ფროიდმა დაგვანახა. ამან აღამფოთა მის ირგვლივ მყოფი საზოგადოება და კულტურა. ფსიქოანალიზის მიუღებლობის კიდევ ერთი მიზეზია კონსტრუქციული რეაქცია: მართალია, სხვადასხვა დონეზე ფესვგამჯდარი კონსერვატიულობა კულტურაში გვაიძულებს იმას, რომ ევროპულ კულტურებში რაღაც-რაღაცეებზე ლაპარაკი მიღებული არ არის. ამიტომ ზოგადად თუ ვიტყვით, ფსიქოანალიზი ხანგრძლივი დროის მანძილზე არ დაიშვებოდა და ახლაც არ დაიშვება საპატიო სალონებში, მათ შორის მეცნიერებისა და ფსიქოლოგიის საპატიო სალონში. გამონაკლისია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ფსიქოანალიზი ერთგვარ ფსიქოთერაპიულ მოდად იქცა, როგორც იარაღი ადამიანის შეგუებისა, მისი ადაპტაციისა სოციალურ სიტუაციებთან. იქ მას ძალზედ ფართოდ იყენებენ, თუმცა ამგვარად ფროიდისეული ფსიქოანალიზი კარგავს თავის კლასიკურ მნიშვნელობას და რაღაც სხვად იქცევა.

ფროიდზე მსჯელობის გაგრძელებისას უნდა დავიმახსოვროთ, რომ არაცნობიერი არ არის საგანი, რომელიც ჩვენი ცნობიერების სიღრმეში დევს. რა არის სინამდვილეში, რაზე შეგვიძლია დავიწყოთ საუბარი, საით მივდივართ? ცნებებს ხომ მნიშვნელობა აქვთ არა თავისთავად, ვიმეორებ, არამედ აზრი და მნიშვნელობა აქვთ იმისდა მიხედვით, თუ სად შეუძლიათ ჩვენი მიყვანა, რა შეუძლიათ დაგვანახონ, თუ წინ გავიხედავთ. მაგრამ მხოლოდ ისე, რომ ცნება ზურგიდან გვინათებდეს წინ. ჩვენ თითქოს ამ ცნების შუქს მივყვებით. რასთან მივალთ? მე თანდათან გამოვაველენ ჯერ ჩვენს მიერ გამოუვლინებელ, თავად ფსიქოანალიზში ჩადებულ ფილოსოფიურ წანამძღვრებს. საზრისის პრობლემასთან კავშირში, მე შემოგიგდეთ ზოგიერთი ცდის თემა, რომლის მიმართ უნდა ისწავლოთ მოქცევა ისე, რომ განიხილოთ იგი მისი საკუთარი თავიდან, იმ ვარაუდის გარეშე, რომ არსებობს არსთა, მოვლენათა და შემთხვევათა უკვე დასრულებული, თავისთავიში ჩაკეტილი სამყარო, რომელიც ამ ცდის გარეშეც ცნობილია, ე. ი. იმისგან დამოუკიდებლად, რაც ამ ცდაში პირველად ხდება. ეს თავისთავიდან გამომდინარე სამყარო არის ის, რასაც სხვადასხვა ტერმინს ვარქმევდი: აბსოლუტური პერსპექტივა, ტრანსცენდენტური პერსპექტივა, არსის გარეგანი პერსპექტივა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცდიდან აღება იმისა, რაც იძლევა თავდაპირველ ცნობას რაღაცაზე, რაც სამყაროში ამ ცდის გარეშე არ არის.

ისევ ავიღოთ ჰალუცინაციის მაგალითი: მისთვის არ არსებობს მზა არსი ცდის მიღმა. თვით მასში პირველად ითქმება რაღაც სხვაზე, განცდილზე. და მაშინ უნდა ვისწავლოთ, ასე მოვექცეთ მას. აი ასე, შემოვიტანე რა ყოველივე ეს, რა გავაკეთე ამით? მამ, მე ასე დავხატავდი ამ სურათს: დავეშვათ, რომ ასეთი კონსტრუქცია იგებოდა საერთოდ კლასიკაში და ეს კონსტრუქცია გამოვლინდებოდა ხელოვნებაში, ლიტერატურაში და საერთოდ ყველაფერში როგორც მთელი კულტურის შინაგანი ღერძი. ვთქვათ, აქ მე კაცუნას ვხატავ და აქ – სხვა კაცუნას. დავეშვათ, ეს ადამიანი ცოდნის გაცნობიერებას ახდენს, ე. ი. აწარმოებს ცნობიერებას და ცოდნას და იგი წარმოადგენს მეცნიერს, მხატვარს, ინტელექტუალს. აქ ჩვენ განათლებული მასა გვყავს ან ფსიქოანალიზის, ფსიქოლოგიისა და მედიცინის შემთხვევაში სასურველი მასა, მკურნალობის თვალსაზრისით. აქ ჩვენ ექიმიც კი შეგვიძლია ჩავაყენოთ. რას წარმოადგენს ექიმი? ექიმი – ის ადამიანია, რომელმაც იცის ნორმა. მაგრამ რა არის ნორმა? ნორმა – საქმის ჭეშმარიტი ვითარებაა – ე. ი. ის, თუ სინამდვილეში როგორ ვართ ჩვენ მოწყობილნი. ექიმი ზრუნავს ავადმყოფებზე, რომლებსაც ნების გარეშე აქვთ ნორმიდან გადახრა. თუ ვივარაუდებთ, რომ ნორმა ცნობილია, ხოლო ის, რაც არ არის ნორმა, ავადმყოფობაა, გადახრაა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია სრულიად სხვაგვარად ჩავწეროთ მთელი კლასიკის შინაგანი განტოლება. ჯერ ჩავწეროთ – მასწავლებელი ან ბელადი; სულ ერთია, რომელს ავიღებთ. ნებისმიერი მათგანი – ბელადი, მასწავლებელი, ექიმი იმყოფება რაღაც წერტილში, საიდანაც ჩანს, თუ რა ხდება აქ. აღებულია რაღაც არსის ტრანსცენდენტური პერსპექტივა. რაც აქ ხდება, გაიგება იმ ზომით, რა ზომითაც ქმედების ემპირიული აღწერა შეიძლება დაემთხვას არსთა სამყაროდან გამომდინარე საბოლოო ტერმინებს. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ ყველაზე ზუსტი ფორმულირებები ამავე დროს ყველაზე გაუგებარია. ახლა ის იშვიათი შემთხვევაა, როცა მე ვხმარობ ზუსტ ფილოსოფიურ ენას, რამაც ყველაფერი უცებ გაუგებარი გახადა. ვიმეორებ, მე აღვწერ რაღაცას და ამ ახსნადს ასე ვხსნი. თავდაპირველად მოვდივარ აქ, ე. ი. საგანთან თავის თავში, მოვლენებთან თავის თავში, ე. ი. რაობებთან, შემდეგ ვბრუნდები იქიდან და ამ დაბრუნებას დელუქცია ეწოდება. მაგრამ საჭიროა ისე დავბრუნდე, რომ დელუქციის საბოლოო ნაბიჯები დაემთხვას სიტყვებს, ტერმინებს, რომლებშიც აღწერილია ცდა, მოვლენა, კონკრეტული რამ. ამით შემიძლია, აქ, ავადმყოფობაში გაჩვენოთ ჭეშმარიტება და ამით მივიყვანო რომელიმე ადამიანი, ავადმყოფები ან განათლებულები იქამდე, რაც უკვე არსებობს და მოქმედებს პერსპექტივაში. მივიყვანო ისინი მათ ნამდვილ მდგომარეობამდე, იმასთან, რაც სინამდვილეში მათ თავს ხდება, მათ ნამ-

დვილ ინტერესებთან, რომელთა შესახებ მათ შეიძლება არც იცოდნენ. მე ვიცი – ამიტომ მე ვარ ჭეშმარიტების ამ წერტილში და მოვალე ვარ, მოვიყვანო ისინი აქ. ამისათვის, ცხადია, მე უნდა შევასრულო კლასიკური მნიშვნელობის ყველა წანამძღვარი. ე. ი. არ ჩავთვალო ეს ცდა თვითკმარად, არ ჩავთვალო, რომ მასში რაღაც საერთოდ პირველად ხდება, რასაც არ გააჩნია არანაირი შესატყვისი მოვლენა. რაც მე ვიცი, იმის გარეთაა, რასაც ცდა ამბობს.

ვთქვათ, როგორ უყურებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია გლეხებს: ჩვენ ვიცი, რა სურთ მათ, მნიშვნელობა არა აქვს, რასაც ისინი ამბობენ. რასაც ისინი ამბობენ, მათი ჭეშმარიტი მდგომარეობიდან გადახრაა. ამიტომ ჩვენ ისინი საქმის ჭეშმარიტ ვითარებამდე უნდა მივიყვანოთ. ზოგიერთები წინააღმდეგობას გაგვიწვევენ, მაგრამ, როგორც ჩერნიშევსკი ამბობდა, 70 000 თავი არ უნდა დავზოგოთ, რომ ძალით შევათრიოთ ადამიანი ჭეშმარიტებაში. აი, ეს გადატრიალებაა სწორედ ჩვენი თანამედროვე აზროვნება. წარმოიშვა სიტყვათშეთანხმება „ძალით შევათრიოთ ჭეშმარიტებაში“ – ეს უკვე ახალი აზროვნებაა. ეს უკვე გასაგებია მე-20 საუკუნეში. ჯერ ერთი, ეს ძალადობაა, და, მეორე (ეთიკაზე რომ არაფერი ვთქვათ), ეს დაფუძნებულია ზოგიერთ წანამძღვარზე, ფილოსოფიურ დამშვებზე, რომელიც მხოლოდ წანამძღვარი და მხოლოდ დამშვებაა. შესაძლებელია სხვაგვარი წანამძღვრები და დამშვებები ან სხვაგვარი ონტოლოგია. ე. ი. საქმე მხოლოდ მორალურობაში როდია, არამედ მნიშვნელოვან რაღაცაში, რაც გვეხმარება გავიგოთ, ან, პირიქით, ვერ გავიგოთ ემპირიული მოვლენები, მაგალითად, იგივე წინააღმდეგობის აქტები: რატომ ეწინააღმდეგება ადამიანი ჭეშმარიტებაში შესვლას. ეს ფუნდამენტურად გაუგებარი ფაქტია – თუმცა ემპირიული ფაქტია. აი, მიათრევ მას ჭეშმარიტებაში, კიდევ სპობ, ის კი მაინც... სულერთია, რაღაც სპონტანურად ხორციელდება, და მაინც არაფერი გამოდის.

მამ ასე, თემა, რომელზედაც მე გესაუბრეთ – „ჭეშმარიტებაში ძალით შეთრევა“ – დაკავშირებულია დოსტოევსკის ცნობილ თემასთან, რომელმაც ისეთი სახე მიიღო, თითქოს დოსტოევსკიმ აღწერა და იწინასწარმეტყველა დანაშაულის ახალი სახეობა: დანაშაული ცოდნის საფუძველზე, იდეური დანაშაულები. შემდეგ ამ თემას ზოგიერთი ეგზისტენციალისტი განიხილავდა; ალბერ კამიუს აქვს შესანიშნავი ნაშრომი „ამბოხებული ადამიანი“, რომელშიც ნაწილობრივ გრძელდება დოსტოევსკის თემა, მაგრამ უკვე სხვა დონეზე და სხვა სიტყვებით. მას შემდეგ, დოსტოევსკიზე რომ არაფერი ვთქვათ, კამიუს შემდეგაც, ვთქვათ 60-70-იან წლებში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის კიდევ უფრო მეტ დანაშაულთა წარმოუდგენელი აღმავლობის წლები. დოსტოევსკის და კამიუს აღწერილი ცნობიე-

რებისათვის იდეური დანაშაულობანი ცოდნის საფუძველზე დასაშვებია – იმიტომ რომ ისინი დაფუძნებულია ცოდნაზე. ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ახლა ჩვენ გვესმის ეს წანამძღვარი – „ღმერთი მოკვდა და ყველაფერი დასაშვებია“; ხოლო ნიცმე გამოთქვამდა ამას სხვაგვარად – „ქრისტიანობა არ არის, მამასადამე, ყველაფერი დასაშვებია“ – რაც უცნაური სახით შემობრუნდა: ღმერთი არის, თუ ჩვენ გავაიგივებთ მას ცოდნასთან. ამ იგივეობაში, ვიმეორებ, მხოლოდ ამ იგივეობაში, – მისი ძალით ყველაფერი დასაშვებია. რაღაც აშკარად ცნობილია, ამიტომ შეიძლება ყველაფრის გაკეთება. ცნობილია, რა სჭირდება საზოგადოებას, ცნობილია, რომ არის სიკეთე, ცნობილია იდეალური საზოგადოება, ცნობილია ნეტართა საუფლო და რა უნდა გააკეთო, რათა ხალხი მასთან მიიყვანო – ყველაფერი დასაშვებია.

ფროიდზე მსჯელობის დასასრულს ორი მიმართება გამოვყავი: პირველია რაღაც ხედვა ცნობიერების გამოცდილებისა გარედან, გარკვეულ პერსპექტივაში მას ტრანსცენდენტური ვუწოდებ – იმ დამკვირვებლის პერსპექტივაში, რომლისთვისაც ცნობილია სამყაროს წყობა, ცნობილია არსებანი; მეორეა მიმართება, რომელიც თავად გამოცდილების შიგნით აღმოცენდება როგორც რაღაც უნიკალური, და არა მხოლოდ ფსიქონალიზისათვის, არამედ საერთოდ თანამედროვე ფილოსოფიისათვის თავისთავადი ღირებულების მქონე რამ, როგორც გამოცდილების თავისთავადი ღირებულება და თავისთავადი სიცხადე. ამ მეორე მიმართების წინ წამოწევას შედეგად ბევრი რამ მოჰყვა. ამ შედეგთა ნაწილს შეგვიძლია დავაკვირდეთ ფენომენოლოგიაში, ეგზისტენციალიზმში. იმავე შედეგებს შევხვდებით ფსიქონალიზმშიც, რომელიც გარეგნულად არავითარ ფილოსოფიურ ტრადიციას არ უკავშირდება – ფროიდი არ ეყრდნობოდა არც ეგზისტენციალიზმს, არც ფენომენოლოგიას. ის საერთოდ არავითარი აკადემიური ფილოსოფიური თვალსაზრისიდან არ ამოდიოდა, მხოლოდ ზოგჯერ, საკმაოდ ბუნდოვანად, ახსენებდა შოპენჰაუერს და ნიცმეს, როგორც ფილოსოფოსებს, რომლებმაც პირველად დაიწვეს საუბარი არაცნობიერზე, თანაც გაუგებარი აზრით და მნიშვნელობით. როგორც თვით ფროიდს არ ესმოდა საკუთარი ფილიაციები, ასევე გაუგებარი დარჩა ისინი ჩვენთვის. მათ შეგვიძლია მოვეშვათ – ოღონდ გავიგოთ საქმის არსი.

მამ ასე. მე გითხარით, რომ გაცნობიერება ცდის ერთგვარი აბსოლუტური კონკრეტულობის თვითკმარობისა, რომლის აღმოფხვრა შეუძლებელია – ფილოსოფიური თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ფსიქონალიზმი. სწორედ მასზე აღმოცენდება თავად ფსიქონალიზური ტექნიკის რთული განშტოებანი, რაშიც შევეცდებით ნაწილობრივ

გავერკვეთ, მაგრამ მანამდე ხაზი მინდა გავუსვა გამოცდილების ამ ამომ-  
წურაობას. ამისათვის გამოვიყენებ მაგალითს, რომელიც წინათაც მოვიყ-  
ვანე. ძალიან ხშირად, ჩვენს ირგვლივ მყოფი საგნებისა და სიტყვების  
ჩვენეული გაგება სინამდვილეში წარმოადგენს რაღაც სხვას, ვიდრე ეს  
გაგებაა. 1949 წელს, როცა ამ ცივ, ხან ნესტიან, ხან გაყინულ ქალაქში  
ჩამოვედი, ჩემზე აწარმოებდნენ საზოგადოებრივ მუშაობას არა მხოლოდ  
უნივერსიტეტის კედლებში, არამედ ქუჩაშიც, და აი, ერთ ჩემს თანაკურ-  
სელთან ერთად მივიღვარ ქუჩაში. ის მაშინ ჯგუფის „კომსოგრი“ იყო.  
რაღაც ძალზე ამაღლებულს ჩამჩიხინებდა. ამ მისი ამაღლებული სიტყვის  
წარმოთქმისას მოგვიახლოვდა ათიოდე წლის ბიჭი, საოცრად მეტყველი  
თვალებით, ჩამოფლეთილი და ამკარად მშვიერი, გვთხოვა რაიმეთი დავ-  
ხმარებოდით. მე ცოტაოდენი ხურდა მივეცი და ჩემს თანაკურსელს ვუთ-  
ხარი: მარლენ, შეხედე, ბიჭუნა მშვიერია. ის კი სოციალიზმის მშენებლო-  
ბაზე განაგრძობდა საუბარს და უდიდესი გაცეცხებით შემომხედა. მე მივხ-  
ვდი, რომ მისი გაცეცხა გულწრფელი იყო. ის ამ ბიჭს ვერ ხედავდა. რა  
გაგებით ვერ ხედავდა? ის მას ფიზიკურად ხედავდა, მაგრამ არ შეეძლო  
რეაგირება მასზე ერთი უბრალო მიზეზის გამო. ამ ბიჭის მოვლენას მის  
აზრთა სისტემაში უკვე გარკვეული ადგილი ეკავა. ის იყო უკვე განმარ-  
ტებული და ამით მოცილებული. მე მხედველობაში მაქვს განმარტების  
ისეთი წესი, რომელიც საშუალებას გვაძლევს რაღაც არ აღვიქვათ და არ  
დავინახოთ, არ აღვიქვათ ცდა, არ დავინახოთ ის, რასაც თითქოს ვხე-  
დავთ. ჩვენ მას ვერ აღვიქვამთ, რადგან ეს უკვე განმარტებულია ჩვენთ-  
ვის. ჩემს ნაცნობს სიღარიბე და შიმშილი უკვე განმარტებული ჰქონდა.  
რა აზრით? აი, სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ არ არის აშენებული მთლი-  
ანი კომუნისტური საზოგადოება, არიან უფრო ღარიბები, ვიდრე სხვა  
ღარიბები. ისევე როგორც არსებობენ თანასწორთა შორის უფრო თანას-  
წორნი. ეს განვითარებისა და მშენებლობის არსებული პერიოდის ბუნებ-  
რივი ნაკლოვანებანია. ეს თითქოსდა უმნიშვნელო რამაა, მაგრამ ჩვენს  
საკუთარ პატარ-პატარა რეაქციებსა და აზროვნების აქტების პასაჟებში  
ზოგჯერ დაფარულია საკმაოდ დიდი აისბერგების – კულტურის და აზრის  
– წყალქვეშაწილები. ასეთი განმარტებით რაიმეს მოშორების იქით არა-  
ფერი იმალება, არავითარი ფსიქოლოგიური სიცრუე; ეს უგრძობლობაა,  
სიტყვის უბრალო ფსიქოლოგიური მნიშვნელობით – უბრალოდ, ასე მუ-  
შაობს ჩვენი ცნობიერების სისტემა, ეს გადამრჩენი სისტემა გამართულია  
და ინარჩუნებს identity-ს, ე. ი. ერთიანობასა და პიროვნების იგივეობრი-  
ობას. სწორედ ამით ასრულებს რაღაც პარადოქსულს, რომლის გაგება  
შეუძლებელია. მაგრამ შენ ხომ ხედავ... არა, რადგან ჩვენ ვხედავთ რა-  
ღაცას ტერმინებში, ე. ი. სამყაროს, რომელიღაც სემანტიკური ცნებითი

ტერმინების სეგმენტაციებში, რომლებიც, ერთი მხრივ, საშუალებას გვაძლევენ რაღაც დავინახოთ, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი აღქმისა და გაგების შესაძლებლობიდან გამორიცხავენ სინამდვილის დიდ მონაკვეთებს.

მე ვითხარით, რომ ინგლისურ ენაში არის მშვენიერი სიტყვათწყობა, რასაც მე უხეიროდ ვთარგმნი როგორც „განმარტებით რაიმეს მოშორებას“, ე. ი. თავის დაღწევას ახსნის საშუალებით. ინგლისელები ამბობენ: **explain away**. მე სწორედ ამით აგიწერეთ ნაწილობრივ ის, რაც იყო ფსიქონალიზის ერთ-ერთი ძირითადი საგანი, და რამაც ნიცშესგან აღებული ზოგიერთ მოტივთან ერთად უფრო ფართო გამოყენება პოვა საერთოდ კულტურაში. ესაა, სახელდობრ, ე. წ. ფენომენი ან რაციონალიზაციის ეფექტი. „რაციონალიზაცია“ – ამ ტერმინში, მის შიგნით ჭვივის სიტყვათა რაღაც გადაძახილი, თამაში სხვა ტერმინთან – „რაციონალურობასთან“. მაგრამ ეს მაინც რაციონალურობა არ არის, სწორედ რომ რაციონალიზაციაა, ანუ თვით ტერმინი უკვე ადებს რაღაც შეფასებით და ნეგატიურ ელფერს იმ მოვლენას, რომელიც ამ ტერმინით აღინიშნება. ვთქვათ, ჩემი თანაკურსელი თავისი განცდების აშკარა რაციონალიზაციას ახდენდა, ე. ი. ხედავდა მშვიერ და ღარიბ ბიჭს, მაგრამ აცნობიერებდა საზოგადოების განვითარების ჩვეულებრივ, მოსალოდნელ ნაკლოვანებებს. მამასადამე, ეს ფრაზა – „საზოგადოების განვითარება“ – არ არის საზოგადოების მეცნიერული აღწერის ელემენტი, თუმცა გარეგნულად აგებულია როგორც ასეთი რამ, არის სხვა რაღაცის ფარული გამოხატვა და რაციონალიზაცია. ეს ნიშნავს იმას, რომ თეორიის შემადგენლობაში, ჩვენი ცნობიერების, სამყაროს აღწერის შემადგენლობაში, შინაარსიან და კონტროლს დაქვემდებარებულ მეცნიერულ მტკიცებასთან ერთად, შეიძლება შეგვხვდეს მტკიცებანი, რომლებიც გარეგნულად წარმოადგენენ მეცნიერულს ან რაციონალურს ან მოაზრებადს, მაგრამ სინამდვილეში არის არა მეცნიერული, არამედ რაღაც სხვა ენის ელემენტი, სახელდობრ, ელემენტი რომელიც რაციონალიზაციას წარმოადგენს. გარკვეული ცდა სხვა ცდის ტერმინებში გადაიტანება და ამით ენიჭება მისთვის არადამახასიათებელი საფუძველი. მამასადამე, ეს ცდა გამოიყვანება რაღაც მაღალი საფუძველიდან, ნორმებიდან, უფლებებიდან, სამართლიანობიდან და ა. შ.

ვთქვათ, მე შეიძლება მლიქვნელი ვიყო და ვეფარისევლებოდე ჩემს უფროსობას, მაგრამ ჩემს თავს (მე ხაზს ვუსვამ – ჩემს თავს) და სხვებს ასე ვუსაბუთებდე ჩემს ქცევას: ჩემი უფროსი მშვენიერი ადამიანია. მიაქციეთ ყურადღება: რამდენადაც მდიდარია ჩვენი ცნობიერი ცხოვრება, იმდენად განსხვავებული აზრით, ცნობიერების განსხვავებულ დონეებზე და განსხვავებული შედეგებით შეიძლება გამოვიდეს უუბრალოესი აზრობრივი აქტები და სიტყვები, რომლებითაც ისინი იმოსებიან. ერთ შემთხვევა-

ში გამოვთქვამ: ადამიანი კეთილია, ეს უბრალო აღწერაა. მე შეიძლება ვცდებოდე ან არ ვცდებოდე, ყოველ შემთხვევაში ადამიანის სიკეთის ჩემული აღწერა შემოწმების რაღაც კრიტერიუმებს ექვემდებარება, მაგალითად, გამოცდილებას. თუ მე ვცდები, შეიძლება გამოცდილებით მიჩვენო, რომ მე ვცდები. თუ მე მართალი ვარ, ისიც ცდით შეიძლება იყოს დასაბუთებული.

მეორე შემთხვევაში მე ვამბობ: ჩემი უფროსი კეთილია, და აქ მნიშვნელობა არა აქვს იმის ცდით შემოწმებას, ასეა თუ არა ეს სინამდვილეში. ადამიანი შიშის გამო ან სხვადასხვა ანგარებითი ინტერესებით ეპირფერება თავის უფროსს, მაგრამ მისი ქცევა ხასიათდება როგორც რაღაც საუფუძლებლისა და პრინციპების შედეგი. „ჩემი უფროსი კეთილი ადამიანია, ამიტომ მე ასე ვიქცევი“. ჩვენი ქცევისა და აზროვნების ეს აქტები იწოდება რაციონალიზაციად. როგორც ხედავთ, ამ ტერმინს, რომელსაც თქვენ უფრო რთულ მეცნიერულ კონტექსტში შეხვდებით, სინამდვილეში არ ახლავს რაიმე სირთულე.

მაგრამ, მეორე მხრივ, ჩააყენეთ წარმოსახვის მეშვეობით თქვენი თავი სხვა სიტუაციაში. ვთქვათ, თქვენ ამ ტერმინს არ იცნობთ და არ იცით ისეთი პროცესი, რომელიც იწოდება რაციონალიზაციად (ვიდაცამ ხომ აღმოაჩინა იგი) და უბრალოდ ხვდებით ცნობიერი და სულიერი ცხოვრების გამოთქმებს, სიტყვებს. უცოდინარობის გამო თქვენ შეიძლება ვერ გაერკვეთ საქმის ვითარებაში და, პირიქით, — ცოდნის შემთხვევაში შეძლებთ ადამიანის ცნობიერი ცხოვრება უფრო მრავალფეროვნად წარმოიდგინოთ. ადრე ასე წარმოვიდგენდით: თავში გვაქვს ჩვენთვის ნათელი ურიცხვი, უსასრულოდ დიდი რაოდენობა აზრისეული არსებებისა და ჩვენი მეტყველება, სხვებთან ურთიერთობა იმით გამოიხატება, რომ ჩვენ მათ გამოვსახავთ, გამოვთქვამთ, სხვებს ვაგებინებთ. მე ვთქვი რაიმე, მაშასადამე, ეს ან სწორია ან არასწორი. მე ვთქვი — უფროსი კეთილია; ეს სწორია ან არასწორი. ყოველ შემთხვევაში, ეს ის არის, რისი თქმაც მე მსურდა. ფროიდი კი იტყვის: არა, უკაცრავად, თქვენ გსურდათ გეთქვათ რაღაც სხვა. თავისთავად გამოითქვა ის, რომ თქვენ მლიქვნელი ხართ და არა ის, რომ უფროსი კეთილია. მაშასადამე, აქ არის გარკვეული დაშვება: ჩვენი გონებისა და გრძნობების რომელიღაც უბნები არ ცნობიერდება, სხლტება სუბიექტის ცოდნისა და თვით ცნობიერებისაგან, მიუწვდომელია თვითცნობიერებისათვის და თავისთავად გამოვლინდება ან გამოითქმება. საქმე ისაა, რომ ის უბრალო მაგალითი, რომელიც მე მოგიყვანეთ, თავისთავში შეიცავს თითქოსდა ცნობიერებისეული ემმაკობის ელფერს. ადამიანს შეგნებული კი აქვს, რომ ის მლიქვნელია, მაგრამ თავის მლიქვნელობას მიაწერს რაღაც მაღალი პრინციპების შედეგს.

ჩვეულებრივ კი ასეთი სიცრუე არ არის ცნობიერი სიცრუე, რადგან ადამიანს ის სწამს. ჩვენს სულიერ ცხოვრებაში, გონებრივ ცხოვრებაში ეს წარმოდგენები იმდენად ერწყმის ერთმანეთს, რომ შემდეგ ცნობიერების მაღალ ფენებში მათი დაცილება შეუძლებელია: ადამიანს მტკიცედ სწამს, რომ მისი უფროსი კეთილია და ამიტომ საჭიროა მას ასე მოექცე. თუ ადამიანს, რომელმაც თქვენი აზრით შეასრულა რაციონალიზაციად წოდებული აქტი, ამის შესახებ ეტყვი, სრულიად გულწრფელად აღმოფთვება და უარყოფს მას. რატომ უარყოფს? დიახ, ჩვენ ყოველთვის უარყოფთ იმას, რაც არღვევს ჩვენი არსების ერთიანობას, რომელიც ჩვენს მიერაა შექმნილი და ჩვენი ცხოვრების პირობას წარმოადგენს. სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს. ეს კი ნიშნავს, რომ სამყაროში უნდა ხდებოდეს მხოლოდ ისეთი მოვლენები, რომელთა შედეგები ჩვენ არ გვანგრევს საკუთარ თავთან მიმართებაში, გვინარჩუნებს ღირსებას, საკუთარი თავის – გამგები, მგრძნობიარე, ქმედითი არსების – პატივისცემას.

ის წარმოდგენები, გამოთქმები, მსჯელობები და ა. შ., რომლებიც იმას კი არ ემსახურებიან, რომ სამყარო გავიგოთ, არამედ იმას, რომ ამ სამყაროში „მე“ საკუთარ თავთან ერთიანობაში იყოს, მიეკუთვნება ძალიან რთულ გამოკვლევათა რიგს, მათ შორის ფსიქოანალიტიკური გამოკვლევის საგანს, მაგრამ არა მხოლოდ ფსიქოანალიტიკურისას. მე სულ ვცდილობ, გავატარო მე-20 საუკუნის აზროვნების სხვადასხვა მიმართულების ერთგვარი სტილისტური ერთიანობის იდეა. ანალოგიური სამუშაოა შესრულებული მე-20 საუკუნეში (დაწყებული, მართალია, მარქსიდან, მაგრამ მე-19 ს-ში ეს იყო ცალკეული მოვლენები, ხოლო ახლა მასიური გახდა). ფსიქოანალიზის მონათესავეა იდეოლოგიის კრიტიკა ან იდეოლოგიის კრიტიკული ანალიზი.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ასეთი სახის აზრისეული წარმონაქმნები არსებობს არა მხოლოდ ჩვენს პიროვნულ ცხოვრებაში, ეს რაციონალიზაციები არა მხოლოდ ჩვენი მე-ს ერთიანობას ემსახურება, ისინი არსებობენ სოციალურ აზრშიც. სოციალურ აზრშიც ხომ არის რაღაც წარმოდგენა სამყაროზე. და რადგან ეს ასეა, ამ სამყაროში მე-ც არსებობს. ამ სამყაროში, რომელზედაც ლაპარაკობს სოციალური აზრი, უნდა იყოს შენარჩუნებული მე, როგორც ღირსეული და გამგები არსება. იდეოლოგია ძალიან ხშირად სავსეა იმით, რასაც ჩვენ ვეძახით სამყაროს გამამარტივებელ სქემებს, ანუ ისეთ სქემებს, რომელიც სამყაროს კვლევის პროლექტი კი არ არის, არამედ უბრალოდ სამყაროში თვითმენახვის სურვილის აღსრულებაა.

ერთხელ ერთი ფრანგი მანდილოსნის ფილმი ვნახე ანგოლაზე, სადაც ჯერ კიდევ პორტუგალიელები იყვნენ. რეჟისორი, მემარცხენე ფრანგული

წრეების ტიპური წარმომადგენელი იყო და მისი აზროვნება, როგორც ფილმებიდან ჩანდა, სალონურ კრეტინიზმს წარმოადგენდა. ფილმში ყველაფერი ძალიან მარტივადაა, მით უფრო, რომ ამას ხელს უწყობს ფერთა სიმარტივე – ჩვენ ხომ, ჩვეულებრივ, სამყაროს შავ და თეთრ ფერებად ვყოფთ. იქაც სამყარო თეთრად და შავადაა გაყოფილი (რამდენადაც ის ეხება ზანგებს), მხოლოდ ისე, რომ შავები კარგები არიან, თეთრები – ცუდები. ფილმში ერთი ადგილობრივი განმანათლებელია, პროფესიით მკერავი (ძალიან ხშირად რადიკალ რევოლუციონრებს ჰქონდათ ასეთი პროფესიები, განსაკუთრებით XIX ს. გერმანელ სოციალ-დემოკრატებს). ფილმში ჩვენთვის ნაცნობი სცენაა აღწერილი – პოლიტიკანათლების წრის მუშაობა. ფილმის გმირი თავის თანამემამულეებს განუმარტავს, როგორაა მოწყობილი სამყარო და ამბობს: აი, სამყაროში არიან ღარიბები და მდიდრები და ამის გამოა ყველა უბედურება. რატომ არიან სამყაროში ღარიბები? იმიტომ, რომ არსებობენ მდიდრები. მდიდრები რომ არ ყოფილიყვნენ, ღარიბებიც არ იქნებოდნენ. ასეთ აღწერებთან კამათი ზედმეტია, რადგან საქმე ისაა, რომ არ არის, რომ ამ განმანათლებელს სურს რაიმე გაიგოს. საქმე ისაა, რომ მას სურს პატივი სცეს თავის თავს, როგორც მცოდნე ადამიანს. ხოლო თანამედროვე სამყაროში საკუთარ თავს, როგორც გამგებ ადამიანს, პატივი რომ სცე, საჭიროა ძალიან ბევრი მუშაობა, შრომაა საჭირო – ადამიანი ხომ, როგორც წესი, ზარმაცია. ძალიან ძნელია, საკუთარ თავში ჩადო კაპიტალი. ეს ხანგრძლივი, რთული დაძაბულობაა და ის, ვინც უძლებს ამ დაძაბულობას, თავის თავში დებს რაღაც კაპიტალს. გაგებისათვის შრომა ძალზე მძიმე ტვირთია ისევე, როგორც შრომა თავისუფლებისათვის. და აი, ამ ნაპრალოში სიზარმაცესა და სამყაროს სირთულეს შორის ჩნდება სანეტარო, გამაუბრალოებელი იდეოლოგიური სქემები, რომლებიც ნებას გაძლევენ არ იშრომო: სამყაროში არიან მდიდრები, ამიტომ არიან ღარიბები და აი, თუ არ იქნებიან მდიდრები, მაშინ ღარიბებიც არ იქნებიან. ამ გზით შენ ინარჩუნებ ადამიანურ ღირსებას, საკუთარი თავის პატივისცემას, შენ გესმის სამყაროსი, შენ ხედავ: სამყაროში არიან მდიდრები და არიან ღარიბები და ასეთ გადაჯაჭვას ძალიან დიდი ემოციური ძალა აქვს, განსაკუთრებით, როცა ის გადააქვთ მასებსა და მასობრივ მოძრაობებში. და აი ეს ძალა – თითქმის ატომური ბირთვის გახლეჩის შედეგად გამოთავისუფლებული ძალის ტოლი – მეტად აღელვებდა ფროიდს.

გთხოვთ მაპატიოთ, რომ მე წრიულად ვმოძრაობ, მაგრამ საჭიროა მეცნიერული საგნები ჩავაყენოთ უფრო ზოგად კონტექსტში, რაც მოგვცემს ამ საგნებით თავისუფალი ოპერირების საშუალებას ისე, რომ არ გვაკბუნოს განსწავლულობის გარეგანმა ნიშნებმა.

მამ ასე, ეს ძალა ძალიან აღელვებდა ფროიდს. ფროიდის მსჯელობა – განაზრებები ამ გამოთავისუფლებულ ატომურ ძალებზე, ამგვარ კრისტალიზაციებზე – იყო სწორედ მოტივი თანამედროვეთა გამოაოგნებელი, დღემდე სკანდალური ფროიდისეული ექსკურსებისა, რომელთაც იგი არა მხოლოდ ფსიქოანალიზის ფარგლებში, არამედ კულტუროლოგიურ კვლევებშიც ატარებდა. მე მხედველობაში მაქვს ფროიდის ნაშრომები ქრისტიანობაზე, რელიგიასა და მითებზე, ტოტემიზმზე. ფროიდმა რამდენიმე ნაშრომი დაწერა, რომელშიც ყოველმხრივ განიხილავდა რელიგიას, როგორც ჩვენი სულიერი ცხოვრების ფენომენს, ე. ი. განიხილავდა მას არა ზნეობრივ სისტემად, არა ცნობიერ მსოფლმხედველობად, არამედ იმად, რადაც თავის თავს გვაწვდის. ფროიდი აანალიზებდა ამ ფენომენს იმ ფარული და არაცნობიერი მასიური ენერგიების კუთხით, რომელთაც შეეძლოთ დაეკრისტალებინათ და გამოეთავისუფლებინათ ზოგიერთი სიმბოლო და რელიგიის იდეოლოგიური შეკავშირება. ის აანალიზებდა იმის მთელ პოტენციას, რასაც შემდეგ „მასობრივი“ არაცნობიერი ეწოდა.

მეოცე საუკუნე უდიდესი მზაობით იძლეოდა ილუსტრაციებს აბსტრაქტული მსჯელობისათვის. რა თქმა უნდა, ფროიდმა არაფერი იცოდა იმაზე, რაც შემდეგ მოხდა, რამდენადაც მისი ძირითადი თეორიები იქმნებოდა პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე. ბუნებრივია, შემდგომში გაკვირვებას იწვევდა, რომ ეს მიდგომა, პირველად დადასტურებული მისი თანამშრომლის ალფრედ ადლერის, ხოლო მოგვიანებით ფროიდის ოპონენტის, კერძოდ, კარლ იუნგის მიერ, – ეს აღწერა სულიერი ატომური აფეთქებებისა, საოცარი სიზუსტით მიესადაგა 20-იანი წლების გერმანიის აღწერას სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ტერმინებში. ამ თვალსაზრისით ფსიქოანალიზის ტერმინები საუკეთესო აღმოჩნდა იმ ენერგიის აღსაწერად, რომელიც გერმანელმა ხალხმა გამოათავისუფლა სოციალური, პოლიტიკური და ა. შ. აზროვნების სფეროში.

მე გადაუხვებ. ახლა კი დაჯუბრუნდეთ იმას, რითაც დავიწყე. გზადაგზა გავერკვიეთ, რომ შესაძლოა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში იყოს პროცესები, რომლებსაც ჩვენ რაციონალიზაციებს ვუწოდებთ. ისინი შესაძლებელია არა მარტო ფსიქიკურ ცხოვრებაში, არამედ, როგორც გიჩვენეთ, სოციალურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში, ანუ სფეროში, რომელსაც დიდი შედეგები აქვს. ამის მაგალითს წარმოადგენს მასობრივი იდეოლოგიები. რაციონალიზაციის ანალიზით, ე. ი. არაცნობიერი პროცესების არაპირდაპირი გამოხატვით ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ როგორც ფსიქიკური ცხოვრება, ნერვული დაავადებები, ასევე პოლიტიკური რეალობა, იდეოლოგიები. შეგვიძლია გავაანალიზოთ ისტორიაც, სახელდობრ კი, მითები, რელიგიები, იმდენად, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ

პროცესები, რომლებიც გამოვლინდებიან და აცნობიერებენ თავს ყ პროცესების სახით.

ფროიდმა ამ თვალსაზრისით გააანალიზა პირველადი ტოტემისტური სისტემები, ქრისტიანობა, როგორც ილუზია, მაგრამ ილუზია სიტყვის აი, ამ მნიშვნელობით. მეტიც, ფროიდი მხატვრული ლიტერატურის ანალიზსაც შეეცადა. თქვენ იცით, რომ ფროიდმა თავის დროზე დაწერა ესე დოსტოევსკიზე. მას ეკუთვნის შრომები ლეონარდო და ვინჩიზეც, სხვებზეც. შემდგომში ფროიდის თავად ეს ნაშრომები ხელოვნებასა და ლიტერატურაზე თავისებურ გამოცანად იქცა იმ თვალსაზრისით, რომ მათ ირგვლივ დაგროვდა კომენტატორული და გამაყალბებელი ნაშრომები. მათში ფროიდის კონცეფცია წარმოდგა როგორც მრწამსი, რომლის თანახმადაც რელიგია, ლიტერატურა და ხელოვნება სინამდვილეში მოღვაწეობის და შემოქმედების პროდუქტული და თვითთლირებული სახეობა კი არ არის, არამედ სხვა პროცესების არაპირდაპირი გამოხატულებაა, შენიღბვაა; ხელოვნების კეთილშობილი ფორმები ჩქმალავს საკმაოდ პრიმიტიულ ქვენა კომპლექსებს, ლტოლვებს, სურვილებს და სხვა. ფროიდს მიაწერდნენ ცინიკურ მისწრაფებას, დაეკნინებინა ადამიანის მაღალი სულიერი ცხოვრება, სახელდობრ, ხელოვნება. ეს გაუგებრობაა. არაფერი მსგავსი ფროიდს არა აქვს. ფროიდი არ ცდილობდა ხელოვნება, როგორც ასეთი, ან ლიტერატურა, როგორც ასეთი, რომელიდაც ადამიანური ქვენა ლტოლვის გამოხატულებაზე დაეყვანა. მეცნიერება ხომ აბსტრაქციებით მუშაობს. იგი აგებს რაღაც იდეალურ ობიექტებს, რომელთა კვლევისას მეცნიერებას შეუძლია გონივრულად გამოთქვას შემოწმებული აზრი სამყაროზე, ემპირიაზე, რაც შეუძლებელია ემპირიაზე უბრალოდ დაკვირვების შემთხვევაში.

ფროიდისეული აზრი ისაა, რომ ხელოვნება, როგორც საკმაოდ გრძელი ტექსტი, ვიქტორებ, საკმაოდ გრძელი ტექსტი, შეიცავს თავის თავში რაღაც ელემენტებს, დვარქვათ მათ პირობითად სტილი, რომელთა საშუალებითაც შეიძლება რაღაც ისეთი გავიგოთ, რაც თავად ნაწარმოებში არ თქმულა და რაც ცნობიერების კონტროლს დაქვემდებარებული გამოთქმის ინტენციამი არ შემოსულა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნაწარმოები მხოლოდ ამ რაღაც დფარულის ქარაგმაა. არა, უბრალოდ ეს საკმაოდ გრძელი ტექსტია, რომელშიც მე შეიძლება გამოვავლინო რაღაც ერთეულები, ვუწოდოთ მათ ტრაპები – მხედველობაში მაქვს თქვენთვის ცნობილი კლასიკური რიტორიკა. საგანგებოდ პრიმიტიულ მაგალითებს მოვიყვან, მათზე მე ცხოვრებისეულად ვრეაგირებ, რამდენადაც ისინი პრიმიტიული და რეალურად მომხდარი არიან, მათ მიმართ თქვენც შეიძლება ისეთივე ცხოველი რეაქცია გქონდეთ განსაკუთრებული განსწავლულობის გარეშე.

მე მყავს ერთი ნაცნობი — მშვენიერი, სანდომიანი ადამიანი. ის საკმაოდ საინტერესო ლიტერატურისმცოდნეობით შრომებს წერს. ერთხელ მან მომიტანა სტატია, რომელშიც (იგი საკუთარ მიზანს ისახავდა და არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ფსიქოანალიზზე) დოსტოევსკის შრომებს იხილავდა დოსტოევსკის კოსმოსის გამოვლენის თვალსაზრისით (კოსმოსი ამ შემთხვევაში მატერიალური მოვლენაა, ე. ი. ის არის ქვა, წყალი და ა. შ.) და აჩვენებდა, რამდენად მკაფიოდ ჩნდება დოსტოევსკის რომანებში წყლის, ქვის სახეები. პეტერბურგი, პეტროგრადი — უკვე სახელწოდება იწვევს ასოციაციას სიტყვასთან *pietra* (იტალიურად *pietra* ქვაა) და შეიძლება დაგვენახა როგორ მყარად გასდევს და მეორდება ეს სტილისტური ტროპი ტექსტის მოზრდილ ნაწილებში. არა ცალკეულ ფრაზაში, არამედ ტექსტის დიდ მონაკვეთებში მეორდება ეს გამყარებული აღქმები — ქვისა და სინოტივის აღქმები. აი, ამ სახის რამეები ფსიქოანალიზის საგანს წარმოადგენს. მათი საშუალებით ჩვენ რაღაც შეიძლება გავიგოთ დოსტოევსკის შესახებ. ეს არ არის ერთადერთი ტროპი, რომლითაც შეიძლება ნაწარმოების ავტორის სულის სიღრმისეული პროცესების შესახებ რაიმე შევიტყოთ. ნიშნავს კი ეს იმას, რომ, ვთქვათ „დანამუხლები და სასჯელი“, რომელშიც ეს ტროპები არის, უბრალოდ დოსტოევსკის სულის ქვენა ბუნების გამოსახვაა? სრულიადაც არა. მე უფლება მაქვს — თუკი მე ფსიქოანალიტიკოსი და ექიმი ვარ, — გავაკეთო ასეთი ანალიზი და ამასთან მივიჩნიო ნაწარმოები ავტორის ავადმყოფობის ან კომპლექსის გამოხატულებად. ვიმეორებ, საჭიროა უბრალოდ სულიერი ცხოვრების ამსახველი საკმაოდ დიდი მონაკვეთი და სწორედ ამიტომაც არსებობს ფსიქოანალიზისათვის კლასიკური სცენა ექიმის ურთიერთობისა პაციენტთან, სადაც ავადმყოფი წევს ტახტზე და გაუთავებლად ლაპარაკობს. მნიშვნელოვანია, რომ მან საკმაოდ დიდ ხანს ილაპარაკოს, რათა რაღაც გამოეთქვას. ამიტომ მე ყოველთვის ხაზს ვუსვამდი დიდი ტექსტის აუცილებლობას. მამ ასე, რა გვაქვს ამ შემთხვევაში? მე ვამბობ: „რაციონალიზაცია“. რა არის ეს კომპლექსები, რომელნიც ტროპების საშუალებით გამოიხატება? რატომ აღმოჩნდა მე-20 საუკუნის ჩვენი კულტურა ამით მდიდარი? რა თქმა უნდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად მაგალითები და ფაქტებია საინტერესო და ურიცხვი, რომელთა ათვისებას და გაგებას ვერ შევძლებდით, თუ არ გამოვიყენებდით რაციონალურის, გონიერი ადამიანის კლასიკურ, ჩვენთვის ჩვეულ ცნებებს. ამ ცნების თანახმად ადამიანი თავისთვის გამჭვირვალეა, ხოლო „მე“ ცენტრია ცნობიერების სამყაროსი. ჩვენ უკვე ვხედავთ (ვუბრუნდები იმას, რაზეც წარსულში გესაუბრეთ) ისეთ სულიერ წარმონაქმნთა მაგალითებს, რომლებსაც შეიძლება მივუსადაგოთ ტერმინი — რაციონალიზაცია, და ამ კუთხით მოვახ-

დინოთ სოციალურ-პოლიტიკური აზრის ან ლიტერატურული შემოქმედების ანალიზი; ისინი შეიცავენ ცენტრის არარსებობის ნიშანს, მათ არ გააჩნიათ ცენტრი — მე. ისინი მე-ს ირგვლივ არ არიან გაერთიანებულნი და მაინც შეიცავენ ცნობიერების იერარქიული აგებულების იდეას, რომ ცნობიერებაში მრავალი ღონეა, ბევრი ფენაა, რომლებიც სხვადასხვაგვარად არიან გადახლართულნი. უფრო მეტიც, ცნობიერების ამ ფენებსა და ღონეებს აქვთ სხვადასხვა წარმომავლობა და სხვადასხვა წყარო ანუ ისინი ჰეტეროგენულნი, ნაირგვაროვანნი არიან.

ვიმეორებ — დეცენტრირებულნი, ნაირგვარნი. ახლა კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ და დაგაბრუნებთ იმასთან, რითაც დავიწყეთ. ნაბიჯი, რომლის გაკეთებაც მე მინდა, რთულია, ამიტომ ალბათ არაცნობიერად გაუზრბივარ მას და სხვა მიმართულებით მივდივარ, ვიმეორებ, რომ გზადაგზა რაღაცას მაინც გეტყვი, რათა იქვე ავიხსნათ საქმის არსი. მე ვისაუბრე ცდის თვითკმარობაზე, რომელიც ისე უნდა ავიღოთ, თითქოსდა მთელი სამყარო ხელახლა პირველად ან უბრალოდ პირველად აღმოცენდა. რა მოხდა აქ? მე თქვენ გისურვებდით სწორედ ამ პერსპექტივას, რომელშიც არის გარეგანი ხედვა ტრანსცენდენტურიდან — იგი ეცემა ადამიანს, რომელიც რაღაცას განიცდის და მისი განცდები უნდა გადავიტანოთ ტრანსცენდენტურ არსთა ენაზე, მერე კი საჭიროა უკან დაბრუნება უკვე იმის ახსნით, რაც იყო განცდილი. ასეთია ჩაღრმავების არსი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ასეთი ჩაღრმავება ზოგჯერ შეიძლება იყოს არა ახსნა, არამედ ახსნისაგან თავის დაღწევა. ვთქვათ, ჩემი მარლენი ჩაუღრმავდა სოციალიზმის თეორიას. ჩვენ შევთანხმდით, რომ არსებობს რაღაც ცდა, რომლის განხილვასაც ჩვენ ვცდილობთ როგორც თვითკმარისას იმ აზრით, რომ მასში რაღაც პირველად აღმოცენდება. ეს აღმოცენებადი არ წარმოადგენს გარკვეულ არსთა რეალიზაციას, რომლებიც შეგვეძლო გაგვეგო ამ არსთა ტერმინებში. და მე შემომაქვს კიდევ ერთი პატარა წანამძღვარი, რათა თქვენ ის დაიმახსოვროთ — ის, რაზეც ახლა ვილაპარაკებ, გათამამდება ბავშობაში და სწორედ ეს არის ფსიქოანალიზის საგანი.

ჩვეულებრივ, ფსიქოანალიზური კვლევის საგანია რაღაც პერიოდი. ვთქვათ, გადამწყვეტი — 3-4 წლის ასაკი და შემდგომი ზღვარი — 12-13 წლის ასაკი. ამ აზრით ფსიქოანალიზი წარმოადგენს ბავშვის ფსიქიკის ანალიზს ან მოზრდილი ადამიანის წარსულის ანალიზს. ხოლო მოზრდილი ადამიანის წარსული, ბუნებრივია, ბავშვობაა.

მამასადამე, ფსიქოანალიზი რაღაც აზრით არქეოლოგიაა — ბავშვობის არქეოლოგია. სხვათა შორის, ამას ძალიან აშკარად გრძნობდა ერთი ძალზე უცნაური რუსი მწერალი, რომელიც შეეცადა საკუთარი თავი ამ მხრივ განეხილა. მას მიაჩნდა ერთ ხანს, რომ ფსიქოანალიზის მეშვეობით წარ-

მატებას მიიღწია, რაც მას შეიძლება დაუჭეროთ. რას ფიქრობდა ის მოგვიანებით, ამაზე ისტორია ღუმს. მე მხედველობაში მყავს ზომიერება. მას წაკითხული ჰქონდა უამრავი წიგნი, რასაც იგი იმ დროს საგანგებოდ მალავდა (მაგრამ ნაკითხობა სრულიად აშკარად ჩანს ამ მოთხრობების ტექსტიდან). ზომიერება სრულიად ცნობიერად ცდილობდა თავისი სიზმრების და მოგონებების ანალიზით დაბრუნებულიყო მის მიერ განცდილთან და დავიწყებულთან, აღედგინა იგი, ისე რომ აღდგენა ქვეყლიყო მკურნალობად. ასეც მოხდა. მაგრამ გზადაგზა, რამდენადაც აღდგენა ტექსტით ხდებოდა, დაიწერა მშვენიერი ნოველები, რომლებმაც შეადგინეს მოთხრობების კრებული: ახლა მისი სახელწოდებაა „მოთხრობები გონებაზე“, ხოლო ადრე ერქვა – „მზის ამოსვლის წინ“. ასე რომ, მე შემთხვევით არ გთხოვეთ, დაგემასსოვრებინათ ბავშვობის ასოციაციები.

ვუბრუნდები მიმართების პრობლემას, რომელიც ცდის შიგნითაა. ცდის გარეთ ჩვენ ასე ვამბობთ: ბავშვს რაღაც დაემართა; ბავშვს კი, განსაზღვრების თანახმად, საქმე ისეთ რაღაცეებთან აქვს, რომლის შესახებაც მოზრდილმა იცის. ბავშვი სწორედ იმით განსხვავდება მოზრდილისაგან, რომ მან, საქმე აქვს რა დასრულებულ სამყაროსთან, საგნებთან, რომლის შესახებაც იცის მოზრდილმა, მათ შესახებ არა იცის რა. მოხდა რაღაც შემთხვევა. ვთქვათ, ბავშვი შემთხვევით უთვალთვალებს (თუმცა ასეთი თვალთვალი, როგორც ემპირიულად მომხდარი, სრულიად არ არის აუცილებელი ფსიქოანალიზისათვის, და მე შემდეგ აგიხსნით რა აზრით) ჭუჭრუტანიდან მშობლებს შორის ეროტიკულ სცენას. ეს მისთვის პრინციპში გაუგებარია, მშობლები რაღაც უცნაურ ქმედებას სჩადიან, ფიზიკურად ის ნათელია, მაგრამ კონტექსტში – სრულიად გაუგებარი. და აი, სწორედ აქ დევს ის პრობლემა, რომლის შესახებაც ვცდილობ თქვენ მოგითხროთ, აგიხსნათ მისი ფილოსოფიური იმპლიკაციები.

ჩვეულებრივ მიგვაჩნია, რომ არსებობს სცენის გაგება-ვერგაგება; პრინციპში ბევრს არ შეუძლია ნანახის გაგება, რადგან არა აქვს თავში ინტელექტუალური სტრუქტურების და ჩვევების შესატყვისი მარაგი, რომელიც ნანახს მისთვის გასაგებს და გაცნობიერებულს გახდის. არ გააჩნია გაგებისთვის ინსტრუმენტი. ჩვეულებრივ ვგულისხმობთ, რომ ინსტრუმენტის არარსებობა იცვლება ინსტრუმენტის არსებობით ან – რაღაცის არცოდნა იცვლება ცოდნით. რაღაცის ვერგაგება იცვლება გაგებით. ბავშვი გაიზრდება და გაიგებს.

ამ თვალსაზრისით ცდომილება, ვერგაგება, არცოდნა, უარყოფითი სიდიდეებია დადებითთან – ცოდნასა და გაგებასთან შედარებით, რომელიც თავის დროზე, მოცემულ დროს არცოდნის, ვერგაგების, უაზრობისაგან დატოვებულ ცარიელ ადგილზე ჩნდებიან. მაგრამ ყოველივე ეს –

ჩვევების ერთობლიობაა. მე ხომ გეუბნებით ისეთ რამეს, რასაც თქვენ იგებთ როგორც ჩვენი აზროვნებისათვის ჩვეულებრივს: ვსაუბრობ მიმართებაზე გაგებასა და არაგაგებას, ცოდნასა და არცოდნას, აზრსა და უაზრობას შორის. ფსიქოანალიზი რადიკალურად ცვლის ამ ჩვევას, რატომ? რით? აი, იმ მუხტით, რომელსაც თავის თავში ატარებს.

რა მუხტს ატარებს ის? დავსვით შემდეგი კითხვები: ელოდება კი ჩვენი ფსიქიკური ცხოვრება, ჩვენი ცნობიერება მომავალ გაგებას? ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფსიქოანალიზის მიერ ცდის შინაგანი მიმართება თავად ცდასთან განიხილება როგორც თვითკმარი იმ აზრით, რომ იგი არ წარმოადგენს სიცარიელეს, რომელიც ელის „გაგებით“ შევსებას, არამედ – პროდუქტულ „ვერ-გაგებას“, ე. ი. ის არის თავად „ვერგაგება“. კლასიკურ მსოფლმხედველობაში ის რაღაც ბუნდოვანებაა, რომელიც იფანტება „გაგების“ მეშვეობით, „გაგების“ სხივებში. ფსიქოანალიზში კი ის განიხილება როგორც პროდუქტული მოვლენა, თვითკმარი რამ. ე. ი. ფსიქოანალიზში ჩვენი ცნობიერი ცხოვრების შეუქცევადობა გახდა გასაგები. ის, რაც განცდილია – პროდუქტულია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის განცდილი და გაგებული – სწორად თუ არასწორად. ვერგაგების ფორმა, ანუ რაც „ვერგაგებად“ მიგვაჩნია, სწორედ ის განცდაა, რომელიც შემდგომ განუყოფელია განცდის ჭეშმარიტი შინაარსისაგან.

ეგრეთ წოდებული სექსუალური ტრავმა ის განცდაა, რომელიც განუყოფელია ნებისმიერი, ასე ვთქვათ, სწორი სექსუალური ცხოვრებისაგან. „დავსვით“ სწორი სექსუალური ცხოვრება გაგების ადგილზე, ვთქვათ, გაგებამ ან სწორმა სექსუალურმა ცხოვრებამ დაიკავა ვერგაგების ადგილი. მაგრამ ადგილი უკვე დაკავებულია: დაკავებულია განცდილით, შეუქცევადი განცდილით, ან დაკავებულია ინტერპრეტირებული პასუხით, რომელშიც პირველად აღმოცენდა შესატყვისი სამყარო. და ეს შეუქცევადია იმ აზრით, რომ სამყარო მოცემული ადამიანისათვის – ამ სუბიექტისათვის – არ შეიძლება იმ ძველ მდგომარეობაში დაბრუნდეს, რომელშიც იგი ცდამდე იყო. აქ არის ერთი ძირითადი იდეა: ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე მოვლენის აღწერის ენა გამოვაცალკეოთ თავად ამ მოვლენისაგან, ზუსტად ისევე, როგორც არ შეგვიძლია გამოვაცალკეოთ ჰალუცინაცია ან, ვთქვათ, ხედვა „ვარდისფერი სპილოსი“ ნამდვილი სპილოსაგან. რატომ? სინამდვილეში სპილო – ეს ხომ არის ის ცოდნა, რომელიც არის გარეთ, ტრანსცენდენტურ პერსპექტივაში, რომელზეც მე თქვენ გელაპარაკეთ. შენაცვლეთ სპილოს ადგილი ბავშვის განცდით მოზრდილის გაგების პერსპექტივაში. აი, მე ვიცი, როგორაა სინამდვილეში, ბავშვა კი არ იცის, ნამდვილად როგორაა. ე. ი. ბავშვი ვარდისფერ სპილოს ხედავს

(მე სპეციალურად ვანაცვლებ), მე კი ვიცი, რომ არავითარი ვარდისფერი სპილო არ არის, ბავშვს მხოლოდ ეჩვენება.

მამ ასე, ფროიდი ამზე იტყვის – როგორც განცდილია, ისე გაგებულნიც. და ეს „როგორც განცდილია – ისე გაგებულნი“ პროდუქტულია. ის დატოვებს კვალს და უაზრობაა ვილაპარაკოთ, როგორი იყო სინამდვილე, უაზრობაა ვუთხრათ ბავშვს, რას აკეთებენ სინამდვილეში მშობლები. შეიძლება ვუთხრათ? უფროსებისათვისაც კი შეუძლებელია ხოლმე თქმა, განსაკუთრებით რუსულ ენაზე, რომელიც საერთოდ არ არის ასეთი ლაპარაკისათვის მოსახერხებელი. შეუძლებელია თქმა არა მარტო ენობრივი ან ეთიკური თვალსაზრისით – ის საერთოდ უაზრობაა. რადგან ამაზე არ არის საუბარი. საუბარი არ არის იმაზე, რაც სინამდვილეში ხდება, არამედ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მომხდარს. ხოლო საზრისი, როგორც მე უკვე გითხარით, პრობლემის გადაწყვეტაა. თუ ბავშვმა იპოვა მთელი თავისი ცნობიერი ცხოვრების გადაწყვეტა იმ საზრისის შემვეობით, რომელიც მან ნანახ ეროკტიულ სცენას მიაჩნა, მაშინ შემდგომში შეცნობა, თუ რას ნიშნავს იგი, აღარ დააბრუნებს ამ ცდას, არ დააბრუნებს სამყაროს, არ შეცვლის განცდილ ცდასა და დაღეილ საზრისს. ამიტომ წამოიჭრება კითხვა – რაზე გამყარდა ეს საზრისი, უფრო სწორად, ჯერ ერთი, როგორი იყო ეს საზრისი, ე. ი. რა გადაწყდა ბავშვში გაუგებარი გაგების საშუალებით, და, მეორე, რას დაემყარა, რაზე დაკრისტალდა ის?

მოვიყვან მაგალითს, ისე, რომ კვლავ დავშლი კულტურის სხვადასხვა სართულის, სხვადასხვა დეპარტამენტის შინაგან ერთიანობას ფენებად. პრუსტიან, თუ გახსოვთ, ნამცხვარი არ არის ნამცხვარი, არამედ არის ის, რასაც ფროიდის კვალდაკვალ მე ვუწოდებ ინტერპრეტირებული ობიექტი, ანუ ისეთი რამ, რაშიც ჩადებულია რაღაც სხვა. ანალოგიურ შემთხვევაში ვალერი (პირობითად „ანალოგიურ“, რადგან ვალერის საერთოდ არ უფიქრია ამაზე, მაგრამ ესეც სტილისტური დამთხვევაა) ხმარობდა მშვენიერ სიტყვას, ის ლათინურს მიჩვეული ყურისათვის ძალიან ზუსტად ჟღერს – *inplexe*. სამწუხაროდ, რუსულში ასეთი სიტყვა არ არსებობს. აქედანაა იმპლიკაცია. მამ ასე, ნამცხვარი აღმოჩნდა რაღაცის მატარებელი: მას ჰქონდა კრემიც და, გარდა ამისა, განცდილი მოგონებების გარკვეული ერთიანობა, მოგონებებისა, რომლებიც ცნობიერი მეხსიერების კავშირიდან გავიდნენ და მივიდნენ – სად? ნამცხვარში. და აი ერთ მშვენიერ დღეს, ნამცხვრის მირთმევის აქტში მოულოდნელად (როგორც ჩაის მარცვლები გაფუფუნებიან ხოლმე ცხელ წყალში) ამოტივტივდა პრუსტის მიერ ბავშვობაში განცდილი მთელი სამყარო – ფიზიკური სამყარო ბუნებით, ხეებით, სახლებით, ადამიანებით, რომლებიც მან გაიხ-

სენა არა მესხიერებაზე ცნობიერი ძალდატანებით, არამედ რომლებიც თითქოს თავად შეიჭრნენ, შევიდნენ ნამცხვარში.

ჩავენაცვლოთ ნამცხვარი უფრო რთული მოვლენით. ვთქვათ, იგი ჩვენი კულინარული ტკბობის და ლიტერატურული მუშაობის (როგორც პრუსტთანაა) საგანს კი არ წარმოადგენს, არამედ იმას, რაც კომპლექსად, ფიქსაციად იწოდება. მამასადამე, შეგვიძლია ავიღოთ რაღაც, როგორც ფიქსაცია, სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომ მივიღივართ იმ განცდებთან, რომლებიც აქტებია პროდუქტული გაგებისა ან პროდუქტული ვერგაგებისა; რაც მომავალ გაგებას არ უცდიდა, რამაც ხასიათის და თავად განცდის სტრუქტურის ძალით რაღაცა წარმოშვა. მამასადამე, ჯერ ერთი, ჩვენ უნდა მოვძებნოთ ის, რაც წარმოიქმნა, და, მეორე, ის, რაზეც დამაგრდა ეს წარმოქმნილი. დამაგრება კი საკმაოდ უცნაურ ნივთებზე ხდება: ვიღაც წვება დასაძინებლად და სამჯერ უნდა მიიღოს ცხვირზე ხელი, ბალიშის ქვეშ უნდა ამოიღოს რაღაც. აქ ხდება იგივე, რაც ნამცხვრის შემთხვევაში ხდებოდა. რა ჩაიღო მასში, რა შეინახა?

აი, ასეთ მოვლენებზე ლაპარაკობს ფსიქოანალიზი. ფსიქოანალიზის თანახმად არსებობს პრობლემის გადაწყვეტის ნაკვალევები, საგნები, რომლებზედაც ეს პრობლემები წყდება: ვულგარულად მათ ფიქსაციები ან კომპლექსები ეწოდება, თუმცა თავად ფროიდი ამ ტერმინებს არ იყენებდა. ფსიქოანალიზისგან განსხვავებულია სხვა წარმოდგენა ჩვენი გაგების მუშაობაზე, წარმოდგენა, რომელსაც კლასიკური რაციონალიზმი და პროგრესიზმი აგებდა. მის თანახმად, კულტურის განვითარების ხაზში არის ცდომილების საწყისი. ადამიანთა ბუნებრივ უნარებს – სიკეთეს, სიმართლეს და ა. შ. – აქვს რაღაც ჭეშმარიტი საფუძველი; არცოდნის, უვიცობის გამო წარმოიშვა უამრავი დაბნეულობა, ცდომილება, თანდათან კი აღმოცენდება ჭეშმარიტება, ცდომილება ნისლივით გაიფანტება. ე. ი. ცდომილება და ვერგაგება უარყოფითი ან ცარიელი სიდიდეებია.

ფსიქოანალიზი გვაძლევს ჩვენი ცნობიერი ცხოვრების სრულიად სხვა სურათს. სურათს, რომელშიც სამყარო თავად ცდამი იბადება. ჩვენ მას პირველად ვეცნობით ამ ცდის საშუალებით, მის შესახებ არაფერი ვიცოდით მანამდე. მაგალითად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავიდანვე ვიცით ერთიკული სცენის მნიშვნელობა, ის თითქოს რაღაც არსია, ის სამყაროში არსებობს. ახლა ჩავთვალოთ, რომ არ არსებობს ეს არსი. ახლა ამას ცოტა სხვა მხრიდან ავიხსნით, რათა ჩვენთვის მკაფიო გახდეს ინტელექტუალური ენის ხასიათი, რომელიც დაფარულია ფსიქოანალიზის გარეგანი ემპირიული გარსით. ფსიქოანალიზს აქვს თავისი საგანი და ჩვენ მასში არ ვიჭრებით – ჩვენ ეჭიმები არა ვართ და ამის გაკეთება ჩვენი საქმე არაა. ეს მხოლოდ პროფესიულად უნდა გაკეთდეს.

მე ხშირად გამოვიყენებ სიტყვებს: „გარეგანი“, „შინაგანი“, „პერსპექტივა“, „ტრანსცენდენტური“, „შინაგანი პერსპექტივა“ და სხვა, რათა მოვიხელთო ზოგადი სტილი და ამასთან ერთად, შეგახსენოთ ადამიანური არსების ბუნება. ფსიქოანალიზის შინაგანი მუხტი იმაშიც მდგომარეობდა, რომ მან კვლავ შეგვახსენა ადამიანის ფუნდამენტური მდგომარეობა სამყაროში, შეგვახსენა, როგორია ადამიანი. ცხადია, არა იმ აზრით – კარგია ის თუ ცუდი – ამას მე არ ვეხები.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ფაქტები: აი, ხე, ქვა, მაგნიტოფონი, ჭიქა. ყველა ამ საგანთან ერთად არსებობს მამაკაცი და ქალი, არსებობს სხვადასხვა არსება, არსებობს ორი სქესი. ეს ფაქტებია. რაღაც რომ გაიგო, ისე უნდა იმსჯელო, თითქოს ეს ფაქტები არ არსებობს. რა აზრით? მე გითხარით, რომ ფსიქიკური ცხოვრების საგნები განუყოფელია ინტერპრეტაციისა და გაგებისაგან, რომელთა ტერმინებშიც იყვნენ ისინი განცდილნი დასაბამიდან. სქესის განსხვავების ფაქტი ადამიანური აზრით არ არსებობს, სანამ ეს ფაქტი არ იქნება აღმოჩენილი. ეს აღმოჩენა კი შრომას, ძალისხმევას მოითხოვს. ცხოველთა სამეფოში სქესობრივი განსხვავება ბუნებითაა მოწესრიგებული, ინსტინქტების ავტომატიზმის საფუძველზე მყარდება. ფსიქოანალიზმა კი გვიჩვენა, რომ ეს ფაქტი უნდა დადგინდეს და ამ დადგენისათვის სქესთა განსხვავების ცოდნის ფაქტს, ე. ი. უფროსების დაკვირვებას გარედან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სქესთა განსხვავება ადამიანისათვის თავიდანვე არ არის რეგულირებული. ის არ არის მოცემული არც როგორც ანატომიური რეალობა და არც როგორც ქცევისა და ცხოვრების ფაქტი. თუ გავანალიზებთ სიზმრებს, კომპლექსებს, ნევროზებს, გამოვარკვევთ, რომ გარკვეულ ასაკში ბავშვი მიდის ამ განსხვავების დადგენამდე, როგორც მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენამდე, მაგალითად, ე. წ. კასტრაციის კომპლექსის საშუალებით. ე. ი. თავდაპირველად იწყება ფსიქიკის პროდუქტული მუშაობა, რომელიც ცდილობს დაადგინოს ეს ფაქტი და სხვადასხვა ადამიანთან სხვადასხვა შედეგებამდე მიდის. რა არის დასადგენი? ის, თუ რატომ ჰკიდია ბიჭს რაღაც, გოგონებს კი არაფერი. შეიძლება აიგოს ადამიანის წარმოშობისა და სქესთა განსხვავების თეორიები, რომლებიც შემდგომ სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის ჩვენი ბავშვური თეორიების ნაკვალევად იქცევა (ხედავთ, როგორ სიტყვებს ვხმარობ – „სამყარო“, „ადამიანი“). შემდეგ ეს ნაკვალევი ჩვენს სიზმრებში იარსებებს გველის, ან ღრმა ჭის სახით, ასვლისა და ჩასვლის სახით. ყოველივე ეს სქესობრივი აქტის ან სქესობრივი განსხვავების სიმბოლოებია.

თავად სექსუალური გადახრების ფაქტი, თავად მათი არსებობის შესაძლებლობა სქესობრივი განსხვავებების ფაქტის ექსპერიმენტულ ხასიათს

მოწმობს, თუ „ექსპერიმენტული“ ნიშნავს იმას, რაც დადგენილი უნდა იყოს ფსიქიკური გადამუშავების გზით. განსხვავება მხოლოდ ცნობიერების მუშაობის შედეგად ხდება გასაგები. ხოლო ვიდრე ცნობიერება მუშაობს, შეიძლება რაღაც მოხდეს. ჩვენ დაუშვით, რომ აუცილებელია ცნობიერების მუშაობა და არა მხოლოდ ფაქტები. ამას მოსდევს ფროიდის უკვე კლინიციისტური აზრი: – გზად რაღაც შეიძლება მომხდარიყო, რადგან არაფერია გარანტირებული. რამდენადაც ჩვენი ჯანმრთელობა (ის, რასაც ჩვენ პირობითად ჯანმრთელობას ვეძახით) არის ექსპერიმენტული ფაქტი, მამასადამე, ის რაც ხდება ცნობიერების დაძაბვით ან მუშაობით, მათ შორის ჩვენი არასიჯანსაღე, არის ჩვენი ჯანმრთელობის ექსპერიმენტული ხასიათის საფასური, ანუ ჩვენი ბუნებრივი ჯანმრთელობის გარანტიის უქონლობის შედეგი. სხვანაირად ამის გაგება შეუძლებელია. მე ასე ვიტყვი: შესაძლებელი რომ იყოს აბსოლუტური დაკვირვება (ამ ფრაზას ვამბობ, რათა გავაერთიანო სხვადასხვა სტილი) აზროვნების შიგნით და შესაძლებელი რომ იყოს შეერთება გარეგნულად დაუკავშირებელი მონაკვეთების (წარმოიდგინეთ გადასაღები მოედანი, სხვადასხვა ადგილას თამაშობენ მსახიობები, აი, აქედან 100 კმ დაშორებით, 1000 კმ დაშორებით აქედან პირველ სართულზე, მესამეზე... და ყველა ეს მოედანი დაკავშირებულია ერთმანეთთან)... შესაძლებელი რომ იყოს აბსოლუტური დაკვირვება გარე სამყაროზე, ტრანსცენდენტურზე, რომელზეც მე გესაუბრებოდი, მაშინ ჰომოსექსუალიზმი არ იარსებებდა.

რას მივიჩნევთ ავადმყოფობად (ჩვენს ნორმალურ ენაზე) ან დარღვევად (აი, მინდოდა მეთქვა: ნორმებისა – მეთქი, და ეს კი არის საქმის არსი)? ავადმყოფობად მიგვაჩნია რაღაც ისეთი, რაც გადახრაა – რისგან? – ნორმისაგან. – რა არის ნორმა? ნორმა არსებაა, ე. ი. საგანი, რომელიც არსებობს იქ – ტრანსცენდენტურ სამყაროში. და აი, თუ ჩვენ აღარ ვიგულისხმებთ, რომ საგნები ან არსებები არსებობენ თავისთავად, როგორც ხეები ან ქვები, არამედ არსებობენ იმ ზომით, რა ზომითაც ვლინდებიან ადამიანად არჩამოყალიბების ძალისხმევისა და რისკის დონეზე (ჩვენ ხომ ადამიანად არგახდომის რისკის ფონზე ვხდებით ადამიანი), მაშინ აბსოლუტური მორალური შეფასებიდან ვათავისუფლებთ ე. წ. გადახრებს. იგივე ითქმის ნორმებზეც. ჩვენ არ შეგვიძლია მათში დავინახოთ არსისაგან ჩვენი გადახრის განზრახვა.

ამ მოვლენაში ვხედავთ ფსიქიკის ნორმალურ მუშაობას – სწორედ მუშაობას და ყველაფერს, რაც დაკავშირებულია რისკთან: გამოვა – არ გამოვა.

ერთმა ფსიქოანალიტიკოსმა კარგად თქვა; ღმერთმა ქნას, გამახსენდეს, ძალიან მკაფიო ფორმულირებაა და ის მთელი თავისი სინათლით

ამომვარდა თავიდან. დამიტოვა რაღაც ბუნდოვანი, არამკაფიო საგანი, იქ კი სწორედ ფორმაა კარგი, რომელშიც ესაა გამოსახული: „მთელი ჩვენი ცხოვრება არის მკურნალობა დაბადების შოკისგან“. სხვათაშორის, ამ ფრაზას შეიძლება მივცეთ პირდაპირი მნიშვნელობა: არსებობენ ანალიტიკური და საერთოდ სამედიცინო გამოკვლევები, რომლებიც განიხილავენ უბრალოდ დაბადების ფიზიკური აქტის შედეგებს, ეს შედეგები – ფიზიკურ ტერმინებში გამოხატულიც კი – დრამატულია, შეუძლებელია მათ არ დატოვონ რაღაც კვალი. ახლა შევხედოთ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობით. დაბადება (არა უბრალოდ ფიზიკური დაბადება) ადამიანური არსებისა – იმ მნიშვნელობით, როგორითაც ამას ყოველთვის ვიხილავთ ჩვენი ლექციების დროს – შეიძლება იყოს შოკი, მას შეიძლება ჰქონდეს გართულებები. ეს შოკური გართულებები ჩადებულია გარკვეულ პერიოდში – ყველაფერი წყდება სამი-ოთხი წლის ასაკში. ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. საკუთრივ ფსიქოანალიზს ექვემდებარება ის, რაც იმ დროს მოხდა და არა უბრალოდ ყველაფერი ის, რაც ხდებოდა ან ხდება შემდეგში და რასაც სინამდვილეში ფსიქოანალიზთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩვენ კი დამახინჯებულად ვიყენებთ ფსიქოანალიზს უკვე ჩამოყალიბებული ცნობიერების ყოველგვარი გამოვლენის მიმართ. არა, მოწიფულ ცნობიერებაში ჩვენ შეგვიძლია მოვძებნოთ მხოლოდ ის, რამაც ბავშვობაში დატოვა კვალი, ხოლო ბავშვობაში კვალს ტოვებს გაგების ძირითადი საკითხები: ვინ ვარ მე? საიდან ვარ? როგორ დავიბადე და რითი განვსხვავდები სხვებისაგან? ეს სწორედ ისაა, რაზეც მუშაობა გვიხდება, და რასაც მოჰყვება შედეგები – შეიძლება გატყდეს კიდევ. ხომ შეიძლება, მუშაობისას რაღაცამ გადაინაცვლოს არა უცოდველ ნამცხვარში, არამედ რაღაც პათოლოგიურ ქცევაში. თავად პათოლოგიური ქცევა არის საგანი, რომელმაც თავისთავში ჩაიტია ეს სამუშაო – იგი რატომღაც ამ გზით წავიდა.

მამ, რას იკვლევს ფსიქოანალიზი? იმისათვის, რომ გავიგოთ, რასაც ვიტყვი, გაიხსენეთ ზომიერკოს პათეტიკური, ამაჩუყებელი მცდელობა, რაღაც მოეხერხებინა თავისი თავისთვის, რათა განკურნებულიყო. იგი ასე თვლიდა: ადამიანში არსებობს დაფარული ფსკერი, რის შესახებაც ბოლოს და ბოლოს შევიტყვეთ, კაცობრიობა არსებობდა და ამის შესახებ არაფერი იცოდა. ბოლოს კი შეიტყო იმ ფსკერის შესახებ, რომელშიც ლტოლვებია: აგრესიული, მანკიერი და ა. შ. და აი, ძალზე უცნაური რაღაცეები ხდება ფსიქოანალიზის ირგვლივ. ფსიქოანალიზი მოძღვრებაა, რომელსაც არა აქვს საგანი და ამით იგი ფილოსოფიურად საინტერესოა. არა აქვს საგანი, ე. ი. არა აქვს ის, რაზეც ბოლოს და ბოლოს ვიღებთ ცოდნას, როგორც რაღაც არსებულზე, როგორც რაღაც საგანზე. მაგალითად, ჩვენ არ ვიცოდით და არ გვენახა რომელიღაც ვარსკვლავი, მაგ-

რამ შემდეგ ვიპოვეთ და აღმოვაჩინეთ — იგი არსებობს. აქამდე უცნობი იყო, ვთქვათ, დაფარული იყო რაღაც ჰორიზონტით — ახლა კი აღმოვაჩინეთ და ვიცით მისი რაობა. ასე თითქოს ჩვენს სულშიც აღმოვაჩინეთ რაღაცას. არა! მთელი სირთულე ამამია. აი, რატომ იყო ფსიქოანალიზი ვულგარულად გაგებული დილექტანტთა მიერ და, მეორე მხრივ, რატომ არ იღებდნენ მას მოწინააღმდეგეები: იგი ხომ განსჯის სრულიად ახალი წესია და მეცნიერული თეორიის ახალი ტიპი, ტრადიციული მეცნიერული თეორიებისაგან სრულიად განსხვავებული. დღემდე არსებული ტრადიციული მეცნიერული თეორიები წარმოადგენდნენ რაიმე საგანზე ცოდნის აგების განსაკუთრებულ ხერხს, ისეთ საგანზე, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელია ეგრეთ წოდებული ობიექტივაცია, ე. ი. აზრის მდგომარეობის გარეთ გამოტანა. აზრის ეს მდგომარეობა არის საგანი. თუ იგი — ვთქვათ, მათემატიკური ფორმულა — შეესატყვისება გარკვეულ პირობებს, მაშინ შესაძლებელია იგი ობიექტივირებული იყოს, ე. ი. ეს აღწერილობა შეიძლება სამყაროს მიეწეროს. გვაქვს სამყაროს აღწერა — ხოლო სუბიექტი ამ სამყაროსაგან გამოცალკევებულია. მაშასადამე, ობიექტივაცია არის რაღაც გამოცალკევება, გარეთ გამოტანა, ის, რაც მიეწერება სამყაროს. ამავე დროს იგულისხმება სუბიექტი, რომელიც ცალკე დგას ამ სამყაროსაგან, არანაირად არ ზემოქმედებს მასზე და არანაირად არ ამრუდებს მას. გვაქვს თუ არა ასეთი ვითარება ფსიქოანალიზში? თითქოსდა გვაქვს. დიახ, ყველას ასე ესმოდა, რაკი არის მეცნიერება, მან უნდა აღმოგვიჩინოს საგანი. საგანი, რომელიც არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. სინამდვილეში, ფსიქოანალიზი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა და იმაში მდგომარეობს, რომ ძიების საშუალებით მივიღეთ რაღაც პირობებთან, რომლებიც კრისტალდებიან ფსიქიკურ კომპლექსებში, და ამ კომპლექსებთან მიახლოების მუშაობამ განაცალკევოს ეს პირობები და საშუალება მისცეს ახალი ცნობიერი ცდის წარმოშობას. აქ საგნის აღწერა ხდება. ამის შესახებ ასე ითქმის: მოდით ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ და შეიძლება რაღაც გამოთავისუფლდეს. მაშინ ყველაფერი აღიწერება. მაგალითოდ, როცა მე კიბოს, სიმსივნეს ვეკურნალობ, მე შემიძლია სიმსივნე ვიპოვო და აღვწერო, უკვე აღწერილი კი, მოვამორო.

ასეთი საგანი ფსიქოანალიზში არ არის. არის მხოლოდ გზა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს წარმოიქმნას ახალი ცნობიერი ცდა. ცდა, რომელიც დამლის უწინდელ ბმულობას. ცდა მხოლოდ ადამიანზე შეიძლება აწარმოო. ამ აზრით, ეს სიმსივნე არ არის, რომელსაც ექიმი ამოკვეთს. ფსიქოანალიზში ექიმი დიალოგის მონაწილეა. ამიტომ ფსიქოანალიზში ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვას. საუბრებში, რომელშიც მონაწილეობს ორი უცნაური პერსონაჟი, ერთ-ერთია ექიმი-ფსიქოანალი-

ტიკოსი, რომელიც ექიმისაგან იმით განსხვავდება, რომ მან წინასწარ არ იცის ჩვენს შესახებ, ექიმმა კი იცის. ჩვენ ექიმთან მივდივართ, როგორც ადამიანთან, რომელმაც ჩვენს შესახებ პროფესიულად იცის ისეთი რამ, რაც ჩვენ არ ვიცით, ვთქვათ, ანატომია და რეალური ფიზიოლოგიური მედიცინა, ხოლო ფსიქოანალიზში ექიმი არავითარ კონკრეტულ ჭეშმარიტებას არ ფლობს პაციენტის შესახებ. ფსიქოანალიზის შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ დიალოგურ ჭეშმარიტებასთან, რომელიც – ჯერ ერთი, თვითონ არ არსებობს დიალოგამდე და, მეორე, უპირატეს ყოვლისა, არ არსებობს თვითონ ექიმშიც, რათა მან გარედან ამცნოს ეს ჭეშმარიტება პაციენტს: რატომ?

ახლახან გითხარით, რომ არ არსებობს ასეთი საგანი. ლაპარაკია იმაზე, რომ მოვახდინოთ პროვოცირება, წარმოვშვათ ახალი ცნობიერი ცდა, რომელიც გათიშავს წარსულ ბმულობას. ამასთან ფსიქოანალიზი თითქოს არაფერს არ აგვიწერს.

მივუბრუნდეთ წინა თემას. მას მოკლედ დავასრულებ, შემდეგ კი გავაგრძელებ გზას. ფროიდზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, რადგან ის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ფიგურაა. მაგრამ იძულებული ვარ შემოვიზღუდო და იმას, რაზეც გესაუბრებოდით, მხოლოდ ერთ თემას დავამატებ. ეს როგორც თქვენი, ისე ჩემი გაფრთხილებაა იმის თაობაზე, თუ რა წესით უნდა აღვიქვათ ფროიდი, თეორიული დებულებები, ძირითადი ცნებები, რაც ფსიქოანალიზში ფიგურირებს და გასდევს მას. ეს გაფრთხილება ან ეს თემა არის მითითება ფროიდისეული ანალიზური აპარატის განსაკუთრებულ ხასიათზე, იმ ცნებებზე, რომლებიც თავდაპირველად ფროიდმა შემოიტანა, შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა, ხშირად ისე, რომ მათი პირვანდელი ორიგინალური მნიშვნელობა დაიკარგა. ყოველდღიურ ხმარებაში, უვიცთა ხელში ისინი უაზრო მოდის ჩლუნგ საგნებად და იარაღებად გადაიქცნენ. ამიტომ ჩემს გაფრთხილებას აზრი ექნება იმდენად, რამდენადაც მთელი წლის განმავლობაში ჩემს მსჯელობას უნდა დაერწმუნებინეთ, რომ სისულელე ადამიანის ჩვეულებრივი მდგომარეობაა, საწინააღმდეგო მდგომარეობა კი საკვირველია, ე. ი. საკვირველია ის ფაქტი, რომ ადამიანი სისულელეს არ ლაპარაკობს.

დასაწყისისათვის, რათა უცბად არ გაგაოგნოთ რთული აზრებით, გესაუბრებით მეტ-ნაკლებად მარტივ საგნებზე. ფსიქოანალიზი მე-20 საუკუნეში ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელდა. იქ მან თავისი პირველადი მნიშვნელობის საპირისპირო, მეტად ფართო, მიმართულება შეიძინა, ხშირად არაოფიციალური სამედიცინო პრაქტიკის სახით ვრცელდებოდა. ფსიქოანალიზის პრაქტიკოსებისა და პაციენტების თვალში იგი იაზრებოდა როგორც ერთგვარი თეორია, ერთგვარი წესი

ისეთი მკურნალობისა, რომელშიც თეორია პრაქტიკისაგან განუყოფელია. ეს ისეთი თეორია და პრაქტიკაა, რომელიც შეიქმნა და დამუშავდა იმისათვის, რათა გადაჭრას ადამიანის კონფლიქტი თავის თავთან და გარემოსთან – კულტურულ, სოციალურ, პირადულ გარემოსთან და შეაგუოს ადამიანი ამ გარემოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ ძალზედ გამოიკვეთა სწორედ ის, რისგან თავის დაღწევითაც ყალიბდებოდა ფსიქოანალიზი. სახელდობრ, კლასიკური, ტრადიციული, ბურჟუაზიული წარმოდგენები იმაზე, თუ რა არის ნორმა, რა არის ადამიანი.

ადამიანი არის ადაპტირებადი, კონტროლს დაქვემდებარებული არსება, რომელიც ჰარმონიულად უნდა შეერწყას არსებულ საზოგადოებრივ, კულტურულ და ა. შ. გარემოს, და რომელმაც თავისი ქცევით, თავისი ცნობიერების მდგომარეობით, თავისი საქმიანობით უნდა მოახდინოს არსებული, უკვე მზა მიმართებების უკუფენა. ყველაფერი, რაც არ ჰგავს მათ, არის ნორმის დარღვევა, ანუ დაავადება, არანორმალური მდგომარეობა, რის გამოც ამ ადამიანს უნდა ვუმკურნალოთ, ან ის უნდა მოვათავსოთ საპყრობილეში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და ა. შ. ერთი სიტყვით, ადამიანის ნებისმიერი მდგომარეობა, რომელიც არსებულ ინტეგრირებულ მდგომარეობებს არ ჰგავს, გვევლინება კონფლიქტად, რომლის გადაწყვეტის გზა ადამიანში გარემოსადმი ადაპტაციის საშუალებათა გამოძევაა. არსებული განსაზღვრების თანახმად შეგუებულობა თავიდანვე გვევლინება საზოგადოებისა და ადამიანის ნორმალური მდგომარეობად.

საბოლოოდ, როგორც ხედავთ, ტრადიციული, სამეურნეო, საგანმანათლებლო, ვიწრო რაციონალური წარმოდგენების ფონზე, ყოველივე ახალს ძალზე იოლად შთანთქავს ძველი. ძველი შთანთქავს ახალს და ახდენს თავის თავში ამ ახლის გარეგნული ფორმის ასიმილირებას. ამის შედეგად საქმე გვაქვს მე-20 საუკუნის მოდასთან, რომელსაც ფსიქოანალიზი ეწოდება. ფსიქოანალიზმა მკაფიო ფორმები მიიღო შეერთებულ შტატებში არა იმიტომ, რომ ამერიკელებს მიდრეკილება აქვთ რაღაც უხამსობის, ან სისულელის ანდა რაღაც ამგვარისადმი, არამედ იმის გამო, რომ იქ თავად სამედიცინო პროფესიის განვითარების განსაკუთრებული პირობები არსებობს. ევროპაში ძალიან ძლიერი იყო პროფესიის ტრადიციული სტრუქტურები, ამერიკისაგან განსხვავებით ევროპაში იყო საკმაოდ მოწესრიგებული ცენტრალიზებული საზოგადოება სოციალური იერარქიის ძლიერი ნარჩენებით, რაც აძნელებს ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლას. იქ არსებობს ძლიერი საუნივერსიტეტო ტრადიცია, ასევე ცენტრალიზებული. რამდენადაც ტრადიციული ინსტიტუტები არ იკარებდნენ ფსიქოანალიზს, რაღაც სხვა ზერელების უქონლობის გამო ფსიქოანალიზი ვერ გადაიქცა მასობრივ მოდად, ადამიანის ადაპტაციას რომ ახდენს. შე-

ერთებულ შტატებში კი, დეცენტრალიზაციის გამო, სრულიად განსხვავებული პროგრამების მქონე უამრავი უნივერსიტეტის არსებობის გამო, ამერიკული ცხოვრების ასეთი კუთხურ-დემოკრატიული ხასიათის გამო, თავისუფალი პროფესია ნაკლებად შებოჭილი იყო პირობითობით და ამიტომაც ფსიქოანალიზი იქ ფართოდ გავრცელდა.

მე უკვე გითხარით, რომ სინამდვილეში ფსიქოანალიზის საზრისს, უწინარეს ყოვლისა, შეადგენს ინდივიდთა გამოცდილების სრულიად ორიგინალური, თვითკმარი ხასიათის ჩვენება. ეს ჩვენება ხდება ისე, რომ გამოცდილება არ ფასდება როგორც რაღაც წინასწარ მოცემული, არსებული ნორმიდან გადახრა. მოკლედ რომ ვთქვათ, ფსიქოანალიზის რევოლუციური მნიშვნელობა ის არის, რომ იგი არღვევს ჩვენს წარმოდგენებს ნორმებზე, ჯანმრთელობასა და ავადმყოფობაზე. ფსიქოანალიზის ამოცანაა, მოჩვენებითი დაავადების (უბრალოდ ნორმიდან გადახრის) ფორმის მიღმა იპოვოს რაღაც რეალური გზების მაძიებელი გამოსახულება, შინაარსი, რომელსაც წინასწარ ვერ მისცემ შეფასებას – „უღლი“, „კარგი“, „ნორმა“, „ნორმის გარეშე“; შინაარსი, რომელიც არის რეალური მოვლენა სამყაროში და ეძებს გამოსახვის ხერხებს; ჩვენ უნდა ჩავწვდეთ სწორედ მას და არ ვივარაუდოთ, რომ არსებობს დასრულებულ აზრთა და დასრულებულ არსთა წინასწარ გამზადებული სამყარო.

აი, ხომ ხედავთ, აქ თვით სტილისტიკაა დასაწყისშივე სხვაგვარი. მე აღვწერე კლასიკური შეხედულება როგორც ისეთი თვალსაზრისი, რომელიც ცდილობდა მოეხზა ადამიანური ყოფნის და ადამიანური ქცევის ტრექტორია თავისი არსებითი საზრისებით დასრულებული სამყაროს ჩარჩოებში, ველში, სივრცეში, მოექცია იგი ისეთ სამყაროში, სადაც ნამდვილი აზრი იმისა, რასაც ახლა ჩავიდენ, წინასწარ მოცემულია დასრულებულ მსოფლიო გეგმაში. ამიტომ იმის გასაგებად, თუ ახლა რას ვაკეთებ, უნდა მივმართოთ მსოფლიო გეგმას. მე ან თავად უნდა მივმართო დასრულებულ მსოფლიო გეგმას, გავიგო იგი, ანდა უნდა მივმართო იმათ, ვინც იცის ეს მსოფლიო გეგმა და იმათგან მოვისმინო, რას ვგრძნობ მე სინამდვილეში, რა გავიფიქრე სინამდვილეში, რა ჩავიდინე სინამდვილეში. ეს მსოფლიო გეგმა თითქოს მოცემულია მანამ, სანამ მასში გაისმის მოცემული *hic et nunc* – „აქ და ახლა“ ცდის უნიკალური შინაარსი. პირიქით, ეს ცდა – *hic et nunc* – სინათლეს, სანქციას, განმარტებას იღებს იმ სხივებისაგან, რომლებიც ჩვენამდე მოდიან სამყაროს დასრულებული, არსისუფლი ფონისაგან. თუ თქვენ გადახვალთ წარმოდგენათა ენაზე და იხმართ გამოთქმებს: „ჯანმრთელობა“, „ავადმყოფობა“, „ნორმიდან გადახრები“, „ნორმა“, ან როგორც ხანდახან სოციოლოგები გამოთქვამენ: „კომფორტული მდგომარეობა“, „დისკომფორტული მდგომარეობა“, „ადაპტი-

რებული“ ან „არაადაპტირებული“, მაშინ მიხვდებით, რომ ყველა ეს სიტყვა უბრალოდ იბადება იმ წარმოდგენათა სამყაროში, იმ რაღაც ფარული წანამძღვარების, ფარული არსებითი ძაფების სამყაროში, რომლებიც ჩვენი თითქოს ყველაზე უბრალო, ბანალური და არა რთული აზრებისა და აზრის მსვლელობათა უკან დევს.

ვიმეორებ, რომ ფსიქოანალიზის რევოლუციური აზრი იყო ამ ძაფების, ხლართების, აზრის შინაგანი კავშირების ნგრევა. დანგრევა იმისა, რაც ბადებდა კიდევ წარმოდგენებს ნორმაზე, ნორმის დარღვევაზე, ადაპტირებულზე და არაადაპტირებულზე, დისფუნქციურზე, ფუნქციურზე და ა. შ. თუმცა ვიმეორებ, ფსიქოანალიზის ეს რევოლუციური გზნება რაღაც-გვარად იმავე ძველ წისქვილს ასხამდა წყალს.

ახლა ჩაუუკვირდეთ აქ არსებულ ერთ დეტალს. იგი ლოგიკურად გადაგვიყვანს სხვა თემაზე, სახელდობრ, სიცოცხლის ფილოსოფიაზე, კულტურის ფილოსოფიაზე და ჰერმენევტიკაზე. მამ ასე, მე გელაპარაკეთ იმაზე, რომ არსებობს ცდის თვითკმარობა, რომლის აზრი თავად მისთვის არ არსებობს და, მამსადამე, ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს ცდა (თუკი ანალიტიკოსები ვართ) ისე, რომ არ ვივარაუდოთ რაღაც მზა აზრების არსებობა. მოვიყვან მარტივ მაგალითს. გავიხსენოთ მეტაფორის რაობა XVIII, XIX საუკუნეების ტრადიციულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ის მიიჩნეოდა აზრის ერთგვარ მზა შინაარსის ანალოგიურ ან სიმბოლურ გამოხატულებად, რომელსაც მე ვუთანადებ სხვა საგანს და მეტაფორულად გამოვხატავ ამ სხვა საგანს პირველის მეშვეობით. ამასთანავე ვადარებ და მესმის ეს შინაარსი, ვფლობ ჩემს მიერ გაგებულ შინაარსს. მეტაფორა გვევლინება წმინდა წყლის სტილისტურ ხერხად, რომელსაც მართავს რაღაც გამოხატვის კონტროლს დაქვემდებარებული ინტენცია. ეს გამოხატვის ისეთი ინტენციაა, რომელშიც იმის შინაარსი, რისი თქმაც მე მინდა, ჩემთვის სავსებით ცხადია. შემეძლო სხვაგვარად გამომეხატა, მაგრამ რატომღაც სტილის სილამაზის მიზნით მას მეტაფორულად გამოვხატავ. სიზმრებში, ფსიქოზებში და ნევროზებში ფროიდმა აღმოაჩინა ისეთი რამ, რასაც ის და სხვები უწოდებდნენ სიზმრის, ფსიქოზის, ნევროზის მეტაფორებს. აქ სრულიად სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. აქ იფიქსიზმებოდა, რომ მეტაფორის აზრი არ უსწრებს წინ მეტაფორას, არ არსებობს თავად მეტაფორაზე ადრე სუბიექტისათვის რაღაც ცნობიერი ან ნათელი შინაარსის სახით, იმ შინაარსის სახით, რომელსაც ეს სუბიექტი შემდეგ, სტილის ფანდების გამო მეტაფორულ ან ანალოგიურ ფორმას მისცემდა. მეტაფორა ისეთი წარმონაქმნია, რომელიც ეძებს თავის აზრს. სხვაგვარად, იგი აზრის არაპირდაპირი ობიექტია, რომელიც განსხვავდება აზრის პირდაპირი ანალიზური შინაარსისაგან. მამსადამე, როდესაც მე-

ტაფორულ გამოსახულებას ვხვდებით, მას ჩვენი ძველი ჩვევების მიხედვით არ უნდა მივუდგეთ. რომელი ჩვევების მიხედვით? აი, იმ ჩვევებისა, რომელთაც მე ვუწოდებ ახრთა და არსთა დასრულებული სამყარო, ან დასრულებული მსოფლიო გეგმა.

ეს თუ ასეა, თუ ჩვენ სიცოცხლის ზოგიერთ ცნობიერ წარმონაქმნს – იმ ზომით, რა ზომითაც ვალიარებთ ცნობიერი წარმონაქმნების გარდაკიდევ რაღაც არაცნობიერ ფენებს – ვიზილავთ და ვაქცევთ რაღაც სქემამი (წინასწარ გამოთვლილია და განსაზღვრულია, ვთქვათ, ღმერთის მიერ გაკეთებული ნაბიჯები ბჭობისა, დასრულებული საზრისების, არსების განვლისა), მამინ ჩვენს წინამე წარმოდგება ყოფიერების სურათი. თუ ყოფიერების აღრინდელ სურათში სამყარო წარმოგვედგინა, მართალია, უსასრულოდ გრძელ სიბრტყეში არსებული, მაგრამ მაინც რაღაც სწორი, თვალის ერთი გადავლებით რომ მოიცავ ყველა მის წერტილში, ყოფიერების ამ სურათში სამყარო მოულოდნელად, მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, გაიბერა. წარმოდგინეთ სურათი – მასში არის პირველი პლანი, შუა პლანი, უკანა პლანი, მოულოდნელად ყოველივე ეს აირია და გაიბერა. თუმცა ფერწერას არ ვეხები, მაგრამ იმას, რაზეც მე ვლაპარაკობ, შეგიძლიათ მოუსადაგოთ, ვთქვათ, ფსიქოლოგიური გამოცდილება იმ ადამიანისა, რომელიც დგას სეზანის ტილოს წინ და უყურებს მას. იმ ძალდატანების მეოხებით, რომელსაც განიცდის თქვენი მხედველობა, თქვენ გაიგებთ, რომ უკანა პლანზე მყოფ საგნებს, რომლებსაც კლასიკური პერსპექტივის მიხედვით მცირე ზომები უნდა ჰქონდეთ, სეზანის ფერწერაში, პირიქით, დიდი ზომები აქვთ. რატომღაც უკანა პლანი აწვება წინა პლანს და ითარგუნება შუა. მხედველობის არის შიგნით რაღაც შესქელებებია – ის, რასაც მე „გაბერვა“ ვუწოდებ, – რომელიც არ განზავდება იმ ერთიანი ხედვით, დაუბრკოლებლად რომ მოიცავს მთელ სივრცეს. ეს მხოლოდ ასოციაციაა, მაგრამ აქ არის რაღაც სიღრმისეული, შინაგანი ტიპოლოგიური ერთიანობა. სეზანი (ეს მაინც 1905 წელია – მე მხედველობაში მაქვს გამოფენა. მაგრამ წამოწყება 1895 წლიდან მოდის) – ეს გახლავთ ფროიდის პირველი ნამუშევარი, რომელიც უკვე მთელ ფსიქონალიზს შეიცავს. მე განსხვავებული სფეროდან მომყავს მაგალითები, მაგრამ შინაგანად ტიპური, ისინი ყველა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. გადავდოთ გვერდზე ამ კავშირის შინაარსი – იგი ნაწილობრივ უკვე ავხსენი და განვმარტე. ახლა დაიმახსოვრეთ ის, როგორც სასარგებლო მხედველობითი ასოციაცია უკვე არა ფერწერის, არამედ ყოფიერების შესახებ მსჯელობისათვის.

ჩვენი ყოფიერება არის რაღაც უსასრულო; ის სიბრტყეა, რომლის თითოეულ წერტილს ჩვენი ხედვა მოიცავს, ამავე დროს თავად არ ირღვევა და არ იმღვრება. ახლა ჩვენ გვაქვს უამრავი ორიგინალური თვით-

კმარი ცდა — ყოფილი თანაბარი სიბრტყის რაღაც შენადედეები, რომლებიც ჩვენ სრულიად სხვაგვარად უნდა გავიგოთ, ვიდრე ესმოდა იმ ხედვას, რომელსაც შეიძლო თვალის ერთი გადავლებით მთელი ეს ბრტყელი სივრცე დაენახა. შევეცადოთ დავახასიათოთ ერთი ასეთი შედეგება და გაბერილობა. ადრე ამის შესახებ უკვე მიგანიშნებოდა. კლასიკურ მედიცინაში, ექიმს რომ მივმართავთ, ფსიქოლოგიურად გვაქვს იმის განცდა, რომ მას აქვს რაღაც მაგიური საშუალება, რომელსაც დავგისახელებს, მოგვცემს და ეს წამალი გვიშველის. და თუ ამგვარი ფსიქოლოგიური მიდგომით განვიკურნებით, ის შინაარსობრივი მოლოდინი, რომელთანაც აქ გვაქვს საქმე, ასეთია: მივმართავთ ექიმს, როგორც სპეციალისტს, რომელმაც იცის ჭეშმარიტება ჩვენი სხეულის შესახებ. ის თითქოს ფლობს ამ ჭეშმარიტებას მანამდეც კი, სანამ ჩვენთან ურთიერთობას დაამყარებს. ჩვენ მასთან მივედით, ის გვიკვლევს ჩვენ, როგორც მისი ზოგადი ცოდნის კერძო შემთხვევას და ადგენს, რომ ჩვენ ესა და ეს გვჭირს. იგი გვაწვდის ჭეშმარიტებას ჩვენზე. ეს ჭეშმარიტება გარკვეული თვალსაზრისით წინ უსწრებს კერძო შემთხვევას. მაგალითად, თუ კიბო გჭირთ, მაშინ თქვენი დაავადების კერძო შემთხვევაა იმის ცოდნისა, თუ რა არის კიბო საერთოდ. ვილაც ამ ცოდნას დაუფლებია და შეუძლია იგი კერძო შემთხვევას მიუსადაგოს და გაჩვენოთ, მოგვცეთ ცოდნა თქვენს საკუთარ შემთხვევაზე.

ფსიქოანალიზში კი არსებობს შედეგება, რომელიც ზედაპირზე გამოდის ორის ურთიერთობად. ჭეშმარიტება არ არსებობს ამ ურთიერთობამდე. რომელი ორის ურთიერთობაზეა აქ ლაპარაკი? პაციენტისა და ექიმის. ფსიქოანალიზში ამ ურთიერთობამდე ექიმმა არ იცის არავითარი ჭეშმარიტება. უფრო მეტიც, იმ აზრის მიხედვით, რომელზეც ადრე მოგახსენებთ, თვით ურთიერთობამდე ექიმი როდი ადგენს ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება როდი ჩნდება როგორც ცოდნა იმის შესახებ, რაც გარეგანი საგანია, ისეთი ობიექტია, რომელიც შეიძლებაოდა ჩვენგან გამოგვეყო და გვეთქვა: მე ამის შესახებ ვიცი (ისევე როგორც ვიცი ატომის შესახებ, რომელიც ჩემგან გამოყოფილია). ცოდნა ან ჭეშმარიტება აქ წარმოადგენს რაღაც პროდუქტული ცნობიერი ცხოვრების გამოთავისუფლებას, რომელიც თავად განაზავებს, ხსნის აღრინდელ კავშირებს. და ბოლოს, ჭეშმარიტება შეიძლება უბრალოდ გადავადლოთ კიდევ — იგი არ გვჭირდება. რა აზრით? მაგალითად, თუ ბელელზე ასასვლელად თქვენ კიბით ისარგებლეთ, თქვენ ბელელზე კიბის ატანა ხომ არ დაგჭირდებათ. კიბე თქვენ მოიხმარეთ, რათა მისულიყავით **A** ადგილიდან **B** ადგილას. **B** ადგილას როცა მიხვდით, თქვენ არაფერში გჭირდებათ კიბე, ანუ ის საშუალება, რომელმაც თქვენ იქამდე მიგიყვანათ, თქვენ შეგიძლიათ იგი გადაადლოთ.

ფროიდის პარალელურად ანალოგიური აზრი გაუჩნდა სრულიად სხვა ადამიანს, ეგრეთ წოდებული ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენელს ვიტგენშტეინს. იგი თავის „ლოგიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში“ წერდა ჭეშმარიტების ისეთ სახესხვაობაზე, რომელსაც მოვიშორებთ ხოლმე მას მერე, რაც მისი საშუალებით სადღაც მივალთ.

მამ ასე, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ისეთ ჭეშმარიტებებს, რომლებიც წარმოიქმნიან რაღაც ერთობლივი განცდიდან, ამ შემთხვევაში ექიმისა და პაციენტის ერთობლივი განცდიდან. ფსიქონალიზის წესების მიხედვით შეუძლებელია რაიმე რეალური ანალიზური პროცედურა, შეუძლებელია ექიმის მიერ პაციენტის მორჩენა, თუ პაციენტის მხრივ არ წარმოიქმნა ე. წ. „გადატანის“ მოვლენა. ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის ზოგიერთ სიტუაციაში პაციენტს უნდა შეექმნას ექიმის ერთგვარი სახე, რომელზეც უნდა გადაიტანოს თავისი გარკვეული მდგომარეობა და გრძობები, გარკვეული მისწრაფებები და სიყვარული, რომლებსაც ვხვდებით დაავადებაში. ისინი უნდა „შესრულდეს“ ექიმზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ექიმს დაიწყოს ეფექტიანი მკურნალობა.

აქამდე გესაუბრებოდით ცდაზე, როგორც რაღაც თვითკმარზე, ცდის თვითკმარობაზე, საზრისებზე, არსებებზე და სხვა, რომლებსაც შეიცავს ცდა. გარდა იმისა, რომ საუბარი ეხებოდა ცნობიერების მოვლენებს, ახლა გიჩვენებთ, რომ საუბარი ეხება ურთიერთობის რეალურ ფენომენებსაც. ამ შემთხვევაში გვაქვს რაღაც ერთობა, თუნდაც ორი კაცისაგან შემდგარი, რომელიც არის სწორედ მოვლენებისა და შემთხვევების მწარმოებელი ან პროდუქტული აგენტი. კავშირი სრულიად კონკრეტული უნდა იყოს – „აქ და ახლა“. ადამიანების ეს ურთიერთობა, არ გამომდინარეობს არავითარი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან. იგი არის „შედგებული შესქელება“ ან „შებერილობა“ სოციალური ურთიერთობების მთელი სისტემის შიგნით, რომელსაც ვაანალიზებთ ისეთი ტერმინებით, როგორიცაა: „კლასები“, „ფენები“ და ა. შ., ვადგენთ სოციალურ სტატისტიკას. საზოგადოების ცხოვრება მიმდინარეობს მასობრივ მოვლენათა სახით, რომელთა მიმართ გამოყენებადია დანაწევრებისა და ანალიზის გარკვეული წესები. აქ იგივე ურთიერთობებია, იგივე სოციალური უჭრედებია, რაც შეადგენს ფსიქიკურ ცხოვრებასა და ცნობიერებაში, მომხდარი ხდომილობების პირობას, თუკი ხდომილებებში ვიგულისხმებთ იმას, რასაც მე განკურნების მომტანი ახალი ცნობიერი ცდა ვუწოდებ.

სწორედ ამიტომ, რომ ფსიქონალიზი განსხვავდება მეცნიერებისაგან ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფსიქონალიზი არსებულ აზრთა, მეცნიერული თეორიების ტიპების გვერდით სრულიად განსხვავებული სახის მეცნიერული თეორია და მეცნიერუ-

ლი ცოდნის აგების განსაკუთრებული წესია. ბევრ რამეში ტრადიციული მეცნიერული ისტებლიშმენტის მიერ ფსიქოანალიზის მიუღებლობის ფესვები სწორედ იმ ფაქტშია, რომ ის მეცნიერული ცოდნის აგების ახალი წესია. თუ ყურადღებით ისმენდით, რაზეც მე ვსაუბრობდი, ის ახალია, უწინარეს ყოვლისა, იმ თვალსაზრისით, რომ, ჯერ ერთი, საქმე გვაქვს რაღაც თეორიასთან, რომელიც გზადაგზა გარდაიქმნება, რომელიც თავის მტკიცებებში დამოკიდებულია თვით მტკიცებების გამოყენებაზე და ეს გამოყენება ცვლის, გზადაგზა გარდაქმნის თეორიას. მეორე, თვით ეს თეორია გარეშე ობიექტების შესახებ მზა ჭეშმარიტებათა ერთგვარი საწყობი არ არის. ეს იმიტომ, რომ (და ეს იყო სწორედ ფსიქოანალიზის ღრმა შინაარსი) ფსიქოანალიზის შემთხვევაში საქმე გვაქვს ექსპერიმენტის წარმოებასთან ისეთ რამეზე, რომლის ბუნებასაც განეკუთვნება თავად სუბიექტის გამოვლინება. ეს გარეშე ობიექტზე დაყენებული ექსპერიმენტი კი არ არის, როგორც ეს ხდება ფიზიკაში ან ტრადიციულ ბიოლოგიაში, მედიცინაში და ა. შ., არამედ ესაა ექსპერიმენტი რაღაც ისეთზე, რომლის ბუნებასაც შეადგენს თავად ექსპერიმენტატორის სიცოცხლის გამოვლენა. ამ ურთიერთობებში სუბიექტი ექსპერიმენტს ეწევა. არა ექიმი, უფრო სწორად, არა მხოლოდ ექიმი, არამედ სუბიექტი ახდენს ექსპერიმენტს, მაგრამ არა მისთვის გარეგან საგანზე, არამედ ისეთ საგანზე, რომლის ბუნებას თავად განეკუთვნება.

ახლა სხვა ასოციაციას შემოგთავაზებთ ამ პრობლემის უკეთ გასაგებად და ამით იმავდროულად დავაკავშირებ მე-20 საუკუნის კულტურის სტილისტიკურად სრულიად განსხვავებულ გამოვლინებებს (ზემოთ თქვენ დასახმარებლად გაწოდებლით სენანისეული ფერწერის ასოციაციებს). არ ვიცი, ცნობილია თუ არა თქვენთვის თანამედროვე ფიზიკიდან: კვანტურ მექანიკაში არსებული თვითდაკვირვების აქტით დაკვირვების საგნის აღშფოთების პრობლემა. თანამედროვე ფიზიკაშიც მიყო ხელი ისეთი საგნის ანალიზს, რომელშიც დაკვირვების საგანი განუყოფელია დაკვირვების საშუალებებისაგან. განუყოფელია იმდენად, რომ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ცვლილებებს, რომელიც თვით დაკვირვების აქტს შეაქვს დაკვირვების საგანში. ამგვარად, ფსიქოანალიზში და ატომურ ფიზიკაში ვხვდებით ორ განსხვავებულ „რქას“, რომლებიც ამოზრდილია მეოცე საუკუნის ინტელექტუალური ცხოვრების რომელიღაც ერთი სიღრმისეული ცენტრიდან. სხვათა შორის, თქვენ მშვენივრად იცით უბრალოდ ფსიქოლოგიიდანაც კი: იმას, რის დაკვირვებასაც ვიწყებთ, უკვე აღარ განვიცდით. აი, ეს, დაკვირვების ეს აღმამფოთებელი გავლენა ცნობიერი ცხოვრების გადაცვლების ერთი ეფექტთაგანია. მაგრამ მე ამ გადაადგილების უფრო შინაარსიან მაგალითს მოგიყვანთ.

მოგიყვანთ ლიტერატურულ მაგალითს. ძნელია მისი ასე ნაუცბათე-  
ვად, ზეპირად გაანალიზება, რადგან, გარეგნული სიმარტივის მიუხედა-  
ვად, საკმაოდ რთულია. მინდა ამ მაგალითიდან მხოლოდ ერთ აზრს მი-  
აქციოთ ყურადღება, აზრს, რომელიც ცხადყოფს იმას, რაზეც ვსაუბრობ-  
დი. ჩეხოვს აქვს მოთხრობა „შავი ბერი“, რადღუნ საოცარიც უნდა იყოს,  
ეს მოთხრობა მაგალითია თანამედროვე ფიზიკისა და ამავე დროს იმისა,  
რასაც ფსიქოანალიზი ეხება. რა უფლება მაქვს მე, შევადარო ესოდენ  
განსხვავებული მოვლენები? იმედია, არ იფიქრებთ, თითქოს მე ვთვლიდე,  
რომ ჩეხოვმა იცოდა თანამედროვე ფიზიკა, რომელიც 40 წლის შემდეგ  
გაჩნდა. და რომც სცოდნოდა, მწერალი ხომ ის ადამიანი არაა, რომელიც  
მუშაობის დროს ცალი თვალით ფიზიკის სახელმძღვანელოში იხედება, ხო-  
ლო მარჯვენა ხელით მოთხრობას წერს.

ამ მოთხრობაში საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელიც გამოჯანმრთე-  
ლებით მოკვდა როგორც პიროვნება. სანამ ეს ადამიანი ავად იყო, ავად-  
მყოფობა მისი ცნობიერებისა და ფსიქიკის რაღაც პროდუქტული და ორი-  
გინალური მუშაობის პირობას წარმოადგენდა. მაგრამ მის ავადმყოფობაზე  
ზემოქმედება მოახდინეს და ამ ზემოქმედებას მოჰყვა თავისი შედეგები.  
მან არსებითად შეცვალა თავად ფსიქიკური ცხოვრების მსვლელობა იმ-  
დენად, რომ ადამიანი გამოჯანმრთელდა, პიროვნება კი მოკვდა. ე. ი.  
მასში ჩაერივნ ისეთი ექსპერიმენტული საშუალებებით (ამ ანალოგიას, რა  
თქმა უნდა, არაჩეხოვისეულ ტერმინებში ვაგრძელებ), რომლებიც, ჯერ  
ერთი, ობიექტთან რაღაც შესაბამისობაში იყო, და ობიექტთან შესაბამი-  
სობის ძალით არღვევდა მის ბუნებრივ მსვლელობას, მეორე, მივედით  
იმის დაკარგვამდე, რისი არსებაც უნდა გაგვეგო. ჩვენ ვერ შევიტყვეთ  
ის, რაც ავადმყოფობის მეშვეობით უნდა გამოხატულიყო, ჩვენ ეს დავ-  
კარგეთ და ამასთან ერთად მოვკალით პიროვნება.

ახლა გავაფართოვებ ლიტერატურული ასოციაციების არეს. ეს სერიო-  
ზული პრობლემაა, რომელსაც დოსტოევსკი სრულიად სხვაგვარად და სხვა  
სიტყვებით გამოხატავდა. იგი ამას აყალიბებდა ისეთი ანტინომიების სახითაც  
კი, რომლებიც კანტის ცნობილ ანტინომიებს ემსგავსება. ანტინომიის პირ-  
ველი წევრი ასეთია: „ილაპარაკო ან დაინახო A, სიგიჟეა“, სადაც A საგანია  
ან გამონათქვამი. ანტინომიის მეორე წევრი კი შემდეგია: „იმისათვის, რომ  
დაინახო და გაიგო A, უნდა გაგიჟდე“. აბა, შეეცადეთ გადაწყვიტოთ ეს  
ანტინომია. თუ, საქმე გვაქვს იმასთან, რასაც სიგიჟეს ვუწოდებთ, და ვუდ-  
გებით მას კლასიკური განსჯის ჩვეულებრივი ნორმის შესაბამისად, და გვინ-  
და მისი გამოსწორება, ადამიანის ნორმასთან დასაბრუნებლად ზოგიერთი  
ოპერაცია უნდა განვახორციელოთ. მაგრამ ამ ოპერაციებს ვერ ჩავატარებთ  
რადგან A-ს ვერ დავინახავთ. მას ვერასოდეს გავეცნობით.

ეს პასაჟები გვაჩვენებენ რაღაც საზრისებს, რომლებიც თითქოსდა თვით ფსიქოანალიზში ძევს. მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი ამოტივტივდებიან და ამოყოფენ რქებს ფსიქოანალიზთან დაუკავშირებელ სხვა ადგილებში, მეორე, მათ ენიჭებათ საზრისი, მნიშვნელობა და მათი გაგება ხერხდება იმ შემთხვევაში, თუ შეგვიძლია ჩავაყენოთ ისინი ისეთ კავშირში, რომელიც თავისთავად უხილავია.

და ბოლოს, რასაც მსურდა შევხებოდი, ესაა ფსიქოანალიზის თავისებურება, რაზეც ზემოთ მქონდა ლაპარაკი, მისი განსხვავება კლასიკური მეცნიერებისაგან. ფროიდი ამბობს, ადამიანს ოიდიპოსის კომპლექსი აქვსო, კომპლექსი, რომლითაც ბავშვის ემოციური ცხოვრება გადაკვანძულია მამის სახესთან. კომპლექსად წოდებული მთელი ემოციური ძალა ბავშვში ის არის, რომ დედასთან ურთიერთდამოკიდებულებაში სურს მამის ადგილი დაიკავოს. ესაა ცნობილი ოიდიპოსისეული სამკუთხედი, ფროიდისეული სამკუთხედი. თქვენ იცით, თუ რატომ გამოიყენა ეს სახელი ფროიდმა. არსებობს ბერძნული ტრაგედია, სადაც ლაპარაკია ადამიანზე, რომელმაც მოკლა მამა, თუმცა არ იცოდა მამას რომ კლავდა, და ცოლად შეირთო დედა. არც ის იცოდა, რომ თავის დედას თხოულობდა ცოლად. მე სრულიად ბანალურად გამოვთქვი ფროიდის დებულება, მაგრამ იგი ადვილად აგვიხსნის იმას, რაზეც მინდა გესაუბროთ. კარგით, მაგრამ ხომ არსებობენ ობლები, რომლებსაც მამა არა ჰყავთ, ე. ი. არ უხდებათ ყოფნა ოჯახურ სიტუაციაში, სადაც რაღაც დროის მანძილზე ყალიბდება ის, რასაც ფროიდი ოიდიპოსის კომპლექსს უწოდებს?! ადამიანს „არ ჰყავს მამა“, საიდან უნდა გაუჩნდეს მას მამის სახე, რომელსაც უნდა შეუფარდოს თავისი სურვილები, ემოციური მდგომარეობები? ამით რისი თქმა მინდა? მე მინდა გითხრათ, არ არსებობს რაღაც ფაქტორი, რაღაც ემპირიული ფაქტები და მოვლენები შეიძლება არც არსებობდნენ. თუ კი ისინი არ არსებობენ, მაშინ რაღაზე ლაპარაკობს ფროიდი? ის ხომ ამკარად ამტკიცებს, რომ ოიდიპოსის კომპლექსი არსებობს. მაშინ მის მტკიცებას უკუაგდებს ემპირიული ფაქტი, რაც თავად ამ მტკიცებაშია მოცემული: მამა არ არსებობს. უფრო მეტიც, შეიძლება ემპირიულად ეძებოთ ადამიანის სულის შემადგენლობაში ეს კომპლექსი და ვერ იპოვოთ იგი იმგვარად, რაგვარადაც პოულობენ ხოლმე ღვიძლს ადამიანის სხეულში.

მამ ასე, აქ ვუახლოვდებით სერიოზულ პუნქტს, რომელიც წარმოადგენს სასინჯ ქვას ფსიქოანალიზის გასაგებად. სახელდობრ, მივადექით პუნქტს, რომელიც ფსიქოანალიზის ენის განსაკუთრებულ ხასიათს, ასე ვთქვათ, ფსიქოანალიზის ცნებითი აპარატის განსაკუთრებულ ხასიათს წარმოაჩენს. ფროიდი არ ამტკიცებდა, რომ ოიდიპოსის კომპლექსი არსე-

ბობს, არ ამტკიცებდა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ჩვეულებრივ ვხმარობთ სიტყვას „არსებობს“. სიტყვა „არსებობს“ ჩვენთვის ყოველთვის ნიშნავს გარკვეულ ემპირიულ შემთხვევაზე მითითებას, იმ ემპირიულ ფაქტს, რომ რაღაც მომხდარა, ხდება.

არ არსებობს ისეთი რეალური მოვლენა, როგორცაა შვილის მამისადმი მტრობა. საჭირო არ არის მისი ძებნა ბიოგრაფიის რეალურ მოვლენათა სახით. ფრაიდი აღნიშნავდა, რომ სინამდვილეში მას არასდროს არ ულაპარაკია ოიდიპოსის კომპლექსზე, ყოველთვის ლაპარაკობდა მხოლოდ მამის მეტაფორაზე. მეტაფორა არ საჭიროებს მამის რეალურ თანარსებობას. მეტაფორა არ საჭიროებს რეალურ ხდომილებას, ამ შემთხვევაში, კონკრეტული მამის და კონკრეტული ვაჟის ურთიერთობას. ეს ზუსტად ჰგავს ე. წ. ცდუნების სცენას, რომელსაც გადამწყვეტი პათოგენური მნიშვნელობა აქვს ფსიქოანალიზში: იგი ტოვებს კვალს, რომელიც შემდგომ განვითარებაში ავადმყოფობას უდებს სათავეს. სცენა, რომლის მოწმე თითქოსდა იყო ბავშვი, სხვადასხვა ვარიანტით თამაშდება. ყველაზე უხეში ვარიანტია ეროტული სცენა დედ-მამას შორის, რომლის უნებლიე მოწმე აღმოჩნდება ბავშვი, უფრო ფაქიზი ვარიანტი – როცა ცდუნების სცენა წარმოადგენს ბავშვისათვის გაუგებარ ეროტულ ურთიერთობას.

რა თქმა უნდა, ყოველ მკითხველს ან იმას, ვისაც სურს გაეცნოს ფსიქოანალიზს, უდევს რა წინ აღწერისა და თეორიის ტექსტი, აქვს ცდუნება – ეძებოს მისი რეალური ეკვივალენტი, მოხდა ის თუ არ მოხდა სინამდვილეში. მაგრამ ისევე როგორც ოიდიპოსის კომპლექსი არ გულისხმობს იმას, რომ რაღაც რეალურად მოხდა მამისა და შვილის ურთიერთდამოკიდებულებაში და აუცილებელიც არ არის ვივარაუდოთ მამის რეალური არსებობა დროში, ზუსტად ასევე ეგრეთ წოდებული ცდუნების სცენაც არ გულისხმობს, რომ ასეთ შემთხვევას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. მეორე შემთხვევაშიც, ე. ი. ცდუნების სცენის შემთხვევაში, ლაპარაკია მეტაფორაზე, საქმე ეხება სიმბოლოს, რაც ფსიქოანალიზის ძირითად ცნებათა სიმბოლურ ხასიათს გვიჩვენებს.

რაზეა საუბარი, როცა გეუბნებით ან გაფრთხილებთ, რომ ფსიქოანალიზის ცნებათა ძირითადი აპარატი სიმბოლური ხასიათისაა? სხვაგვარად რომ ვთქვათ: ეს აპარატი არ წარმოადგენს ჩვეულებრივ თეორიულ მტკიცებებს, რომლებსაც თავის საგნად აქვთ ზოგიერთი რეალურად მომხდარი მოვლენა, ზოგიერთი ემპირიული ფაქტი, კერძოდ, ისეთი ფაქტები, რომელთა მოპოვება თეორიულ მტკიცებათა დადასტურება, ხოლო უქონლობა ამ მტკიცებათა უარყოფა იქნებოდა. ამ აპარატს სიმბოლური ხასიათი აქვს იმ გარემოებათა ძალით, რომელზეც ნაწილობრივ ადრე გელაპარაკეთ. სახელდობრ, ისეთ ცნებებს, როგორცაა „ოიდიპოსის კომპ-

ლექსი“; „კასტრაციის კომპლექსი“, „ცდუნებების თავდაპირველი სცენა“ და სხვა, თავის საგნად აქვთ არა რალაც მომხდარი მოვლენები და ფაქტები, არამედ სუბიექტის მიერ განხორციელებული ფსიქიკური გადამშუშავებისა და ინტერპრეტაციის ისეთი პროცესები, რომლებიც განუყოფელია თავიანთი ობიექტებისაგან. ობიექტების შესახებ შეიძლება ვიცოდეთ გარედან, გარე დაკვირვების საშუალებებით. ვთქვათ, ადამიანის ბიოგრაფიაში მამა წარმოადგენს ფაქტს. მას ჰყავდა მამა რეალურ ოჯახურ ცხოვრებაში ან არ ჰყავდა მამა რეალურ ოჯახურ ცხოვრებაში. ვლადპარაკობ არა რეალურ მამაზე, არამედ მამის ხატზე, რომელიც ბავშვის მიერ თავისი საკუთარი მდგომარეობის ინტერპრეტაციის გადამშუშავების ინსტრუმენტს წარმოადგენს. და აი, მამის ხატი თავის თავში განუყოფელია და შეუპირისპირებელია რომელიმე რეალურ მამასთან. ზუსტად ასევე ცდუნების თავდაპირველი სცენა ფანტაზია, იმისაგან დამოუკიდებლად – მოხდა ეს თუ არ მომხდარა. ცდუნების სცენა თავად წარმოადგენს რალაც საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ბავშვი ფსიქიკურად გადაამშუშავებს თავის ცხოვრებას, რომელშიც მან, მაგალითად, თავისთვის უნდა გააკვიროს სქესთა განსხვავება. ესაა ფაქტი, რომელიც ეძლევა არა მას, არამედ გარე დამკვირვებელს. მაგრამ გარე დაკვირვების ან აბსოლუტური დაკვირვების ცოდნას და მოცემულობას არავითარი საერთო არა აქვს ბავშვის რეალურ პროდუქტულ ფსიქიკურ ცხოვრებასთან. რამდენადაც მან თავად უნდა დაადგინოს და გაიგოს ეს განსხვავება. ეს გაგება მას ინსტინქტის არავითარი ავტომატური მექანიზმით არა აქვს მოცემული, არც რაიმე რაციონალური ცოდნით აქვს მიღებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სქესთა განსხვავების ფაქტი (რომელიც ფაქტია) არ არის ცოდნის საგანი, არამედ მხოლოდ დამუშავების საგანი, რომლის თანმდევი პროდუქტი შეიძლება იყოს გოგონასა და ბიჭუნას შორის განსხვავების დანახვის ფაქტი. მამასადამე, იმ გზას, რომლითაც ეს ფაქტი დადგინდა, შეიძლება ჰქონდეს შედეგები და მათ შორის პათოგენური ან პათოლოგიური.

მამასადამე, ფსიქოანალიზის აპარატს თავისი მტკიცების საგნად აქვს ცნობიერების ეს გადამშუშავებული, ინტერპრეტირებული, ფანტაზმატური ცხოვრება, მისი აღწერა. ამასთან იგი არ ამტკიცებს, რომ ასეთი მოვლენები რეალურად მოხდა. თუმცა თავად ფსიქოანალიზის ინტერპრეტაციებში, იმაში, თუ როგორ ესმოდა იგი საზოგადოებას, მის მტკიცებებს ხშირად ნატურალისტურად ან პირდაპირი მნიშვნელობით იგებდნენ – თითქოს ისინი ამტკიცებდნენ იმას, რომ რალაც ნამდვილად მოხდა. მაგრამ რა არის სიმბოლო? სიმბოლო ისეთი რამაა, რაც არ ამტკიცებს იმას, რაზეც ლაპარაკობს. ჩვენ ხომ რალაცას ვუწოდებთ სიმბოლოს, იმიტომ რომ გვესმის: სიმბოლო არ ამბობს იმას, რასაც ამბობს, არამედ ამბობს რალაც

სვას. როცა ჩვენს წინაშე ხდება ასეთი რამ, ჩვენ ამ რაღაცას ვუწოდებთ მეტაფორას ან უფრო ზუსტად — სიმბოლოს.

მასასადამე, ფსიქიკურ ცხოვრებაში არის რაღაცნაირი სიმბოლური შედეგები, რაღაცნაირი საგნობრივი წარმონაქმნები, რომლებიც საგნებისა და ფაქტების ასახვას არ წარმოადგენს, არამედ ინტერპრეტაციის მუშაობის ინსტრუმენტი და იარაღია არა თეორიაში, არამედ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანის რეალურ ფსიქიკურ ცხოვრებაში. იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ადამიანი, ე. ი. თუ ფანტაზმების მუშაობაში კონკრეტულად როგორი ბმულობები განხორციელდება, რა საგნებზე დამაგრდება ნიშნადი აზრობრივი განცდები, რათა შემდეგ ეს საგნები გადაიქცნენ მოცემული მდგომარეობის ან ლტოლვების განხორციელების არხად და ხერხად, ამაზე დამოკიდებული ის, თუ რას აღმოვაჩინთ მოზრდილთა ცხოვრებაში ფსიქოზების, ნევროზების სახით, ან რას ვნახავთ სიზმრებში.

ფსიქოანალიზის ასეთი სიმბოლური ხასიათი არაზუსტად იყო გაგებული იმ შემთხვევებშიც, როცა ფროიდი აკეთებდა სხვადასხვა წიადსვლას კულტურულ-ისტორიულ შეხედულებებსა და კონცეფციებში. მაგალითად, მის ნაშრომში მოსეს და მონოთეიზმის შესახებ არის სცენა, რომელსაც აღწერს თითქოს როგორც რეალურს: პირველყოფილი ურდო, უფრო სწორად — შვილები, რომლებიც პირვანდელ ურდოს შეადგენენ, ანაკუფებენ თავის მამას და აი, სწორედ ამ აქტით ადამიანები არაბუნებრივი, არანათესაური ურთიერთობისაგან განსხვავებულ სოციალურ ურთიერთობებს ქმნიან. ანთროპოლოგებს უჩნდებათ ცდუნება ანთროპოლოგიის მასალაზე დაყრდნობით ცხადყონ, რომ ასეთი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ფროიდი კი ამას არც ამბობდა. იგი ცდილობდა გაეანალიზებინა ადამიანთა ფსიქიკური ცხოვრების სიღრმეები, ცდილობდა ეჩვენებინა, როგორ ყალიბდება იგი და რა როლს ასრულებს მასში ხატები. ფროიდს აინტერესებდა არა თავად რეალური ურთიერთობები, არამედ მათი გააზრებული სახეები, რომლებიც ერთმანეთს რაღაცნაირად უკავშირდებიან უკვე როგორც ხატები. ფროიდის აღწერები ამას ეხებოდა და არ შეიცავდა მტკიცებას, თითქოს კაცობრიობის ცხოვრებაში რეალურ-ემპირიულად მომხდარიყო ასეთი მოვლენა, რასაც შემდეგ მოჰყოლია ესა და ეს შედეგი.

მამ ასე, როცა აღიწერება ცნობიერების ეს ინტერპრეტაციული ან პროლუქტული მუშაობა, მამინ, რა თქმა უნდა, ამ სიმბოლურ ცნებებში მუშავდება რაღაცნაირი ინსტრუმენტები. ვთქვათ, ყალიბდება სიმბოლოთა კატალოგიზაცია, რაც ყველაზე ხშირად ნევროზებში, ფსიქიკურ ცხოვრებაში, სიზმრებში გვხვდება. ამ სიმბოლოთა ნაწილი, უნდა მოგახსენოთ, ნასესხებია სიზმრების ასახსნელი წიგნიდან, რომელსაც წინათ კაცობრიობის ცდომილებების კრებულად მიიჩნევდნენ. ფროიდი სიზმრების ახსნას

სერიოზულად უყურებდა და არა როგორც მკითხაობასა და სიზმრით წინასწარმეტყველებას. ძველადაც სიზმრები კატალოგის სახით იყო წარმოდგენილი – ეს საჭირო იყო მკითხაობისა და წინასწარმეტყველებისათვის. ვთქვათ, სიზმარში ნახე ქათამი, ეს ნიშნავს ამას და ამას. ცნობილი იყო ეროტიკული სიზმრები – გველი, მისი მოძრაობები, გვირაბში ხეტიალი და ა. შ. არის ათეულობით საგანი, რომელიც ფროიდამდე იყო ცნობილი და გამიფრული ამგვარი სახით. კაცობრიობა ყოველთვის აქცევდა ყურადღებას საკუთარი ფსიქიკური ცხოვრების გამოვლინებებს. მას რაღაც ემპირიული გამოცდილება დაგროვილი ჰქონდა. მაგრამ ფროიდმა სწორად გაიგო სიზმრის არსი: სიზმარი ლაპარაკობს არა მომავალზე, არამედ დაფარულზე, იმზე, რაც არის, დაფარულ მნიშვნელობებსა და აზრებზე.

გავითვალისწინოთ, რომ ფროიდის პარალელურად მუშაობდა ისეთი ადამიანი, როგორიც კარლ იუნგი იყო. იგი ამუშავებდა რა საკუთარ თეორიას არქეტიპების შესახებ ფროიდთან ხანგრძლივი ახლო ურთიერთობების შემდეგ საკმაოდ დასცილდა მას. არქეტიპი, იუნგის თანახმად, ცნობიერი ცხოვრების სიღრმეში ძვეს და ეკუთვნის არა ცალკეულ ინდივიდს, არამედ კოლექტივს. ის კოლექტიური არაცნობიერია და ვლინდება სხვადასხვა კავშირში, სხვადასხვა დროში, სხვადასხვა ინდივიდში. იუნგი იმასაც კი შეეცადა, ჩამოეთვალა ამ სასრული რაოდენობის არქეტიპთა ზოგიერთი უნივერსალი, უკვე არა ლოგიკისა და ცნობიერების, არამედ ზოგიერთი ფორმალური აპრიორული სტრუქტურის სახით. ახლა, იუნგის მცდელობის შესაფასებლად ძალიან ბევრი მასალა რომ არ გამოვიყენო, ვისარგებლებ მხოლოდ ახალი სიტყვებით: „კოლექტიური არაცნობიერი“, „აპრიორული არქეტიპები“. ამ სიტყვებით, შევამზადებ რაღაც ზოგად თემატიკას, რომელიც საშუალებას მომცემს, წინ წავიწიო.

ფროიდის, იუნგისა და სხვათა ასეთი მცდელობებისა და ბჭობის კალაპოტში წარმოიშვა იდეები ზოგიერთი თვითღირებულ ან თვითკმარი „შედევებისა“, „შებერვისა“, რომლებიც უნდა იქნან განხილულნი საკუთრივ მათი შინაარსიდან გამომდინარე. ისინი არ შეიძლება რაღაც ერთიანი ხედვით განზავდნენ, განცალკევდნენ. ყოველთვის, როცა მათთან გვაქვს საქმე, უნდა გადავაწყოთ ანალიზის აპარატი, ჩავუკვირდეთ უნიკალურ, აბსოლუტურად შეუცვლელ გამოცდილებას, რომელიც გამოითქმება "hic et nunc" – აქ და ახლა. უეცრად, ამის პარალელურად "hic et nunc"-იდან ჩნდება თემები, რომლებსაც მივყავართ ფართო პლასტებთან, ღრმა პლასტებთან, რომლებიც ადამიანებს ელემენტებად, ვთქვათ, ექიმად და პაციენტად, კი არ ყოფენ, არამედ მოულოდნელად, ხელის ერთი მოსმით მთელ ეპოქებს აერთიანებენ. სიტყვა „კოლექტიური არაცნობიერი“ აერთიანებს ხალხებს, ერებსა და ეპოქებს.

ნაწილობრივ უკვე გვაქვს რაღაც გამონათება იმის გაგებისა, რაზეც ვსაუბრობთ. უპირველესად მინდა შევთანხმდეთ შემდეგზე: ყოველივე ის, რაზეც ვლაპარაკობ, რასაც გიყვებით, ცინცხლად და ნედლი სახით უნდა აღიქვას. როდესაც ვლაპარაკობთ თანამედროვე, მე-20 საუკუნის ფილოსოფიაზე, ვლაპარაკობთ რაღაცაზე, რაც მუშაობის, შენების პროცესშია და სადაც ჯერ კიდევ არ გამოქმნავებულა საბოლოო და ზუსტი პასუხები იმაზე, რაზეც ვლაპარაკობთ. ეს ვითარება შემთხვევითი როდია, იგი საერთოდ ახასიათებს მე-20 საუკუნის ინტელექტუალურ მოღვაწეობას. ჯოისმა „ჟლისეს“ და „ფინეგანის ქელეხის“ შემდეგ თავისი წიგნის წერის მთელ პროცესს ალაღბედად კი არ უწოდა **Work in progress** – „მუშაობა კეთების დროს“, „აი, რა საქმიანობას ვეწევი“, „სამუშაო პროგრესის გზით“.

მამ ასე, მთელი თანამედროვე ფილოსოფია, ინტელექტუალური და ლიტერატურული მოღვაწეობა არის სწორედ ეს „მუშაობა კეთების დროს“, ე. ი. ისეთი მუშაობა, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს კეთებას და არა დასრულებულ პროდუქტს, არა ერთგვარ დასრულებულ, თავის თავში ჩაკეტილ სრულქმნილ შედეგს, ერთგვარ ატომს, მზა სახით გაცემულს მოსახმარებლად. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ხელოვნებაც ცდილობს, რაღაცით დაუმთავრებელი იყოს. ნაწარმოებში არის რაღაც სამყარო, რომელიც დასრულებული არ არის იმ თვალსაზრისით, რომ თავის თავში მოიცავს ამ სამყაროს ინტერპრეტაციის მომდევნო აქტს, მოიცავს იმათ კითხვებსა და მოთხოვნებს, ვინც მსახიობი, მხატვარი არაა, არამედ უბრალოდ მკითხველი ან მაყურებელია. მაგრამ ამის შედეგია, რომ არა გვაქვს რაღაც ისეთი სინთეზი, მთლიანი სურათი, რომელიც დაჯილდოებული იქნებოდა კლასიკური სურათის თვისებებით, კლასიკური ჰარმონიითა და მთლიანობით. სწორედ ამიტომ ხაზგასმით აღვნიშნავ: ყოველივე, რასაც გეუბნებით, ის ცნებები, რომლებსაც ვხმარობ, რომლებზეც მოგიხიბობთ, არის მუშაობა ამ სამუშაოს კეთების დროს. და ის თავისებურებები და გაკვირვება, რომლებსაც ისინი თქვენში იწვევს, ალბათ მაინც ამ სამუშაოს ნაკლი კი არა, სწორედ მისი უპირატესობა. რადგან მას სწორედ ეს სურდა – სურდა, რომ თქვენც მასთან ერთად გემუშავათ – ამ შემთხვევაში ფილოსოფიასთან ერთად.

მამ ასე, ნაწილობრივ უკვე გვესმის, რომ ამ საგნებთან მიმართებაში გვაქვს გაგების რაღაც გამონათება, და მისი წყალობით მოულოდნელად იკვეთება უფრო ფართო ცნებები, ვიდრე ის ცნებებია, რომლებზეც ყოველთვის გიყვებით, და თითოეულ ამ ახალ ცნებას ვუმატებ მაგიურ ლათინურ ფრაზას **hic et nunc**. თუ სიმბოლო წინასწარ არის მოცემული და ჩვენ მას მზა ინტერპრეტაციებს ვუყენებთ, მაშინ „კოლექტიური არაცნობიერი“ **hic et nunc** ველარ იქნება. ამ შემთხვევაში ჩვენს სიზმრებში სიმ-

ბოლოს გამოჩენის რეალურ ფაქტს მივუსადაგებთ წინასწარ გამზადებულ გაგებას (სიმბოლოთა კატალოგში ჩვენთვის ცნობილია, თუ რას ნიშნავს მამალი და რას ნიშნავს გვირაბი). თუ ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, *hic et nunc*-ზე ლაპარაკი ზედმეტია.

მაგრამ აქ *hic et nunc*-ის მეშვეობით მივადექით უფრო ფართო ფენებს, უფრო დიდ დაყოფებს, მათ შორის უფრო დიდ ეპოქებს და ეს სულიერი და ცნობიერი ცხოვრების ამოსავალი ცნებების მეტად არსებითი გარდაქმნაა. ერთი გაელვება უკვე გვქონდა ამ გარდაქმნაზე საუბრისას, სახელდობრ, გითხარით, რომ ფსიქონალიზის გამოცდილების შესაბამისად, იმ აღმოჩენების მიხედვით, რომლებიც ეკუთვნის მას და არა მხოლოდ მას (მე ყოველთვის ვადგენდი პარალელიზმს), ვიცი, რომ „მე“ არის რაღაც განსაკუთრებული კონსტრუქცია. ამ უკანასკნელს თავად შეუძლია იყოს რაღაც, რის საშუალებითაც ან რომელიმე მკვიდრდება სხვა ემოციური მდგომარეობები. „მე“-ს სახებაში დამკვიდრებულნი, ისინი „მე“-ს მეშვეობით ახდენენ რეალიზაციას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, თავად „მე“ შეიძლება იყოს ილუზია. იგი არ არის უბრალო თვისება, რომელიც მე მეკუთვნის, რომელიც ჩემს სულში იდება, ისე, თითქოს მე რაღაც ერთეული „მე“ შევიძინე სხეულს და აი, ახლა „მე“ არის სხეული, რომელსაც აქვს სული. ახლა ჩვენ ვიცი, რომ ეს შეიძლება ილუზია იყოს.

სიტყვის რა მნიშვნელობით? – ილუზიასთან გვაქვს საქმე, როცა ხდება ე. წ. პიროვნების გაორება, მე-ს გახლეჩა შიზოფრენიისა და ზოგიერთი ფსიქოზის დროს. „მე“ სრულიად აშკარად გვევლინება ნივთიერი წარმონაქმნის სახით, – მე რაღაც გადავყლაპე, მაგალითად, ქვა და ვრეაგირებ გადანაყლაპ ქვაზე, როგორც ნივთზე, რომელიც ანგრევს ჩემს ორგანიზმს. ფსიქოზის დროს ასეთი ქვის სახით შეიძლება რეაგირება მოვახდინო მეორე „მე“-ს შემოჭრაზე. მაშინ რად მივიჩნია „მე“? ძალიან უბრალოდ – საგნად, ილუზორულ, მაგრამ ფორმის მომცემ საგნად, რომელიც ასრულებს რაღაც მდგომარეობებს. მე, როგორც მკვლევარმა, ამ მდგომარეობების რეკონსტრუქცია უნდა მოვახდინო. კლასიკური შეხედულებების საწინააღმდეგოდ, რომლისთვისაც „მე“ ცნობიერი ცხოვრების ცენტრია, ფსიქონალიზში „მე“ მოულოდნელად შეიძლება აღმოჩნდეს საგანი, რომელზეც დაკრისტალდება სხვა არაცნობიერი მდგომარეობები.

უფრო მეტიც, ჩვენ საერთოდ სხვაგვარად უნდა განვიხილოთ ცნობიერი ცხოვრება, და არა „მე“-ს ერთეულის, ან სულის ერთეულის წესით. საჭიროა ავიღოთ ცნობიერი ცხოვრება უფრო დიდი ერთეულების სახით, ვიდრე ერთეული ადამიანური ინდივიდია, რომელსაც ვაკვირდებით. გახსოვთ, ფურიეზე გესაუბრებოდით, რომელიც თავისი მანით, რიცხობრივი

მანიით ასაბუთებდა, ერთი ერთეული სულის შესაქმნელად, საჭიროა 456 ინდივიდი, რომლებიც ერთმანეთთან შეხებისას, ურთიერთობისას სწორედ ერთ ერთეულ სულს იძლევიან. ამ გზით ჩნდება სხვა წარმოდგენა, ჯერ ერთი, ანალიზის ერთეულზე, რომლითაც ვსარგებლობთ ცნობიერებისა და სულიერი ცხოვრების გაგებისას, და მეორე, აქედან გამომდინარე, სხვა წარმოდგენა ე. წ. სულიერი და ცნობიერი ცხოვრების ხანგრძლივობაზე, ცნობიერ სულიერ ცხოვრებაში ზოგიერთი სიღრმის არსებობაზე, რომელთა დროში დაყოფის კანონები არ ემთხვევა ჩვენი ჩვეულებრივი დროის თანმიმდევრობის კანონებს.

ანალიზის სხვა ერთეულებზე და სხვა ხანგრძლივობაზე ეს გადასვლა, რომელიც გამოწვეულია თვით ანალიზის მასალით, ის გადასვლაა, რომლის ქიმზე წარმოიშობა ცნებები: „კოლექტიური არაცნობიერი“, „არქეტიპები“ და სხვა. ამ ცნებებმა უნდა დააფიქსირონ სულიერი ცხოვრების ისეთი თვისებები, მაინდივიდუალზედელი, მცირე მასშტაბების ცნებები რომ ვერ მოიცავს. რაღაც არის ჩემს სულიერ ცხოვრებაში, რაც „მე“-ს ცნებაში არ ეტევა. შეიძლება შემოვიტანო სხვა ცნებები, მაგრამ ამასთან არ ვამტკიცებ კოლექტიური არაცნობიერის ემპირიულ არსებობას.

მოგიყვანთ ერთ ასოციაციას, არ ვიცი, დაგეხმარებათ თუ არა, რადგან იგი თავისთავად რთულია და გულისხმობს ფარდობითობის თეორიის გარკვეულ ცოდნას. ფარდობითობის თეორიის თანახმად ნაწილაკი მიფრინავს ე. წ. მსოფლიო ხაზზე. საქმე ის არის, რომ მსოფლიო ხაზი არ არსებობს, ანუ ნაწილაკის ფრენა მსოფლიო ხაზზე არ არის რეალური ფრენა რამენაირ რეალურ ხაზზე. მსოფლიო ხაზი დიაგრამის ელემენტია, რომელშიც ჩვენ აღვწერთ ან ვაგებთ რაღაც ხაზს. ეს ხაზი სინთეზურად გვაძლევს ერთდროულ წარმოდგენას დროზეც და მოძრაობის სივრცეზეც და არა ცალ-ცალკე ერთზეც და მეორეზეც. მე მანქანაც კი შემიძლია გამოვსახო ასე. თუ ავტომობილის მოძრაობის ტრაექტორიის გარდა, ანუ ავტომობილის სივრცობრივი გადაადგილების გარდა, რაღაც ერთიან დიაგრამაში მისი მოძრაობის სიჩქარესაც შემოვიტან, მაშინ ავტომობილის მოძრაობის ხაზის დახატვაც შემიძლია. ამასთან მე ვიცი, რომ ეს ხაზი არ არის მანქანის მოძრაობის ხაზის რეალური სახე, არამედ განსაკუთრებული ხაზია, რომელშიც ერთდროულად გათვალისწინებულია რამდენიმე მახასიათებელი. ის დახატულია, მაგრამ არ ამტკიცებს, რომ არსებობს ნაწილაკის – მატერიალური სხეულის – რეალური მოძრაობა რაღაც რეალურ ხაზზე, რომელიც მსოფლიო ხაზად იწოდება. ეს არის დიაგრამა, რუკა, სამყაროს აღწერა.

მამ ასე, არქეტიპი, კოლექტიური არაცნობიერი და ზოგიერთი სხვა ის ცნებებია, რომლებიც აკავშირებენ ყველა ადამიანს – მომიტევეთ ასე-

თი პროზაულობისათვის – აკავშირებენ არა თავების მემკვიდრით, არამედ მათი ქვედა ნაწილის სამშალებით. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: – დავ-დივარ, ვდგავარ მიწაზე, ჩემს წინ ვხედავ სახეებს და მათთან მხედველო-ბით ვარ დაკავშირებული, მაგრამ მე შეიძლება ვიყო მათთან დაკავშირე-ბული ჩემს ფეხებს ქვეშ მიწაში გადგმული ფესვების მემკვიდრით. სად მი-დიან ეს ფესვები და როგორ აღიწერებიან ისინი?

როცა ვაწყდები ცნობიერი ცხოვრების ისეთ გამოვლინებას, რომელ-თაც „მე“-ს ტერმინებით ვერ აღვწერ, უნდა შემოვიტანო რაღაც სხვა ტერმინები. ამ ტერმინებს ყოველთვის როდი აქვთ წმინდა ემპირიული მნიშვნელობა. ისინი აღწერის ან ისეთი დიაგრამის შექმნის წესის ელემენ-ტებია, რომელიც ჩემთვის გასაგებს გახდის ემპირიულ მოვლენებს. ვთქვათ, ფსიქოანალიზის მიერ აღწერილი ემპირიული მოვლენა გაუგებარია ტრა-დიციული ცნებებით, მათ სჭირდებათ სხვა დიაგრამა, რუკა, იმისათვის, რომ აზრი და მნიშვნელობა მივანიჭოთ. როცა აზრსა და მნიშვნელობას ვანიჭებთ ემპირიულ მოვლენებს, რომელსაც ვაკვირდებით, ჩნდება ტერ-მინები, რომლებსაც არა აქვთ დაკვირვებით მოპოვებული, ემპირიული აზრი. ისინი არ უნდა გვესმოდეს, როგორც რაღაც რეალურად არსებუ-ლის აღწერანი, ისევე როგორც მსოფლიო ხაზის შესახებ მტკიცება არ უნდა გვესმოდეს იმის შესახებ მტკიცებად, რომ ნამდვილი ნაწილაკი მარ-თლაც მიფრინავს მსოფლიო ხაზზე. ესეც სიმბოლური აპარატია.

ახლა გზადაგზა ჩაკვეტავ, შეგკრავ, დავასრულებ ზოგიერთ ხაზს. მე გითხარით, რომ ფსიქოანალიზში ანალიზის აპარატი სიმბოლური ხასიათი-საა და იმავდროულად ვთქვი, რომ ფარდობითობის თეორიაში ანალიზის აპარატი ასევე სიმბოლურ ხასიათს ატარებს – ჩემს მიერ განმარტებული სიტყვის თვალსაზრისით. ახლა დავუბრუნდეთ იმას, რაზეც ვლაპარაკობდი.

მამ ასე, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეპოქებში ჩნდება ადამიანების რაღაცნაირი შეზრდის, შეკავშირების იდეა და მითითება. რისი მემკვიდრით გაჩნდა ამ შეზრდის იდეა? ის გაჩნდა განცდის, როგორც რაღაც დამოუკი-დებელი ობიექტის ანალიზის მემკვიდრით. განცდა, რომელიც თვითკმარია, რომელიც აქ და ახლაა, რომელშიც ხდება ინტერპრეტაცია, სადაც ობი-ექტს თავად მისგანვე ვერ გამოვყოფთ, როგორც განცდის ობიექტს – ეს ძალიან ჰგავს თანამედროვე ხელოვნებას. მათისი ამბობდა, ვერ გამოვა-ცალკევებ საგნებს იმ წესისგან, რომლის მეოხებითაც მე ისინი წარმომე-სახებიან და განმეცდევინებიანო. ჩემი სურათები საგნები არაა, ისინი საგ-ნების განცდის ჩემული ხერხის ახსნაა და საგნებისაგან მათი გამოცალკე-ვება არ შემიძლიაო.

ფსიქოანალიზიდან უკვე ვიცით, რომ, მაგალითად, ბიოგრაფიული ფაქ-ტი განუყოფელია განცდისაგან, ე. ი. იმისაგან, როგორც იგი იყო გააზ-

რებული. მნიშვნელოვანია არა მომხდარი, არამედ ის, თუ როგორ ცხოვრობს მომხდარი ენასთან ერთად, რომელშიც მას თავად სუბიექტი აკვირდებოდა და იაზრებდა. ფაქტებზე ორი მნიშვნელობით ვლაპარაკობთ. ერთია ფაქტი, როგორც იგი ჩანს გარე ან აბსოლუტური დაკვირვებისათვის, რომელშიც ობიექტი და სუბიექტი გაყოფილია. აი, მე ვხედავ – ბიჭი არის ბიჭი, გოგონა გოგონაა. მაგრამ არსებობს ფაქტი, განუყოფელი ენისაგან, რომელიც მას არსებობას ანიჭებს.

მამასადამე, ამ ფაქტებიდან, განცდებიდან ჩვენ მაინც წავედით და მივედით სხვა ხანიერებასთან, ანალიზის სხვა უფრო დიდ ერთეულებთან. ვიცით, რომ „მე“ შეიძლება სრულიად არ იყოს ჩვენი თვისება, არც რეალური პერსონა, არამედ იყოს ისეთი რამ, რაზეც „დამაგრებულია“ რაღაც კომპლექსები. ამ ცნებებით, სიტყვებით, აზრის მსჯელობით, მივდივართ მიმართულებასთან, რომელმაც ძირეული გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის კულტურაზე, ფილოსოფიურ კულტურაზე და რომელიც შემეძლო დამეხასიათებინა გაცილებით ადრე – ეგზისტენციალიზმამდე და ფენომენოლოგიამდე, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიე ეს ფროიდის მერე გამეკეთებინა. სახელდობრ, ეს არის ეგრეთ წოდებული „სიცოცხლის ფილოსოფია“ და სიცოცხლის ფილოსოფიიდან ამოზრდილი კულტურის ფილოსოფია ანუ ჰერმენევტიკა.